

ავთანდილ ასათიანი

აღზრდა ბიბლიურ

იუდაიზმი

TBILISI THEOLOGICAL ACADEMY

თბილისის სასულიერო აკადემია

UPBRINGING IN BIBLICAL JUDAISM

აღზრდა პიგლიურ იუდაიზმში

THE PUBLISHING HOUSE OF TBILISI THEOLOGICAL ACADEMY AND SEMINARY

TBILISI

2016

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამოცემლება

თბილისი

2016

წიგნი წარმოადგენს დამხმარე სახელმძღვანელოს, რომელშიც განხილულია აღზრდის საკითხები ბიბლიურ იუდაიზმში. დასაბუთებულია ლვთიური სამყაროს როლი აღზრდაში, კანონის ანუ რეულის პედაგოგიკის პრიმატი და სიბრძნის დიდაქტიკა იუდაიზმში. გაანალიზებულია იუდაისტური და ანტიკური აღზრდის სისტემები და მოცემულია იუდაისტური აღზრდელობითი ტრადიციის თანამედროვე ინტერპრეტაცია.

წიგნი დამარტინის გაუწევს სტუდენტებს ქრისტიანული პედაგოგიკის შესწავლაში. მასში განხილული საკითხები საინტერესოა, აგრეთვე, რელიგიის პედაგოგიკის სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და მულტიკულტურულ საზოგადოებაში ტოლერანტობის აღზრდის პრიმატებზე მომუშავე პედაგოგისათვის.

The present book represents a supplementary text-book which gives a discourse on the issues of pedagogy in biblical Judaism. It corroborates the role of the divine world in the upbringing of children, the primacy of the pedagogy of law which is the Great Canon Law and the didactics of wisdom in Judaism. It gives an analysis of systems applied in Judaic and Classical upbringing, and a study of a contemporary interpretation of upbringing in Judaic tradition. The book will be a helpful guide for students involved in the study of Christian Pedagogy. The issues it offers the reader will also be interesting for scholars working in the field of Pedagogy and teachers working at the problems related to the inculcation of tolerance in the process of upbringing within a multicultural community.

რედაქტორი

იმერ ბასილაძე

პედაგოგიკის დოქტორი, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რეცეზენტები:

რუსულან წიქვაძე

ფილოსოფიის დოქტორი, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის პროფესორი.

სათუნა მემანიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი.

EDITOR

IMER BASILADZE

PHD of Pedagogy, Professor of Akaki Tsereteli State University of Kutaisi, Academician of the Academy of educational sciences of Georgia.

REVIEWERS:


RUSUDAN TSIKVADZE

PHD of Philosophy, Professor of Tbilisi Theological Academy and Seminary.

KHATUNA MEMANISHVILI

PHD of Philology, Professor of Saint Andrew the First-Called Georgian University of Tbilisi.

ნინათქმა



„გაინათეთ ყოველდღიური ცხოვრება მცნებების
სანთლითა და თორის შუქით“
(თალმუდი)

ებრაელთა დრამატული ისტორია რამდენიმე ათას-
წლეულს ითვლის. საუკუნეთა ქარტეხილებში შეინარჩუ-
ნა ამ უძველესმა ხალხმა ეროვნული თვითმყოფადობა და
რწმენა, რაშიც გადამწყვეტი როლი ტრადიციების მამიდან
შვილზე გადაცემამ და უმთავრესი ებრაული წიგნების –
თორას სწავლებამ შეასრულა: „და გაუმეორე ისინი (თო-
რას სიტყვები) შენს შვილებს“ [დვარიმ 6:7]¹, — აუნყებდა
რჩეული ერის შვილებს დვთის სიტყვა.

ებრაული ტრადიციის თანახმად, ვინც მოსეს კანონებს
ასწავლის ბავშვს, იგივეა, თითქოს თავად გაეჩინოს იგი.
ე.ი. მასწავლებელი, რომელიც ბავშვს თორას ასწავლის,
ადამიანს „ემნის“, მის ფორმირებაში მონაწილეობს და
მისი დამსახურება ბიოლოგიურ მშობლებზე არანაკლებია.
ამიტომაც დამკვიდრდა ისრაელიანებში მასწავლებლის
მიმართ განსაკუთრებული მოწინება და პატივისცემა.

რელიგიის არსება ღმერთსა დაადამიანს შორის კავშირ-
ში გამოიხატება. რელიგიის სტრუქტურის ძირითადი ელე-
მენტია რელიგიური ცნობიერება, რომელიც წარმოადგენს

1 ნაშრომში პარალელურად ვიყენებთ თორას ანუ მოსეს
ხუთწიგნეულის ქართულ და ებრაულ სახელდებებს: დაბადება
— ბერეშითი, გამოსვლათა — შმოთი, ლევიტელთა — ვაიკა, რიც-
ხვთა — ბემიდბარი, მეორე რჯული — დვარიმი.

იდეებისა და ჩვეულებების ერთობლიობას, რაც მორნმუნეთათვის არის დამახასიათებელი. აქედან გამომდინარე, რელიგიური ცნობიერება იყოფა ორ ნაწილად – რელიგიურ იდეოლოგიად და რელიგიურ ფსიქოლოგიად.

ადამიანის აღზრდაში წამყვანია რელიგიური იდეოლოგია, რომელიც წარმოადგენს შეხედულებათა სისტემას სამყაროს, საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ.

იუდაიზმის ისტორიაში გამოიყოფა ოთხი პერიოდი: პირველი დაკავშირებულია იაჰვეს კულტთან და მონოთეიზმის ჩამოყალიბებასთან, იგი XV-XIV სს-ში იწყება და ღმერთის მიერ აპრამის გამორჩევით სრულდება. მეორე, ე. წ. პალესტინურ პერიოდში ჩამოყალიბებას იწყებს იუდაური რელიგიური ტრადიცია, მის კვალდაკვალ უქმდება ძველი ღვთაებების თაყვანისცემა. ამ პერიოდის დასასრულად მიჩნეულია ძვ. წ. აღ.-ის 586 წელი, როცა ბაბილონის მეფემ დაიპყრო იერუსალიმი, დაანგრია მისი ტაძარი და ებრალები ტყვედ წაიყვანა. მესამე პერიოდს უწოდებენ „მეორე ტაძრის ხანას“, რომელიც დაკავშირებულია ბაბილონის ტყვეობიდან იუდეველთა გათავისუფლებასა და იერუსალიმის ტაძრის აღდგენასთან, რაც ძვ. წ. აღ.-ის 538 წელს მოხდა. ხოლო ახ. წ. აღ.-ის I-IV სს-ებში ანუ მეოთხე პერიოდში, რომელსაც „დიასპორის პერიოდს“ უწოდებენ, მთავრდება იუდაური რელიგიის ჩამოყალიბება.

იუდაიზმის წმინდა წიგნს თანახი ჰქვია. სახელწოდება „თანახ“ მიღებულია მისი შემადგენელი სამი ნაწილის საწყისი ასოებიდან: თ - თორა (მოსეს ხუთწიგნეული), ნ - ნაბიმ (წინასწარმეტყველნი), ხ - ქეთუბიმ (წერილნი, „ქ“ ბგერა „ხ“ - დ შეიცვალა მომდევნო ხმოვნის გავლენით). წინამდებარე ნარკვევის ძირითად წყაროს სწორედ თანახი წარმოადგენს, რომელსაც ებრაულ ბიბლიასაც უწოდებენ.

იუდაიზმი თავიდანვე ძალიან კარგად გრძნობდა ადამიანის საიდუმლოს, მაგრამ მეტისმეტად იყო დამოჩილებული რჯულის მცნებებს, რადგან ცხოვრების შეფასებისას უზილიტარიზმიდან ამოდიოდა. თუმცა, წინასწარმეტყველთა გამოცხადების საფუძველზე, მაინც იმ აზრამდე მიდიოდა, რომ რელიგიური პრინციპებით შესაძლებელია ცხოვრების გასხივოსნება. მართალია, ძველმა აღთქმამ შეიძინა მესიანისტური მოლოდინი, მაგრამ მას არ მისცემია ყველაზე მთავარი — გამოცხადება ღმერთკაცის შესახებ, რომელსაც პედაგოგიკისათვის ბაზისური მნიშვნელობა აქვს.

„რწმენა აღზრდის წყალობით იდგამს სულს“, - წერდა დეკანოზი ვასილი ზენკოვსკი, — “მისივე წყალობით ეძლევა სულს ფერისცვალებისა და გაბრწყინების შესაძლებლობა, — თუმცა ეს თავის თავში უკვე გულისხმობს „სიკეთის საწინდარს“, რომელიც ცხოვრობს მისი ცხოვრების ბუნებრივი დიალექტიკისგან დამოუკიდებლად“ [4,37]¹.

აღზრდა არის ადამიანის სულიერ სამყაროსთან მიმართების ყველაზე მართებული გზა. სწორედ აღზრდამ უნდა შეანივთოს ადამიანის ყოფითი მოთხოვნები და მოლოდინი მარადიულობის ღვთიურ კანონებს. აღზრდა უნდა იქცეს ადამიანის მომზადების ერთადერთ საშუალებად არა მხოლოდ ამსოფლიური ცხოვრებისათვის, არამედ მარადიული სულიერი არსებობისათვის.


მაგრამ აღზრდა ამ ურთულეს ამოცანას მხოლოდ მა-

1 იქ, სადაც ფრჩხილებში მითითებულ ციფრებთან არ არის წიგნის დასახელება, იგულისხმება გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში შესული წიგნების რიგითი წომერი და გეერდი.

შინ შეასრულებს, როცა აღზრდის პროცესი ლიტურგიად იქცევა, როცა აღმზრდელში მღვდელმსახურის გრძნობა გაიღვიძებს [7,33]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ალსაზრდელისადმი ამგვარი დამოკიდებულება ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში.

რადგან პედაგოგიკა სოციალური მეცნიერებაა, ამ სფეროში მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის განსაკუთრებულია დაკვირვების, გამოცდილებისა და ექსპერიმენტების როლი. მაგრამ აღზრდის პროცესში მხოლოდ განსჯაზე დამყარებული მიდგომა შედეგის მომტანი ვერ იქნება. სრულფასოვანი პედაგოგიკა მხოლოდ მაშინ გვექნება, როცა მხოლოდ გარეგნულზე დაკვირვებითა და მისი განსჯით კი არ დაკვემაყოფილდებით, არამედ შინაგანად და ღრმად აღვიქვამთ სამყაროს საიდუმლოებებს, რომელთა შორის ყველაზე დიდი საოცრება ღვთის მსგავსად და ხატად შექმნილი ადამიანის აღზრდაა.

წინამდებარე ნაშრომი ქართულ ენაზე იუდაიზმში აღზრდის შესახებნარკვევის შექმნის პირველი მცდელობაა. ბუნებრივია, წამოჭრილ კითხვებზე ჩვენებული პასუხებიც ვერ იქნება ყოვლისმომცველი და უხარვეზო. ამიტომ ყველა საქმიან შენიშვნას და წინადაღებას მაღლიერებით მივიღებთ.



ლოთიური სამყარო – აღზრდის საფუძველი

თორა გვაუწყებს, რომ ხილული სამყარო ღმერთა ექვს დღეში შექმნა. თუმცა, დაბადების წიგნში მთითებული ექვსი დღე ჩვეულებრივ დღე-დამეს არ ნიშნავს, რადგან დღე-დამის მონაცემეობა დამოკიდებულია მზის არსებობაზე, რომელიც მხოლოდ მეოთხე დღეს წარმოიშვა. მანამდე კი „მიწა იყო უსახურ-უდაბური, და იყო ბნელი უფრსკრულის პირზე. და სული იძვროდა წყლის პირზე“ [დაბ. 1:1]. ღმერთმა დაიწყო ამ უდაბურებისა და ქაოსისაგან მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება, რაც ექვსი დღის განმავ-

ლობაში მიმდინარეოდა.

მეორე დღეს დმერთმა შექმნა მყარი სივრცე. მესამე დღეს იგი ქმნის ხმელეთსა და ზღვას და გამოყოფს ერთმანეთისგან. მეოთხე დღეს დმერთი ქმნის მზეს, მთვარესა და სხვა მნათობებს, რაც დღისა და დამის მონაცემების დასაწყისია. მეხუთე დღეს დვთის ნებით ზღვაში წარმოიშვნენ თევზები და ქვეწარმავლები, ხოლო ჰაერში – ფრინველები. ბოლოს კი, მეექვე დღეს, უფლის ბრძანებით იქმნებიან ცხოველები და ადამიანები.

კიდევ ერთი საყურადღებო დეტალია გამოსაყოფი – კერძოდ, აქ არაფერია ნათქვამი მეშვიდე დღეზე, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, ხოლო ბიბლიური ექვსი დღე არის ექვსი თანმიმდევრული ეტაპი შესაქმისა, რომელიც გზადაგზა ვითარდება, ვიდრე დმერთი არ შექმნის ადამიანს – მიწიერი სამყაროს გვირგვინს.

რადგან დვთის პირველივე ქმედება უსახურ-უდაბური, ქაოსური სამყაროს გარდაქმნისაკენ არის მიმართული, ამით, ფაქტობრივად, საცნაური ხდება უზენაესი შემოქმედის უოვლისშემძლეობა, რომელიც უდიდეს სიკეთეს უყრის საფუძველს. მართალია, მისი ქმედება მატერიალიზებულია, მაგრამ მის მიერ სასიკრო ძვრები სიტყვის ძალით ხდება და ამით სამყაროც თანდათან სრულყოფილებას იძენს. როგორც ბიბლია გვასწავლის, დმერთმა ადამს მეტყველების უნარი უბოძა. ეს უნარი თავად დმერთს ჰქონდა. მაშასადამე, ეს აქტიც ცხადყოფს, რომ ადამიანი დვთის ხატადა შექმნილი. ენის საშუალებით არა მარტო ადამიანები ამყარებენ ერთმანეთთან კავშირს, არამედ, როგორც ბიბლიაში ვკითხულობთ, როცა დმერთი ედემის ბალ-

ში ჩამოდიოდა და ადამიანს ელაპარაკებოდა, ადამიანიც ელაპარაკებოდა დმერთს. ეს ურთიერთობა ადამსა და მის შექმნელს შორის ყოველგვარი შიშის გრძნობისაგან თავისუფალი, სიყვარულით გამობარი და გონივრული იყო. ე. ი. ღვთიური სამყარო არათუ გამორიცხავს, არამედ ამკიდრებს წესრიგს და ჰარმონიას, რომლის უპირველესი შემოქმედი დმერთია; ხოლო ქაოსი და უწესრიგობა მრავალი მანკიერებისა და ბოროტების სათავეა, ამდენად, იგი ღვთიური ნების საპირიპირო მოვლენაა.

დვთის მიერ უსახურ-უდაბურობისაგან კარგად გამართული სამყაროს შექმნა უმიზეზოდ არ მოხდებოდა. დმერთს შემთხვევით არაფერი გაუკეთებია, მისი უველა ქმედება დიდ მიზნებს ემსახურება. მაშ, რა იყო სამყაროს შექმნის მიზანი?

დმერთი არის აბსოლუტური სრულყოფილება, ამიტომ სამყაროს შექმნით მას არაფერი მოქმატებოდა, რადგან უფალი აბსოლუტური სრულყოფილებაა და არ განიცდის რაიმეს ნაკლებობას: „თავად ანიჭებს ყველას სიცოცხლეს, სუნთქვას და ყოველივეს“ [საქმ. მოც. 17:25]. „არავის არ შეუძლია მიაგოს მას რაიმე ისეთი, რაც დმერთს შეუძლია, რადგანაც ყოველივე მისგან გამოვიდა, მისკენ მიდის“ [რომ. 11:36]. წმინდა მამების აზრით, სამყაროს შექმნის მიზეზი ღვთაებრივი წყალობა იყო. როგორც ფსალმუნებშია ნათქვამი, „კეთილ არს უფალი და მოწყალე ყოველ მის საქმეში“ [ფსალ. 144:9]. ამდენად, სამყაროს შექმნის მიზეზი უფლის წყალობა და სიყვარული იყო.

გრიგოლ დვთისმეტყველის აზრით, საერთოდ, მადლის აქვს განვირცობის თვისება, რომელიც შემდგებ გარდამოედინება და ანიჭებს წყალობასა და

მადლს სხვა არსებებს. ამასთან დაკავშირებით წმ. მამა წერდა: „რადგანაც წყალობისა და მადლისათვის არ არის საკმარისი, ჰკრიტოს მარტო საკუთარი თავი, არამედ იგი განივრცობა, გარდამოდის, მოედინება გარეთ, სხვაგან, ამრავლებს, როგორც შეიძლება მეტად, ვისზეც ეს წყალობა გადმოდის. ამის მსგავსად დმერთმა შექმნა ყოველივე ხილული და უხილავი – ანგელოზებრივი, ზეციერი ძალები იქნება ეს თუ ხილული მიწიერი სამყარო“. ხოლო წმიდა იოანე დამასკელი ამბობს: „რადგანაც ყოვლადმოწყალე და ყოვლადსრულყოფილი დმერთი არ დაკმაყოფილდა საკუთარი თავის ჰკრებით, არამედ წყალობის გარდამომატების გამო, კეთილად ინება, რომ ყოველივე წარმოშობილიყო, რაც იქნებოდა შემდეგ ამ წყალობის მიმდები და რასაც ამ წყალობის მიღება ესაჭიროებოდა. შეიქმნა დვთაებრივი აზრით, რომელიც მოვიდა ქმედებაში დვთაებრივი სიტყვითა და სულით“.

ამგვარად, სამყაროს შექმნის აქტი და ადამიანისთვის მასში განსაკუთრებული ადგილის მიკუთვნება იმით იყო განპირობებული, რომ უფალს სურდა თავისი უსასრულო მადლით, წყალობითა და სიყვარულით, ჰყოლოდა ის ქმნილებები, რომელთაც იგი მადლს მიანიჭებდა, ისინი ეზიარებოდნენ მის დიდებას და სწორებ მათზე განხორციელდებოდა უსასრულო სრულყოფილებანი. უფლის დიდება, როგორც ხატება და მსგავსება, აირეკლება ადამიანში, რომელიც გვირგვინია ქმნილებათა შორის.

ადამიანის განდმრთობა იყო ის მიზანი, რის გამოც დმერთმა სამყარო შექმნა. ე. ი. დმერთმა მოისურვა, დვთაებრივი დიდებისათვის ადამიანიც ეზიარები-

ნა. თუმცა, ამის მისაღწევად გარკვეული პირობებიც დააწესა, რაც, პირველ რიგში, სათხო ცხოვრებასა და ლვთის დიდებას გულისხმობს. სწორედ ამისკენ მიმართავდა ღმერთი ჩვენს პირველ წინაპრებს, რომელთა პირველი მასწავლებელი და მოძღვარი თვით უფალი იყო, ხოლო უშუალო გზის გამკვალავი – ის ლვთიური წესრიგი და პარმონია, რომელებიც მიწიერ ქვეყანაში სწორედ მათთვის დაამკვიდრა დმერთმა.

თვით ლვთიური წესრიგი და პარმონია უფლის სიბრძნეზე აღმოცენებული. წესრიგმა და საყოველთაო პარმონიამ სწორედ ლვთის სიბრძნით დაისადგურა სამყაროში. ამის შესახებ იგავთა წიგნი გვაუწებს: „უკუნისიდან ვარ დაფუძნებული, თავიდანვე, მიწაზე უწინარეს. უფსკრულთა არყოფნისას დავიბადე, წყაროთა წყლების სიუხვის არყოფნისას. სანამ მთები დადგებოდნენ, ბორცვებზე ადრე დავიბადე. როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი მიწა და მინდვრები, სამყაროს დასაბამი მტვერი. როცა ის ცას ამყარებდა, მეც იქ ვიყავი, როცა წრეს ჰკრავდა უფსკრულის ზედაპირზე, როცა ღრუბლებს ამაგრებდა მადლით, როცა ძლიერდებოდა უფსკრულთა წყაროები, როცა დაადგინა ზღვისთვის საზღვარი, როცა წყლებს არ გადაეჭლახათ მისი ნაპირი, როცა აწესებდა დედამიწის საფუძლებს, მე ვიყავი მის გვერდით აღმშენებლად.... ვხარობდი მისი მიწის სამყაროში, და იყო ჩემი სიხარული ადამის ძეთა მიმართ“ [იგავ. 8:23-31]. მიუხედავად იმისა, რომ სიბრძნემ უფლის შემწეობით დაივანა ძალიან ადრე, ყოველივეზე უწინარეს, მისი დანიშნულება მაინც კონკრეტულია და იგი ადამიანის გაკეთილშობილებისკენ არის მიმართული; სიკეთე კი უფლის მცნებათა დაცვაში მდგომარეობს: „ისმინეთ

ჩემი დარიგება, დაბრძენდით და ნუ განდიდებით. ნებისმიერი კაცი, ვინც მომისმენს მე, ვინც ფხიზლობს ჩემს კარებთან დღენიადაგ....“. [იგავ. 8:33-34]. საყოველთაო წესრიგის მოსურნე დმერთმა ყველაზე კარგად უწყის, თუ საით მოუწოდებს კაცობრიობას: „სამართლიანია ყოველი ნათქვამი ჩემი პირისა, არაა მასში არაფერი დაკლაკნილი და მრუდე. ყოვლად ნათელია ისინი გონიერებისათვის და სიმართლეა ცოდნის მპოვნელთაოვის“ [იგავ. 8:8-9]. ყველაზე დიდი საუნჯე, რაც სამყაროში არსებობს ადამიანისათვის, სიბრძნეა. ამიტომ, თვალ-მარგალიტის შოვნაზე უფრო, სიბრძნეს უნდა დაეწაფოს ადამიანი, რადგან: „მე, სიბრძნე“, – გვასწავლის იგავთა წიგნი, – „გმკვიდრობ გონიერებასთან და განსჯის ცოდნას ვპოვებ. უფლის შიში ბოროტების სიძულვილია. სიამაყე და ქედმადლობა და ბოროტი გზა, და უკულმართი პირი მტკლს მე. ჩემია რჩევა და გონიერება, მე ვარ გონება, ჩემია ძალა“ [იგავ. 8:12-14].

სამართლიანობის, წესრიგისა და საყოველთაო პარმონიის მოსურნე დმერთმა თავისი ღვთიური მიზნების აღსრულებას საფუძვლად სიბრძნე დაუდო. იგი მუდამ ასწავლის კაცთა მოდგმას იმ საყოველთაო ჭეშმარიტებას, რომ სიბრძნე სიკეთე და სიცოცხლეა, ხოლო მისგან განდგომა დაღუპვას ნიშნავს: „თავის გულზე დაიმედებული ბრიყვია, ხოლო სიბრძნით მავალი გადარჩება“ [იგავ. 28:26]. ვინც სიბრძნის გზით ივლის, მისი მოღვაწეობა გამართლებული იქნება და გონიერებას ეზიარება. ამიტომ მოუწოდებს ადამიანებს დმერთი: „დატოვეთ სიბრიყვე და იცოცხლეთ და იარეთ გონიერების გზით“ [იგავ. 10,6].

დაბადების წიგნის მიხედვით, ვიდრე დმერთი და

დაკაცს შექმნიდა, ჯერ ყველა ცხოველი და სხვა ცოცხალი არსება მიჰგვარა ადამს, რომელმაც თითოეულ მათგანს სახელი დაარქვა. ამით უფალმა ცხადყო ადამის, ე. ი. მისივე შექმნილის, უპირატესობა ყველას მიმართ. ამიტომაც ასხამს ხოტბას ფსალმუნები ღვთის უმაღლეს ქმნილებას [ვს. 148,1-5, 7-11; 150, 1, 6]. ცოცხალ არსებათა შორის არ იყო ადამის შესაფერი თანაშემწევ, იგი მარტოსული აღმოჩნდა. ამიტომ შექმნა დმერთმა კაცის ნეკნიდან ქალი. ეს ეპიზოდი აშკარად ადასტურებს ადამიანის მაღალ მისიას ყველა სულდგმულთან შედარებით, რომლებიც მანამდე შეუქმნია დმერთს.

მკვლევგარნი ხაზს უსვამენ თორას ნარატივის გეოცენტრიზმს. სამყაროს შექმნის მესამე დღიდან დაწყებული, დმერთი მიმართავს ქვეყანას და იმას, რაც მასზე წარმოიშობა. ამაში დრმა სიმბოლურობა ძევს. გამოჩენილი მეცნიერი ვ. ლოსკი წერს: „ეს არ არის ნეშტი რაიმე პრიმიტიული კოსმოგონიისა... შეუსაბამო ჩვენი კოპერნიკის შემდგომი სამყაროსი. გეოცენტრიზმი აქ არის არა ფიზიკური, არამედ სულიერი: ქვეყანა სულიერად ცენტრალიზებულია იმიტომ, რომ ის ადამიანის სხეულია, იმიტომ, რომ ადამიანი ცენტრალური არსებაა, ის არსება, რომელიც თავის თავში აერთიანებს გრძნობადსა და ზეგრძნობადს, და ამიტომ უფრო მეტი სისრულით, ვიდრე ანგელოზები, მონაწილეობს ქვეყნისა და ცის მთელ მწყობრში. სამყაროს ცენტრში ადამიანის გული ფეთქავს“ [12, 234-235]. ამიტომაც ადამის განსხვავებულობა ცხოველებისგან მის სიცოცხლეს ადამიანურს და განსაცვიფრებელს ხდის. თუმცა, არც სამყარო და არც დედამიწა ადამიანთა საკუთრება არ არის, ისინი

ღვთის საკუთრებაა: „უფლისა არის ქვეყნიერება და სავსება მისი, სამყარო და მისი მკიდრნი“ [ფსალმ. 23:1]. ადამიანები მდგმურები არიან ღვთის მიწაზე, ის მათ არ ეკუთვნით. ამიტომ ბიბლიაშივე არის გაცხადებული ის პირობები, რომელთა დაცვა აუცილებელია ადამიანებისათვის. მათი ცხოვრება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კარგად შესარულებენ ისინი ღვთის ნებას; რადგან ყოველი ქმნილება, ადამიანის ჩათვლით, შეიქმნა დმერთის სამსახურად და მისი ნების აღსასრულებლად [გამოცხ. 4:11]. სწორედ ამ ზნეობრივ პოსტულატს ეფუძნება რელიგიური პედაგოგიკა – ადამიანმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ ღვთის ნების შესარულება მისი არსებობის აუცილებელი პირობაა, ხოლო მისგან გადახვევა საფრთხეს უქმნის არა მარტო ადამიანის ცხოვრებას, არამედ სამყაროს არსებობასაც. ეს საშიშროება უკანასკნელ საუკუნეში კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. რადგან, მეცნიერების განვითარების შედეგად, ამჟამად პლანეტარული კატასტროფების ხელოვნურად გამოწვევაც კი შესაძლებელია, ამიტომ ადამიანზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, რაც ყველამ კარგად უნდა გააცნობიეროს.

ადამიანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა რამ დედამიწაზე, რადგან ყველაფერი ადამიანისთვის არსებობს და არა პირიქით. ადამიანის მნიშვნელობა ბევრად აღემატება სამყაროში არსებულ მატერიალურ ძალებს, რომელიც თვით ადამიანები ვართ დამოკიდებული. მაგალითად, ჩვენ მზის გარეშე ვერ ვიცოცხლებთ, მაგრამ, მნიშვნელობის თვალსაზრისით, მზე ადამიანს ემსახურება და არა პირიქით. იგი ადამიანისთვის შეიქმნა, როგორც მისი მსახუ-

რი და ღვთაება, როგორც ძველ ხალხებს მიაჩნდათ. ჩვენ ვიცით მზის დანიშნულება და ადგილი, მან კი არაფერი იცის ჩვენ შესახებ.

ფიზიკური სიცოცხლე საიდუმლოებად რჩება. არავითარი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, რომ თუნდაც ყველაზე პრიმიტიული მიკროორგანიზმები ოდესდაც სპონტანური თვითწარმოშობის შედეგად აღმოცენდნენ უსიცოცხლო მატერიისაგან. ეს ისევე ვერ მოხდებოდა, „როგორც ჯართის გროვისგან ქარიშხალი ვერ წარმოქმნის თანამედროვე მანქანას“ [6. 16].

რაც უფრო მეტი გაოცება და მოწიწება დაგვეუფლება სიცოცხლის საოცრების მიმართ, მით უფრო მეტად დავაფასებთ სიცოცხლეს. უმადურობა შემოქმედის მიმართ, გვეუბნება თორა, სიცოცხლის გაუფასურებისაკენ გადადგმული ნაბიჯია, მისგან გამომდინარე მახინჯი შედეგებით. ამის თაობაზე საყურადღებო მოსაზრება განავითარა ელექტრომაგნეტიზმის უუძემდებელმა, ფრანგმა ფიზიკოსმა, ანდრე მარი ამპერმა, რომელიც წერდა: „პუნქტიში შეგვიძლია ვჭვრიტოთ შემოქმედის საქმეები და მათი საშუალებით მივიდეთ შემოქმედის შეცნობამდე“.

საჭიროა ახალგაზრდებმა იცოდნენ, რომ ადამიანის სხეული და ტვინი ზუსტად დაბალანსებული სისტემაა, რომელსაც სათანადო მოვლა ესაჭიროება. ზომიერება ადამიანმა ყველაფერში უნდა გამოიჩინოს, თვითნებობამ შეიძლება დაარღვიოს სხეულისა და ტვინის ფაქტიზი სისტემა და უბედურებამდე მიყვანოს ადამიანი (ნიკოტინი, ალკოჰოლი, შიდსი, პროსტიტუცია...).

ადამიანს არათუ თხოვნას უსრულებს უფალი,

არამედ ზოგჯერ სჯის კიდეც. ამისთვის მოუგლენს სტიქიურ და ფიზიკურ უბედურებებს. თუმცა, როგორც ღვთისმეტყველები თვლიან, ესეც ადამიანის სასიკეთოდ ხდება, რადგან ღმერთს უნდა, ადამიანი მოქციოს სინაწულისკენ, დაიცვას ცოდვისაგან და სიკეთის გზაზე ატაროს. ამდენად, ღვთიური სასჯელი ბოროტება კი არა, უკეთურობისგან ადამიანის დაცვაა, რაც საბოლოოდ სიკეთებდ მასვე მოუბრუნდება. ამიტომ უნდა დაემორჩილოს ადამიანი ღვთიურ კანონებს და იმ ჰარმონიის თანაზიარი გახდეს, რომელსაც ეს კანონები ამკვიდრებს თვით ადამიანის საკეთილდღეოდ.

ღვთიური წესრიგის გამოვლენად და დედამიწაზე ჰარმონიის დამყარებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ღმერთმა ადამიანს შემოქმედებითი და ესთეტიკური ადქმის უნარი უბობა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ღვთიური წესრიგი ადამიანის ჰარმონიული არსებობისათვის აუცილებელი პირობა იყო. ამიტომ ღმერთმა მიწის ერთ ნაწილში ბადი გააშენა და იქ კაცი დაასახლა, რათა ბოძებულისთვის მოვლო. ბაღში მარტო საკვებად გამოსაყენებელი ხეები კი არ იყო, იქ „სანახავად“ სამო ხეებიც იდგა. აქედან გამომდინარე, ადამიანს უნარი შესწევს დააფასოს მშვენიერება. ამიტომაც აშენებენ ადამიანები ბაღებს – ესწრაფვიან სილამაზეს. ასეთი რამ ცხოველებს არ ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ გამრავლების პერიოდში ცხოველებსა და ფრინველებს ერთმანეთის კაშაშა შეფერილობა იზიდავთ, ზოგიერთი ჯიშის ფრინველი საწინააღმდეგო სქესის ყურადღების მისაპყრობად მდერის კიდეც, მათ მშვენიერების ადქმის უნარი

და შემოქმედებითი შესაძლებლობები არ გააჩნიათ. ასეთი უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს, რომლითაც იგი ღმერთს უახლოვდება. კაცობრიობის ისტორია ადამიანის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლუნა, ღმერთის, შემოქმედის მიბაძვაა. ხოლო ის, ვინც ღუპავს დედამიწას, აბინძურებს მდინარეებს, არღვევს ატმოსფერულ შრეებს და საფრთხეს უქმნის ჩვენს პლანეტას, ღვთის წინააღმდეგ ილაშქრებს. ამიტომ ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ, რომ ასეთი ადამიანები დიდ ცოდვას სხადიან. ბიბლიურ იუდაიზმში მნიშვნელოვანი მინიშნებებია მოცემული ამასთან დაკავშირებით. თანამედროვე მეცნიერები ზეობრივ-ეკოლოგიურ აღზრდაში ბიბლიურ საფუძლებს ხედავენ.

ადამიანმა სამყაროს ჰარმონიიდან ბევრი ისწავლა. სწორედ ეს მიზანი პქონდა ღმერთს, როცა მკაცრად რეგლამენტირებულ სამყაროს ქმნიდა. ზნეობის პირველი გაკვეთილები ადამიანებმა სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგისა და ჰარმონიის წყალობით მიიღეს, რომლისკენაც უფალი დღენიადაგ მოუწოდებდა: „შეკრიბე ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები, და ხიზნები, რომელიც შეხს კარიბჭებში არიან, რომ გაიგონ და ისწავლონ, და ეშინოდეთ უფლისა, შენი ღმერთისა, და შესასრულებლად დაიცვან ამ რჯულის ყოველი სიტყვა“ [III რჯლ. 31,12].

სამყაროში არსებული ჰარმონია და წესრიგი ადამიანებში ყოველთვის იწვევდა დადებით განწყობას და აჯანსაღებდა საზოგადოებას. ამის შესახებ ავტორიტეტული აზრი გამოთქმული აქვთ როგორც ქრისტიანული სამყაროს, ისე სხვა აღმსარებლობის მიმდევრებს. მაგალითად, დიდი ჩინელი ფილოსოფო-

სი კონფუცი მიიჩნევდა, რომ „ცა მასში ქმნიდა ზნეობას“. ხოლო, ბიბლიური ფსალმუნთმგალობელი დავითის აზრით, ეს ცაც და ორგვლივ ყოველივე დვოის შემოქმედების ნაყოფია: „...შევხედავ შენს ცას – შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე. უფალო, ჩვენო მბრძანებელო! რაოდენ დიდია შენი სახელი მთელს ქვეყანაზე“ [ფსალმ. 8:4,10]. ამის მიუხედავად, უფლის ნებით შექმნილი სამყარო მაინც წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა, რადგან ადამიანმა ვერ გაამართლა იმედები. ამიტომაც ზრუნავს დღენიადაგ შემოქმედი დაცემული ადამიანის ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის.

ადამის მოდგმამ ჯერ კიდევ ედემის ბალში გაუცრეა იმედები ღმერთს, როცა არ დაემორჩილა უფლის ნებას და აკრძალული ხის ნაყოფი იგემა, რასაც შემდგომში ახალი იმედგაცრუება მოჰყვა კაჭნის საშინელი ცოდვის სახით: „იხილა უფალმა, რომ გამრავლდა ბოროტება ადამიანისა მიწაზე, და მისი გულის ყოველი წადილი მუდამ ბოროტება იყო. და ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი მიწაზე და დამწუხებდა თავის გულში“ [დაბ. 6, 5-6]. ღმერთს არ შეუძლია შეეგუოს გარყვნილებასა და ბოროტებას, ამიტომ განიზრახა მიწის პირიდან აღგვა და განადგურება ყოველივე იმისა, რაც მანვე დიდი სიყვარულით შექმნა. ეს აქტი თვალნათლივ მიგვანიშნებს, რომ ღმერთმა სამყარო სიკეთისა და წესრიგისათვის შექმნა ასე მიმზიდველი. მისი საბოლოო მიზანი ამ სამყაროს გვირგვინის – ადამიანის მაღალი ზნეობა და არა მისი დაცემა, ბოროტების გამრავლება, რაც ადამიანის სისუსტის ბრალია. ღმერთი ყოველნაირად უწყობს ხელს დაცემულ ადამიანს ცოდვე-

ბის გამოსყიდვაში. ეს პირველად გამოვლინდა მაშინ, როცა ღმერთმა ედემის ბაღიდან გამოაძევა ადამი და ევა. მათ საკუთარი შრომით უნდა მოეპოვებინათ სარჩო-საბადებელი, მაგრამ უფალი მაინც არ აკლებდა მზრუნველობას დაცემულ ადამიანებს. თუმცა, შედეგი კვლავ არასახარბიელო აღმოჩნდა. ამიტომ ღმერთმა სამყაროს წარდგნა მოუვლინა, მაგრამ სიკათით სავსე ნოე და მისი შთამომავლები გადაარჩინა. ამის შემდეგ უფალი კვლავ აგრძელებს ნოეს შთამომავლებსა და სხვა სულიერ არსებებზე ზრუნვას: „აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი ძენი და უთხრა მათ: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ და ადაგსეთ მიწა, და ადამიანის სისხლის დამდგრელის სისხლი ადამიანის მიერვე დაიღვრება“ (დაბ. 9:6). ღმერთმა წარდგნის მოვლინებით დაასრულა გაურჩებული ადამის შთამომავლების დასჯა და ნოეს მემკვიდრეებთან აღთქმა დადო, რომელიც არსებითი ზნეობრივი ღირებულების შესრულებას ითვალისწინებს ადამიანთა მხრიდან, ხოლო, თავის მხრივ, ღმერთი ნოეს მოდგმას (ადამიანებს) წარდგნით აღარ ემუქრება. თუმცა, მისი ყურადღება სამყაროს კანონზომიერებათა დაცვასა და ადამიანთა ზნეობას ყოველთვის თავს დასტრიალებს.

მრავალი საუკუნე და ადამიანთა მოდგმის უამრავი თაობა დასჭირდა იმაში დარწმუნებას, რომ ადამმა და ევამ უმძიმესი ცოდვა ჩაიდინეს. სწორედ პირველი ცოდვიდან იმატა უკეთურობამ და პირველ ურჩობას მრავალი ბოროტება მიემატა. კაცობრიობა ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდა, რომ დვოის ურჩობა და ცოდვით დაცემა კარგს არაფერს უქადის თვით მას და მოელ სამყაროს.

ღმერთი რომ იმ მომენტში გამოჩენილიყო და გვე-

ლის მიერ ევას ცდუნებისათვის ხელი შეეშალა, ევა და ადამი ვერასოდეს გაიგებდნენ, თუ როგორი დამლუპელი შედეგები შეიძლება მოუტანოს ადამიანს თავისუფალი ნების ბოროტად გამოყენებამ.

ადამისა და ევას პირველცოდვამ გამოიწვია დვთისაგან გაუცხოება. ამის გამო ღმერთთან ურთიერთობა ველარ იქნება სასიამოვნო და შიშისაგან თავისუფალი. თუმცა, ღმერთმა მაინც არ გაწირა თავისი შექმნილი ადამიანი და მუდამ ეხმარება ცოდვის გამოსყიდვაში: „უფალს არ წაურთმევია ადამიანისათვის არც ხატი დვთისა, არც თავისუფალი ნება, სულიერ საწყისთა შემმეცნებელი გონება და სხვ. ღმერთი ადამიანს მოექცა, როგორც მკურნალი და აღმზრდელი – სამოსით დაფარა მისი სიშიშვლე. ღმერთმა ადამიანი ფიზიკურ სიკვდილს დაუქვემდებარა, რათა აეცილებინა მისთვის საბოლოო, სულიერი სიკვდილი, ანუ მასში ცოდვის საწყისების უკიდურესი, სატანურ ზღვარს მიღწეული განვითარება. საღვთო განგებულებამ წინასწარ განჭვრიტა ადამის ჯერ კიდევ განუმტკიცებელი თავისუფალი ნების დაცემა და მისი აღდგინებაც ასევე წინასწარ მოაწყო. ადამის ცოდვით დაცემა არ იქცა კაცობრიობის გამოუსწორებელ დაღუპვად. დვთის წინასაუკუნო განჩინების თანახმად, მის ამაღლორძინებელ ძალად დედამიწაზე გარდამომხდარი ძე დვთისა იქცა¹ ამით ღმერთმა ადამიანს ცოდვათა გამოსყიდვის შანსი კვლავ შეუნარჩუნა.

ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანთა ურთიერთობები გასასტიკდა. თუნდაც მარტო ის რად დირს, რომ

1 პროტორევესიტერი მიქაელ პომაზანსკი, დოგმატური დვთისმეტყველება, თარგმნა ნინო ბელთაძემ (სერია: მართლმადიდებლური დოგმატიკა, თბ., 2004, გვ. 108-109).

ბავშვის დაბადება დიდ ტკივილთან იქნება დაკავშირებული; შემდგომ მისი აღზრდა-განათლება ხომ ფათერაქებითაა აღსავსე, ხოლო ლუკმა-ბურისათვის უმძიმესი ჯაფა ადამიანის მუდმივი თანამგზავრია წუთისოფელში. მაგრამ თავდაპირველი ანტაგონიზმი მაინც კაცსა და ქალს შორის ჩაინერგა, რადგან მამაკაცები ცდილობენ თავიანთი უპირატესობა გამოყენონ ქალებზე გასაბატონებლად, თუმცა, ღმერთმა, თავისი ხალხის სიყვარულის გამო, აქაც დაამკვიდრა სიყვარულის იდეალი ცოლ-ქმარს შორის: „ამიტომ მიატოვებს კაცი თავის მამას და თავის დედას და მიეკრობა თავის ცოლს, და ორივენი ერთ ხორცად იქნებიან“ [დაბ. 2:24].

როგორც ითქვა, ცოდვით დაცემის შედეგად შრომა ადამიანს მძიმე ტვირთად ექცა, რასაც ავადმყოფობა და ეპიდემიებიც დაერთო. ამდენად, ადამიანის ცხოვრება აღარ იყო საამო და უსაფრთხო. თუმცა, ღმერთი მასზე ზრუნვას აგრძელებდა და ხსნის გზაც მუდამ თავისუფალი იყო, მაგრამ არა აღვილად მისაღწევი, ადამიანის დიდი ცოდვების გამო. გონიგრული დასკვნის გაკეთება თითქოს ძნელი არ უნდა იყოს, როდესაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო მოვალეობის შეუსრულებლობა ხშირად დიდ უსიამოვნებებს იწვევს, ანუ ის, რაც ძალიან იოლია, ძალიან როული შესასრულებელი ხდება. სწორედ ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ადამისა და ევას ცოდვით დაცემა. ამიტომაც არის აღზრდის პროცესი მრავალმხრივი და რთული.

საყურადღებოა ადამიანთა გაერთიანებული ძალისხმევის დვთიერი შევასება ბაბილონის გოდოლის მაგალითზე. ლოგიკურია, კვლავ დაგსვათ კითხ-

ვა: რა საჭირო იყო გოდოლის აშენება? ხალხის ერთი ნაწილი ამბობდა: „აი, წარდვნა იყო. ახალი წარდვნის შემთხვევაში ჩვენ კოშკზე ავტორებით და წყალი ვერ მოგვწვდება“. ხალხის მეორე ნაწილი ფიქრობდა: „ჩვენ შევქმნით ჩვენთვის სახლს“. ისინი აპირებდნენ კოშკის თავზე შეკრების ადგილის მოწყობას, საიდანაც კერპებს მოემსახურებოდნენ. კიდევ სხვა ჯგუფი აცხადებდა: „არ არის სამართლიანი ერთი ღმერთის (ჰამეშის) მბრძანებლობა“. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ: „წარდვნა იყო ბუნებრივი მოვლენა და როგორც დროდადრო ცა ისე ირჩევა, რომ საჭიროა მისი დამაგრება. ჩვენ გავაკეთებთ ისეთ მაღალ კოშკს, რომ ცა მას დაქმდნოს. მაშინ ჩვენ ჰამეშის აღარ შეგვეშინდება!“ [2,48].

მთავარი შეგონება, რომელსაც ბაბილონის გოდოლის ეპიზოდით ადამიანებს ღმერთი აუწეს, ისაა, რომ „კოშკის“ აშენება დედამიწაზე ნამდვილად საჭიროა, მაგრამ არა ბაბილონის, არამედ დვოიურის. საჭიროა თორასა და ლოცვების, მცნებებისა და კეთილი საქმეების იმგვარად გამრავლება, რომ კოშკი უფრო მაღლა მიწვდეს, ვიდრე ადამიანის სხეულებრივი მოთხოვნილებები. სწორედ ასეთი კოშკი იქნება დვთის მიერ კურთხეული და, როგორც ქრისტიანული ჭეშმარიტება სულის ტაძრის – ეკლესიის შესახებ გვაუწეს, „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათ. 16,18).

უკელაზე სრულყოფილი, ვინც ღმერთმა სამყაროში შექმნა, ადამიანი იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, არ დაუშვა მისი გაამპარტავნება. ამიტომ აურია ენა,

1 ჰაშემი – ებრაულად ღმერთი. ნაშრომში ვიყენებთ ორივე სახელდებას.

რათა ადამიანებს ვეღარ გაეგრძელებინათ ბაბილონის გოდოლის შენება და მიმოფანტულიყვნენ დედამიწის სხვადასხვა მხარეს.

ღმერთის მიერ ენათა აღრევის აქტს კიდევ ერთი გარემოება ახლავს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დედამიწაზე ჰარმონიის დამკვიდრებაში. როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, სამყაროს მრავალფეროვნება მისი ჰარმონიულობის უმთავრესი წინაპირობაა. ამიტომ სხვადასხვა ერები და ეროვნებები სრულყოფილებას სძენენ ჩვენს მიწიერ ცხოვრებას, რომლის განუყოფელი კომპონენტი ენათა მრავალფეროვნებაცაა. ამდენად, ღმერთის მიერ ბაბილონის გოდოლის მშენებლობის შეჩერება, რაც ენათა აღრევის გზით მოხდა, ლოგიკურად სამყაროში წესრიგისა და ჰარმონიის ისეთი შემადგენელი ელემენტების შემოტანის წინაპირობა გახდა, როგორიც ენების და ხალხების წარმოშობა იყო.

დაბადების წიგნში დვთიური წესრიგისა და ჰარმონიის დამკვიდრების კიდევ რამდენიმე ეპიზოდია. მათგან გავისხენოთ სოდომისა და გომორის განადგურების ამბავი, რომელიც დიდ ზნეობრივ-აღმზრდელობით პლასტებს შეიცავს, მაგრამ მასში დვთიური წესრიგი და ჰარმონია მაინც მნიშვნელოვნად გვესხება. სწორედ ეს უკანასკნელი არიან თავისთავად ზნეობრივ დირებულებათა საფუძველი, რადგან ზნეობა კანონზომიერებას, წესრიგს და ადამიანთა შორის მართლზომიერ ქმედებას გულისხმობს.

რაც შეეხება სოდომის ეპიზოდს, იგი იყო ადამიანთა არა მარტო ზნეობრივი გაუკუდმართება, არამედ გამოწვევა და პროტესტი ბუნების კანონზომიერებათა წინააღმდეგ, რომელიც არ დაუშვა დვთიური წესრი-

გისა და ჰარმონიის მოსურნე უფალმა და „... დაამხო ეს ქალაქები და მთელი მათი შემოგარენი, და ყოველი მკიდრი ამ ქალაქისა და ყოველი მცენარე მიწოსა“ [დაბ. 19:25].

დედამიწაზე დვთიური წესრიგი ყოველგვარი განვითარებისა და პროგრესის საფუძვლად არის მიჩნეული, ამიტომ უფალი დდენიადაგ დასტრიალებს თავს მისსავე შექმნილ ადამიანს და ზნეობრივი კატაკლიზმებისგან იცავს მას; თუმცა, რადიკალური ზომებისგანაც არ იხევს უკან და ხშირად უმკაცრესი განაჩენიც გამოაქვს, მაგრამ სასჯელიც ადამიანისავე საკეთილდღეოდ წესდება, რათა არ განადგურდეს მთავარი – არ დაირდეს დვთიური წესრიგი და ჰარმონია.

გამოსვლათა წიგნში დმერთი მრავალგზის მოუწოდებს თავის რჩეულ ხალხს დადგენილი წესების დაცვას [გამ. 13:10], მაგრამ ეს მარტო ზოგადი მოწოდება როდია, აქ არის მოცემული ზნეობრივი კოდექსი და მთელი ცხოვრების საზრისი [გამ. 20:1-17], რომლის შესახებ საგანგებო მსჯელობა ქვემოთ გვექნება. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ამავე წიგნში უფალი რჩეულ ხალხს მოსეს შეშვერბით ყოველდღიური ცხოვრების ისეთ წესებს უდგენს, როგორიცაა: დადგენილება მსახურთა შესახებ, ადამიანის დაზიანების შესახებ, ქურდობისა და საზღაურის, აღთქმებისა და შესაწირავების, სამსხვერპლოს, გამოსასყიდის და სხვადასხვა აკრძალვის შესახებ [გამ. 21:22-23].

როცა დმერთმა შექმნა სამყარო (მიწა, წყალი, მნათობები, ცოცხალი არსებები და სხვა არაცოცხალი საგნები და მოვლენები) და მისი გამორჩეული

უმაღლესი არსება – ადამიანი, წესები და კანონები დაუდგინა, რომლებიც ურთიერთდამოუკიდებელი და, ამავე დროს, ერთმანეთის განმაპირობებელიც არის. ადამიანებმა აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ, როგორც დაუშვებელია პლანეტათა მოძრაობის შეცვლა ან მზის სისტემის კანონზომიერებათა დარღვევა, რასაც კატასტროფები და სიცოცხლის განადგურება მოჰყვება, ისე არ შეიძლება უფლის მიერ ადამიანებისთვის დადგენილი წესებიდან გადახვევა; რადგან ადამიანი მიწიერი ცხოვრების გვირგვინია, უფლის მიერ დადგენილი, და მისი ყოველი გადაცდომა შემოქმედის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯია. ამიტომ ადამიანის მიერ დვთიური წესრიგის დარღვევის თითოეული მცდელობა ცოდვად მიიჩნევა, რასაც იუდაიზმში ფუძემდებლური მნიშვნელობა ენიჭება.

მიწიერი ცხოვრება ზედმიწევნით რაციონალურად არის მოწყობილი. როგორც ზემოთ ითქვა, ცოცხალი არსებები და არაცოცხალი სინამდვილე ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ განაპირობებენ ერთმანეთის არსებობას და ფუნქციებს. ასეთი გონივრული ურთიერთმიმართება, სამყაროში არსებული დვთიური წესრიგი და ჰარმონია იმის მტკიცე საფუძველია, რომ ადამიანებმა იწამონ დვთის არსებობა, რაც ხელს არ უშლის ცხოვრების ემპირიულ შემეცნებას; პირიქით, იგი შემოქმედის მიმართ რწმენით ადავსებს ადამიანს.

ერთი შეხედვით, თითქოს დმერთმა გამოარჩია ებრაელი ერი და მასზე დააწესა მზრუნველობა, მას დასტრიალებს თავზე და მის მიერ უფლის დადგენილი წესების შესრულებას განაპირობებს: „და ასწავ-

ლოთ ისრაელის ქეთ, ყოველი წესი, რომელიც უთხრა მათ უფალმა მოსეს ხელით“ [ლევ. 10:11]. მაგრამ უფრო სიღრმისეულად თუ დავაკვირდებით უფლის სიტყვას, ჭეშმარიტება სხვაგვარია. დმერთისათვის ადამიანი განიჩევა მხოლოდ იმით, რამდენად იცავს იგი ღვთის განგებას. მართალია, უფლის რჩეული ხალხი ებრაელი იყო, მაგრამ დმერთისთვის მაინც ყველა ერთია, რადგან „აბრაამი რომ გახდება დიდი და ძლიერი ერი, და მისით იკურთხება ყველა ერი“ (დაბ. 18:18). ცხადია, ერთი რჩეული ერის მეშვეობით დმერთი მთელ კაცობრიობაზე ზრუნავს. მისთვის არ არსებობს ეროვნული, რასობრივი და სხვა განსხვავებანი, მთავარია, ადამიანი ასრულებდეს უფლის მცნებებს. ასეთია ღვთიური წესრიგის გამოვლინება სხვადასხვა ხალხთან მიმართებით.

ღვთის მიერ სამყაროს შექმნა ყველაზე პრძნული აქტი იყო, ამიტომ არის იგი საყოველთაო წესრიგის ნიმუში. თუმცა, მარტო სამყაროს შექმნა ბევრი ვერაფერი სიკეთე იქნებოდა, ამას რომ მისი რაციონალური მოწყობა არ მოჰყოლოდა. სწორედ წესრიგსა და დედამიწის რაციონალურ გამართულობას განაპირობებს ცოდნა და უმაღლესი გონიერება, რადგან „უფალმა სიბრძნით დააუუმნა დედამიწა, გონებით განამტკიცა ცა“ [იგავ. 3,19]. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაზე კარგად მოწყობილი სამყაროც ვერას გახდებოდა, თუ მასში უწესრიგობა და ქაოსი დაისადგურებდა. მაგრამ პრძნულად შექმნილს ისევ გონიერება მიჰყვება კვალში, რათა შეინარჩუნოს და მუდმივად განამტკიცოს ღვთიური წესრიგი უპვე ადამიანთა შორის, რადგან სწორედ ადამიანთათვის შექმნა ყოველივე და მას ადამიანმა უნდა უპა-

ტრონოს ღვთის განგებულების შესაბამისად. სწორედ ამაზე მიუთითებს კვანტური თეორიის ფუძემდებელი, გერმანელი ფიზიკოსი მაქს პლანკი: „საითაც არ უნდა გავიხედოთ, რა საგანსაც არ უნდა დავაკვირდეთ, ვერსად ვიპოვით წინააღმდეგობას მეცნიერებასა და რელგიას შორის. პირიქით, ჩვენ აშკარად დავინახავთ მათ შორის სრულ ჰარმონიას – რელიგიაც და მეცნიერებაც ეძებს ჭეშმარიტებას და მიდის ღვთის აღიარებამდე“.

ამდენად, ღვთიური წესრიგი და ჰარმონია არ არის რაღაც განყენებული იდეა, მას კონკრეტული დანიშნულება აქვს, რაც ადამიანის მიერ მის გაცნობიერებაში, დაცვასა და განმტკიცებაში მდგომარეობს. ამიტომ ადამიანმა უმაღლესი ზნეობის გაპვეთილები სამყაროს ღვთიური წესრიგიდან უნდა მიიღოს. უფლის მცნებათა დაცვა ღვთიური წესრიგის გამოვლენა თითოეული ადამიანისაგან. დმერთი კანონებისა და კანონზომიერებათა დაცვისაკენ მოუწოდებს ყველას. სიმართლის მსახურების შეგნება თაობიდან თაობაში უნდა გადადიოდეს, სწორედ ამით დამყარდება ღვთიური წესრიგი და ჰარმონია. როგორც დაბადების წიგნი გგასწავლის: „რადგან ამოვირჩიე, რომ ამცნოს თავის ძეებსა და თავის სახლს თავის შემდეგ, რომ დაიცვან გზა უფლისა, ქმნან სიმართლე და სამართალი, რათა შეუსრულოს უფალმა აბრაამს, რასაც შეპპირდა“ [დაბ. 18,19].

ღვთიური წესრიგი უფლის განგებულების შესრულებას ავალდებულებს ყველას, მათ შორის, ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომლებმაც სხვებზე მეტად უნდა დაიცვან ღვთიური მცნებები და ამით სამაგალითონი გახდნენ თავიანთ ქვეშევრდომთათვის:

„მაშ, მისმინეთ და შეიგნეთ, მეფენო, ისწავლეთ მოქლი დედამიწის მსაჯულნო! ყურად იდეთ, მრავალოთა მბრძანებელნო, ქედმაღლურად რომ დაჰყურებთ ხალხებს! უფალმა მოგანიჭათ ძალაუფლება, უზენასმა-მეუფება; ის გამოიძიებს თქვენს საქმეებს და თქვენს ზრახვებსაც გამოსცდის“ [სოლ. 6:1-3]. მართალია, მეფებს უმაღლესი ძალაუფლება უპყრიათ ხელო, მაგრამ ეს ძალაუფლება უკონტროლო არაა. ყველა წესს უფალი ადგენს. ზღვარგადასულ ქცევას ღმერთი არ დაუშვებს, რადგან ღვთიური წესრიგი უმაღლესი ჰარმონია, რომელსაც ყველა უნდა ემსახუროს. ხოლო ხალხის წინამდოღო გაცილებით დიდი მისია აკისრიათ: „ბრძენი მსაჯული აღზრდის თავის ხალხს და გონივრულ მმართველობას დაამყარებს. როგორიცაა მმართველი, ისეთნივე არიან მისი მსახურნი. როგორიცაა ქალაქის თავი, ისეთნივე არიან მისი მცხოვრებიც“ [ზირ. 10:1-2]. წესრიგისაკენ მოწოდება ღმერთისთვის თვითმიზანი არ არის – ღვთიური წესრიგი ყველასათვის სასარგებლოა, მისი მიმდევარი ადამიანი სრულყოფილია, რადგან ჰარმონიულად ეწერება ღვთიურ სამყაროში და მისი ორგანული ნაწილი ხდება; ხოლო უფლის მცნებათა დამრღვევი ეწინააღმდეგება სამყაროს ღვთიურ წესრიგს, მის ღვთიურ გამართულობას და, დღევანდელი ტერმინით რომ ვთქვათ, ანაქრონიზმად იქცევა. ღმერთმა სამყარო წინააღმდეგობებისა და კატაკლიზმებისათვის კი არ შექმნა, არამედ მისი სურვილი საყოველთაო სიყვარული და ჰარმონია იყო: „სიყვარული კი ისაა, რომ დაიცვა მისი კანონები, ხოლო კანონთა დაცვა უკვდავების საწინდარია, უკვდავება კი ღმერთთან გვაახლოებს“ [სოლ. 6:19-19].

სამყაროს გაჩენიდან ღვთიური წესრიგი მისი აუცილებელი კომპონენტი იყო. უსახურ-უდაბური ბეჭლეთისა და ქაოსისაგან შექმნა ღმერთმა ყოველივე, რაც გვხიბლავს თავისი წესრიგითა და გამართულობით. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი მანიშნებელი იმისა, საიდან უნდა აიღოს ადამიანმა მაგალითი, ვის უნდა მიბაძოს, რადგან ყველაზე თვალსაჩინო სიბრძნე სამყაროს ღვთიურობა, მისი წესრიგიანობა და ჰარმონიულობაა. ამიტომ გონიერია ის, ვინც ამას კარგად აღიქვამს და სწორ დასკვნებს აკეთებს. გონიერებას და სიბრძნეს ძველი აღთქმა განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა: „ბრძენთა სიმრავლე სამყაროს ხსნაა, გონიერი მეფე კი – ხალხის კეთილდღეობა“ [სოლ. 6,24].

ღვთის განგებით შექმნილი სამყარო ყველაზე დიდი სახელმძღვანელო წიგნია, რაც კი ოდესმე შექმნილა ან მომავალში შეიქმნება. ადამიანების ვალია ეს წიგნი წაიკითხონ და შეიცნონ. იგი გვიჩვენებს ცხოვრების ჭეშმარიტ გზას, რაც გულისხმობს ჩვენს ყოველდღიურ ყოვაცხოვრებაში ღვთიური პრინციპების დაცვას. სამყაროს შექმნის აქტის გაცნობიერება მხოლოდ მორწმუნეთ შეუძლიათ. საღვთო წიგნები მხოლოდ რწმენით შეიცნობა და მარტო განსწავლობა აქ საკმარისი არ არის. სწორედ ამას გვაუწყებს IV საუკუნის მეუდაბნოე ამბა ანტონი, რომელსაც ეწვია გამოჩენილი ფილოსოფოსი და ჰკითხა: „ამბა, როგორ შეგიძლია იცხოვო აქ, წიგნის კითხვით მიღებული ნუგეშის გარეშე?“ მეუდაბნოემ ხელით მიუთითა ცაზე, უდაბნოსა და მთებზე და უპასუხა: „ტემი წიგნი, ფილოსოფოსო, არის ქმნილი საგნების ბუნება, და როდესაც მოვისურვებ, შემიძლია იქიდან


ამოვიკითხო ღმერთის საქმენი“.

სამყაროს ღვთიურ სრულყოფილებასა და მის აღმზრდელობით როლზე მიუთითებს უდიდესი რუსი მეცნიერი და პედაგოგი მიხეილ ლომონოსოვი: „შემოქმედმა ადამიანთა მოდგმას ორი წიგნი მიანიჭა. ერთშითავისი სიდიადე აჩვენა; მეორეში – თავისი ნება გაუმჯდავნა. პირველი წიგნი – ეს არის ხილული ქვეყანა, რომელიც უფალმა იმისათვის შექმნა, რომ ადამიანს, შეხედავდა რა ამ უზარმაზარ, მშვენიერ და გამართულ შენობას, მისთვის მინიჭებული შემეცნების უნარის წყალობით, ეღიარებინა ღვთის ყოვლადღლიერება. მეორე წიგნი – წმინდა წერილია. მასში შემოქმედი გგაკურთხებს სულის ცხონებისაკენ. წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ამ ღვთივსულიერ წიგნებში განმმარტებლები არიან ეკლესიის დიდი მოძღვრები. ხოლო პირველად ნახსენები წიგნის განმმარტებლები, რომელშიც მოცემულია ხილული სამყაროს აგებულება, არიან ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ასტრონომები და ბუნებაში გამოვლენილ სხვა ღვთიურ მოქმედებათა ამსხსელნი“.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: რაკი სამყაროში არსებული ღვთიური წესრიგი და პარმონია პირდაპირ შეესაბამება უფლის მიერ დადგენილ წესებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამყაროს უზენაესი არსება, ადამიანი, უფლის მზრუნველობისა და მგარველობის ქვეშაა, აქედან გამომდინარე, ადამიანი ღვთიური წესრიგის მთავარი წარმმართველი ძალა უნდა იყოს, რაც უფლის მიერ დადგენილი წესებით ცხოვრებაში გამოიხატება. თუმცა, სწორედ ეს აღმოჩნდა ყველაზე რთული პრობლემა ცოდვით დაცემული ადამიანისათ-

ვის. ამიტომაც არის უფლის ძალისხმევა მიმართული ადამიანის გაკეთილშობილებისკენ, რაშიც გარკვეულ როლს ღვთიური რწმენით აღვსილი ადამიანის აღზრდა ასრულებს.

გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთობა თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში მოზარდის განვითარების, პიროვნებად ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფაქტორადა მიჩნეული და მას ემპირიზმის თეორიის სახით იცნობენ. სწორედ გარემო პირობები ახდენს ბავშვის ფორმირებაზე ზემოქმედებას (მემკვიდრეობასა და აღზრდასთან ერთად), რაც ღვთიური წესრიგისა და პარმონიის სრული განსახიერებაა. ამიტომ იგი ბიბლიური იუდაიზმის აღზრდის მსოფლმხედველობრივ საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ.



კანონის (რეულის) პედაგოგიკა იუდაიზმი

უფასომის თანახმად, დვთიური მიცვები (მცნებები) თავად ადამიანის სასიკეთოდ არის ნაბრძანები [3,28]. გამჩენმა უთხრა მოშეს: „ამოდი ჩემთან მთაზე და იქ იყავი და მე მოგცემ ქვის ლუხოთებს – ფილებს... და მცნებებს, რომლებიც ხალხისათვის შესასწავლად აღვძესდე“ (შმოთი 24:12).

„და საუბრის შემდეგ სინაის მთაზე მოსეს მოწმობის ფილები, დვთის თითოთ დაწერილი ქვის ორი ფილა გადასცა“ (შმოთი 34:18). ამ ქვებზე დაწერილ სიტყვებს ებრაელებსა და ჰაშემს შორის არსებული

კავშირი უნდა დაემოწმებინა და სწორედ ამიტომ მათ „ლუხობ ჰაბრიო“ – „აღთქმის დაფები“ ეწოდა.

კაცობრიობის ისტორია და, მათ შორის, ებრაელი ხალხის ისტორია მოსეს დროიდან ქრისტეშობამდე აღსავსეა უდიდესი საოცრებებით: დვთიური გამოცხადებებითა და წინასწარმეტყველებებით.

მსოფლიო წესრიგი და ჰარმონია, რაც დმერთმა დაამკვიდრა სამყაროში, ადამიანის კეთილდღეობისათვის შეიქმნა. მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო სრულყოფილი. სწორედ ამას ემსახურებოდა რჩეული ერის მონობიდან განთავისუფლება, რადგან თვით დმერთმა უწყოდა უპირველესად, რომ დვთიური წესრიგი და ჰარმონია მონობაში ვერ დამკვიდრდებოდა. თუმცა, არც მარტო თავისუფლება იყო ამისათვის საკმარისი. ამიტომ დმერთი თავის რჩეულ ხალხს ყველაზე უმთავრესს – რჯულს აძლევს: „და ახლა ისმინე, ისრაელო, წესები და სამართალი, რომელთაც მე გასწავლით თქვენ შესასრულებლად, რათა იცოცხლოთ და მიხვიდეთ და დაიმკვიდროთ ის ქვეყანა, რომელსაც უფალი, თქვენი მამების დმერთი, გაძლევთ თქვენ“ (II რჯ. 4,1). ეს იყო სრულიად ახალი ეტაპი კაცობრიობის ისტორიაში. სწორედ აქ, სინას მთაზე აუწყა დმერთმა მოსეს და, მისი სახით, მთელ კაცობრიობას ცხოვრების მიზანი და ადამიანობის უმაღლესი მისია: „შეხედეთ, გასწავლეთ თქვენ წესები და სამართალი, როგორც მიბრძანა მე უფალმა, ჩემმა დმერთმა, აღსასრულებლად იმ ქვეყანაში, სადაც თქვენ მიდისართ დასამკვიდრებლად“ (II რჯ. 4,5). უაქტობრივად, სინას მთაზე მოხდა იმის საზეიმოდ აღიარება, რომ უფალი დვთიური მისის აღსასრულებლად ირჩევდა ებრაელ ხალხს,

მაგრამ მას გარემოულ პირობასაც უყენებდა: „...თუ მოუსმენო ჩემს ხმას და დაიცავთ ჩემს აღთქმას, ამოგარჩევთ ჩემს საკუთრებად ყველა ხალხიდან... და თქვენ იქნებით ჩემთვის მდგდელთა სამეფოდ და წმიდა ერად“ (გამ. 19:5-6). ადამის მოდგმის ცოდვით დაცემის მიუხედავად, ღმერთი მაინც ზრუნავს მის შთამომავლებზე და ზნეობრივ კოდექსს უმზადებს, რომელშიც ყველაზე ბრძნული და წმიდა მცნებებია გადმოცემული, ვიდრე აქამდე ვინმეს უნახავს ან მოუსმენია, რადგან მოსეს მცნებებს წარმართულ სამყაროში ანალოგი არ გააჩნდა. ადრე არსებულ სტიქიურ პრინციპებს, რომლებიც პოლითეისტურ პანთეონზე იყო დაფუძნებული, ათი მცნების სახით სულიერებით აღსავსე ზნეობრივი ნორმები უპირსკირდება, რომლებიც მიზნად ისახავდა ცხოვრების წესიდან ზღვარგადასული ეგოიზმის აღმოფხვრას და ადამიანთა შორის პარმონიული თანასწორობის დამკვიდრებას, რაც შემდგომში კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარი გახდა.

მოსეს კიდევ ერთი წოდებაც აქვს. მას არ მოიხსენებენ, როგორც „მეფე მოშეს“, ან „წინასწარმეტყველ მოშეს“. მას უწოდებენ „მოშე რაბეინუ“-ს – „მოშე ჩვენი მასწავლებელი“, რადგან ორმოცი წლის მანძილზე სწორედ მოშე ასწავლიდა ხალხს მცნებებს და უხსნიდა კანონებს [3:169-170].

„მოშემ ისრაელი გაიყვანა მეწამული ზღვიდან და ისინი უდაბნოში მივიდნენ...“ (შმოთი 15:22). აქ ისინი სამი დღე უდაბნოში დადიოდნენ. ამ დროის განმავლობაში მათ შეწყვიტეს თორას შესწავლა, ამიტომ ღმერთმა, სასჯელისა და განსაცდელის სახით, სასმელი წყალი შეუწყვიტა. თუმცა, თორასთან დაბ-

რუნებამ კვლავ იხსნა ისინი. ამიტომ, თუ ებრაელები თორას მიცვებს შეასრულებენ, მათი სიცოცხლე სამართლიანი და მშვიდი იქნება [2,281-282].

„პაშემმა მთიდან მოშეს მოუხმო: „ასე უთხარი იაკობის სახლეულს და აუწყე ისრაელის შვილებს...“ (შმოთი 19:3), გვაუწყებს თორა. ეს მიმართვა უთუოდ ბადებს ასეთ კითხვას: რატომ უწოდა პაშემმა ებრაელებს ორი სახელი – „იაკობის სახლეული“ და „ისრაელის შვილები?“

საქმე ისაა, რომ „ისრაელის შვილებში“ თითქოს მხოლოდ კაცები მოიაზრება, არადა, პაშემი კავშირს ყველასთან ამყარებს – კაცთან და ქალთანაც. ამიტომ პაშემმა ჯერ „იაკობის სახლეული“ (ქალები) ახსენა, რათა მოშეს სცოდნოდა, რომ სწავლება უნდა გადაეცა ქალებისთვისაც და კაცებისთვისაც.

აქვე ლოგიკურად ჩნდება კიდევ ერთი კითხვა: რატომ ეწოდება ქალებს „იაკობის სახლეული“? ადამიანის ოჯახს მისი შვილები წარმოადგენს. ვინ უვლის, ეფერება, ზრუნავს და ახდენს მათზე აღმზრდელობით ზემოქმედებას? ამას, უპირველეს ყოვლისა, ქალები აკეთებენ. სწორედ ამიტომ პაშემმა ისინი კაცებზე ადრე ახსენა, რადგან სურდა, რომ ქალებს ბაგშებისათვის პაშემის რწმენა და იმედი დაბადებისთანავე ჩაენერგათ.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მიდრაშის კომენტარი, თურატომ უბრძანა პაშემმა მოშეს თორას მცნებები ჯერ ქალებისათვის გაეცნო და შემდეგ კაცებისათვის.

ებრაული ტრადიციის თანახმად, ქალები უფრო ადრეულ ასაკში (12 წლის) ხდებიან ვალდებული, შეასრულონ მცნებები. თუ ქალებს ღმერთი პა-

ტივს დასდებს, ისინი მიცვებს უფრო გულმოდგინედ შეასრულებენ და ბავშვებსაც ასწავლიან. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ ღმერთმა პირველი აღთქმა ადამთან დაღო, რაც ხავას (ევას) მეშვეობით დარღვეულ იქნა. ამიტომ ღმერთი გადაწყვეტს შთააგონოს ქალებს, რომ მიცვების (მცნებების) დარღვევა უპარიებელია როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისთვისაც [3,9].

როგორც მიდრაში განმარტავს, მოსე თრმოცი დღე იმყოფებოდა ზეცაში და თორას სწავლობდა. მეორმოცე დღის დასასრულს მიიღო თრი დაფა, რომლებზეც ათი მცნება იყო აღბეჭდილი. ეს მოხდა ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლის თრმოცდამეათე დღეს. ამიტომ ებრაელებისათვის თორას ბოძების დღე საზეიმოდ ითვლება.

თორაში ჩამოყალიბებულია მცნებები იმის შესახებ, თუ როგორ იმხიარულო დღესასწაულებზე, როგორ დანადვლიანდე შესაბამის სიტუაციაში; არის მცნებები, რომლებიც ხალხს მტერთან ბრძოლის წესებს ასწავლის; ზოგიერთი მცნება გვაუწყებს, რომელი საკვები იჭმევა და რომელი არა; როგორ უნდა ვემსახუროთ ჰაშემს; რას ნიშნავს პატიოსანი ადამიანი და, საერთოდ, როგორი უნდა იყოს ადამიანი. ღმერთი უთითებს ადამიანებს, რა არის დასაშვები და რისგან უნდა შეიკავონ თავი, რაც, მოსეს კანონების მსგავსად, აღმზრდელობითი ზემოქმედების მატარებელია.

ათი მცნების მთელი საზრისი აღმზრდელობით დანიშნულებას ატარებს. „როცა მე აღარ ვიქნები“, – ამბობდა მოშერაბეინუ, – „არ იფიქროთ, რომ არა-

ვინაა, ვისგანაც შეიძლება ჰაშემის¹ ნების სწავლა. მისი თორა არ არის ცაში, რომ ვინმემ თქვას: „ვინ მიწვდება მას, რომ მოგვიტანოს? მაშინ შევასრულებდით...“ არც ზღვის მიღმა ის, რათა არ თქვან: „ვინ გაცურავს შორეულ ზღვებში, რათა მოგვიტანოს ის? აი, მაშინ შევასრულებდით...“ მაგრამ არა! თორა ახლა დედამიწაზეა. ის თქვენს ხელშია და თქვენს გულშია. თქვენ იცნობთ მას და მასთან ერთად ცხოვრება შეგიძლიათ“. შეხედე, – უთხრა მოშემ ისრაელს, – ჰაშემმა შენ თორა და მცნებები გადმოგვა. შენ შეგიძლია ჰაშემს დაუჯერო ან არ დაუჯერო. თუ დაუჯერებ, იცოცხლებ; თუ არა – დაიღუპები. ჰაშემი სიცოცხლეს და სიკვდილს იძლევა. მაშ აირჩიე სიცოცხლე! – უ-ვასართა ბასამ!!! [3,173].

იმ დროს, როცა მოსემ სინას მთაზე ახალი კანონები მიიღო და ღმერთმა აღთქმა დაღო რჩეულ ხალხთან, კაცობრიობა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ გზების ძიებაში იყო, რომლებსაც შემდგომში უნდა უზრუნველეყო მისი სწორი განვითარება და ყოფა-ცხოვრება. მოსეს კანონებში უფალი მიუთითებს, რომ ასეთი გზის არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ადამიანის კავშირს შემოქმედთან მამაშვილური ხასიათი ექნება.

ღვთის მიერ მოსე წინასწარმეტყველისათვის ქვის ორ ფიცარზე დაწერილი ათი მცნება ადამიანთა ზნეობრივი ქცევის ძირითად მარეგულირებელ პრინციპებს წარმოადგენს. ისინი თავისი მოწოდებით და დანიშნულებით ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: პირველი მცნება დამოუკიდებელი მამართებას ეძღვნება. მათ სარიტუა-

¹ ებრაულად: ღმერთი

ლო-საკულტო დანიშნულება აქვს. ეს მცნებებია: „მე გარ უფალი ღმერთი, და არა იყვნენ შენდა ღმერთი, უცხონი, ჩემსა გარეშე; არა რაი აპეთო კერპი და არც რაიმე ხატება იმისა, რაც მაღლა ცაშია, რაც დაბლა მიწაზეა და რაც წყალშია, მიწის ქვემოთ; არ წარმოთქვა უფლის, შენი ღმერთის, სახელი ამაოდ, რამეთუ უფალი დაუსჯელს არ დატოვებს მას, ვინც მის სახელს ამაოდ იხსენებს; მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა – ჰყავ იგი: ექუს დღე იქმოდე, და ჰქმენ მათ შინა ყოველივე საჭმე შენი, ხოლო დღე იგი მეშვიდე, შაბათი, არს უფლისა ღმრთისა შენისა“ (გამ. 20, 2-10).

მოსე წინასწარმეტყველის ზნეობრივ მცნებათა მეორე ჯგუფი, მეხუთიდან მეათის ჩათვლით, ადამიანთა შორის ურთიერთობებს და მათ პიროვნულ ქცევებს არეგულირებს: „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა; არა კაც-კლა; არა იმრუშო; არა იპარო; არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წარმებითა ცრუითა; არა გული გითქუმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა, არა გული გითქუმიდეს სახლისათვის მოყუასისა შენისა, არცა ყანისა მისისა, არცა კარაულისა მისისა, არცა ყოვლისა მისოვის, რაცა იყუეს მოყუასისა შენისა“ (გამ. 20, 12-17).

უფლის მცნებათა თავისებური დეფინიცია მოცემულია იგავთა წიგნში, რომლითაც მშობელი აფრთხილებს შვილებს: „მცნება არის სანთელი, სჯული არის სინათლე, ცხოვრების გზა კი არის სწავლა და მხილება“ (იგავ. 6,23). იუდაიზმის თანახმად, „მცნება – მცნება სანთელია, თორა კი სინათლე“. სანთელი ვერ გაანათებს, თუ ცეცხლს არ ავანთებთ!

აქედან გამომდინარე, ადამიანი ვერ შეასრულებს მიცვებს (მცნებებს), თუ თორას არ ისწავლის. ჩვენი აზრით, მოსეს ზნეობრივი კანონები სწორედ წარმოდგენილი თვალთახედვით უნდა გავიაზროთ. უფლის მიერ ნაუწყები ზნეობრივი კოდექსი არ არის რაღაც განვენებული, ადამიანებს დაშორებული აბსტრაქცია, არამედ იგი თითოეული ადამიანის საკუთრებაა, რომლის შესრულება ყველას მოვალეობაა. რადგან მცნება სანთელია, ხოლო სჯული – სინათლე. ჩვენ, ადამიანებს, მიწიერ ცხოვრებაში მათი სწავლა და განუხრები შესრულება გვევალება. ამგვარი პრინციპით წარმოდგენილი დეფინიციით ჩვენს წინაშეა ძველაღთქმისეული პედაგოგიკის მიზანი და ამოცანა. აღზრდის იდეალი იმ ზნეობრივ ნორმათა შესრულებაშია, რომელიც ათი მცნების სახით მოსემ სინას მთიდან ჩამოიტანა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული ზნეობრივი კანონები საცნაური გახდა ადამიანთათვის, სრულიად ახალი ეტაპი იწყება კაცობრიობის ისტორიაში. უდიდესი გარდასახვა ხდება თვით ღვთის რჩეულ ერშიც, რომელიც ადრეც გამოირჩეოდა რელიგიურობით, მაგრამ ამიერიდან მათ მწყობრად ჩამოყალიბებული ზნეობრივი კოდექსი მიემადლა უფლის მიერ, რომელიც, რასაკვირველია, მთელი კაცობრიობის საკუთრება ხდება მომავალში.

პირველი კატეგორიის მცნებებში ადამიანი წარმოდგენილია ღვთიური კოსმოგონიის სუბიექტად, რადგან სწორედ ღმერთი აწესებს ადამიანთა შორის ურთიერთობის ნორმებს. ამით ადამიანი აღიარებულია სამყაროს გამორჩეულ ნიშანსვეტად, რადგან სწორედ მას მიმართავს ღმერთი და აფრთხილებს: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა

ღმერთნი უცხონი, ჩემსა გარეშე“. მეორე მცნებაში დაგმობილია კერპების გაჩენა და მათი აღმართვა, რაღან ასეთ კერპებს ჭეშმარიტებასთან საერთო არაფერი აქვთ, მათ მხოლოდ ცდომილებაში შეჰყავთ ადამიანი, რადგან უკელა მოკვდავი მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთს უნდა მსახურებდეს, როგორც ეს პირველ მცნებაშია მოცემული. მესამე მცნებაში ღმერთი კატეგორიულად კრძალავს უფლის სახელის ხენებას ფიცისას: „არა მოიდო სახელი უფლისა დმრთისა შენისა ამაოსა ზედა“. ღმერთი სიმართლეს და ჭეშმარიტების სამსახურს ასწავლის ყველას და რა გასაკვირია, რომ სიცრუის მიმართ იგი ასე კატეგორიულია. აღთქმის დარღვევა დიდი ცოდვაა, ამიტომაც აფრთხილებს უფალი ადამიანებს: არ დაიფიცოთ ჩემი სახელი ტყუილზე და არ შებდალოთ სახელი თქვენი ღმერთისა (ლევ. 19, 12). წინააღმდეგ შემთხვევაში „...უფალი დაუსჯელს არ დატოვებს მას, ვინც მის სახელს ამაოდ ახსენებს“ (გამ. 20, 7). მეოთხე მცნებაც დვთიური წესრიგისკენ მოუწოდებს ადამიანებს, კერძოდ: „დაიცავი შაბათის დღე, რათა წმიდაპყო იგი“ (გამ. 20, 8). ეს სამყაროს ექვს დღეში შექმნის ფაქტიდან გამომდინარებს და მორწმუნებს ავალდებულებს, კვირაში ერთი დღე ღმერთს მიუდღვნან, საუფლო დღესასწაულად აქციონ, რადგან ამის მაგალითი თვით ღმერთმა მისცა ადამიანებს – მან ხომ ექვს დღეში შექმნა ყოველივე, ხოლო მეზოდე დღეს დაისვენა.

იუდაიზმის თანახმად, შაბათს აკრძალულია როგორც გარე სამუშაოები, ისე საოჯახო საქმეები. თუმცა, შაბათს შეიძლება სეირნობა, სიმღერა, კითხვა. შაბათი მორწმუნე იუდეველისათვის სულიერი

ამაღლების დღეა. ამ დღეს ასრულებენ ლოცვებს და სწავლობენ თორას. არ ფიქრობენ მთელი კვირის განმავლობაში დაგროვილ საქმეებზე.

მეორე კატეგორიის მცნებები, როგორც ზემოთ ითქვა, ადამიანის პიროვნულ ქცევას ეძღვნება. მათში, ფაქტობრივად, მოცემულია დვთის ხატად შექმნილი კაცის ქცევის რეგლამენტაცია. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მხოლოდ მეხუთე მცნებაშია მოწოდება დედ-მამის პატივისცემის შესახებ, ხოლო დანარჩენში იმპერატიული აკრძალვა ისმის. სწორედ ეს განასხვავებს მეხუთე მცნებას მეორე ჯგუფის მცნებებისგან. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იუდაიზმი, ქრისტიანობისგან განსხვავებით, უფლის მცნებებს ორ ჯგუფად ყოფს. აქედან გამომდინარე, მეხუთე მცნება მინეულია პირველი ჯგუფის მცნებად, რაც საგანგებო გააზრებას მოითხოვს.

ამის გამო ზოგიერთმა მკვლევარმა ეს შემთხვევითობასაც კი მიაწერა. თუმცა, საქმე უფრო სერიოზულადაა. ამით ღმერთს ადამიანების გამოცდა სურს. თუ ადამიანს შეუძლია მშობლების პატივისცემა (მათი, ვინც მასზე უფროსია და მისი აღმზრდელია), იგი ჰაშემის პატივისცემასაც შეძლებს.

განსაკუთრებული დამოკიდებულებაა მოსეს რჯულში დედ-მამის მიმართ. ამ მცნების დარღვევა არა მარტო უმძიმეს ცოდვად ითვლება, არამედ ასეთი ადამიანი უმკაცრესად ისჯება: „ვინც თავის მამას ან დედას გაარტყამს, სიკვდილით უნდა მოკვდეს“ (გამ. 21,15). ასეთივე სასჯელია იმ შემთხვევაშიც, თუ ვინმე თავის მშობლებს დაწყევლის (ლევ. 20,9). იგავთა წიგნის თანახმად, ყოველთვის უპატივებელია ძარცვა-გლეჯა, მაგრამ ასეთი საქციელი, მშობლების

მიმართ ჩადენილი, უფრო სამარცხვინოა: „მამის მძარცველი და დედის გამგდები შემარცხეველი და უპატიო შვილია“ (იგავ. 19:26). უფლის მცნების დამრდვევი ვერასოდეს მიაღწევს პირად კეთილდღეობას: „მამის და დედის მაწყევარს სანთელი ჩაუქრება უკუნეთ წყვდიადში“ (იგავ. 20:20). სანთლის ჩაქრობა ადამიანის სულიერი განადგურებაა და რა უნდა იყოს ამაზე უმძიმესი სასჯელი; ამიტომ მოუწოდებს ბრძენი შვილებს, ყურადღებით მოექცენ მშობლებს: „უსმინე შენს მამას, მან გშობა შენ და აბუჩად ნუ აიგდებ შენს დედას, როდესაც მოხუცდება იგი“ (იგავ. 23:22). როგორც სხვა მოთხოვნებს, ამ მცნებებსაც ყავლი არ გასვლია, რადგან, სამწუხაროდ, დღესაც ხშირად ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც აუგად ისხენ-ებენ მშობლებს, ითვისებენ მათ ქონებას და დაუ-ლურებულ მოხუცებს ბედის ანაბარა ტოვებენ. ამიტომაც აქვს დვოის სიტყვას მარადიული ლირსება, იგი ხომ არასდროს ყოფილა დროსა და სივრცეში შემოსაზღვრული.

რჩეულ ხალხში (ებრაელებში) ბავშვთა აღზრდა ცალსახად ოჯახურ ხასიათს ატარებდა. ოჯახურ ურთიერთობებს განაპირობებდა დვთიური გამოცხა-დება და, აქედან გამომდინარე, რელიგიური სა-ფუძველი ჰქონდა ბავშვების მშობლებთან დამოკი-დებულებას: „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელსაც გა-ლევს უფალი შენი ღმერთი“ (გამ. 20:12). ეს მცნებები ადრეული ასაკიდან ასაზრდოებდა მოზარდის სულს. მშობლები ისევე ზრუნავდნენ ბავშვის სულიერებაზე, როგორც ღმერთი და უფლის კანონები მოუწოდებ-დათ ამას; ეს, უპირველეს ყოვლისა, უფლის შიშა

და დედ-მამის მორჩილებაში გამოიხატებოდა: „თვალი მამის დამცინავი და დედის მორჩილების მოძულე – ამოკორტნიან მას ხევის ყორნები და შეჭამენ მას არწივის მართვენი“ (იგავ. 30:17). მშობლების წინაშე ამხედრება სასტიკ სასჯელს ექვემდებარებოდა: „თა-ვისი მამისა და დედის ავად მაგინებელი სიკვდილით უნდა მოკვდეს“ (გამ. 21:17). ასეთივე სასჯელი ელოდა მასაც, „ვინც თავის მამას ან დედას გაარტყამს...“ (გამ. 21:15).

შიში და მოწიწება ვრცელდებოდა არა მარტო მშობლების მიმართ, არამედ ამგვარი იერარქია იყო დამკვიდრებული უფროსებსა და ბავშვებს შორის, რადგან უფალი მოუწოდებდა: „ჰადარის წინაშე წა-მოდექი და პატივი ეცი მოხუცებულის სახეს“ (ლუკ. 19:32). ღმერთის არსებობის რწმენა და მისგან გა-მომდინარე დვთიური წესრიგი, ფაქტობრივად, განა-კიორბებდა აღზრდის მიმართულებას.

ღმერთი, ასევე, დიდ ყურადღებას იჩენს მათ მიმართ, ვინც იცავს უფლის განგებულებას და თავისი გო-ნიერებით მისაბაძ მაგალითს აძლევს საზოგადოე-ბას: „ბრძენი შვილი მამას ახარებს, ბრიყვი შვილი კი დედამისის დარღია“ (იგავ. 10,1). იგავთა წიგნის ამ სენტენციამ ფართო გავრცელება პპოვა ხალხში, რადგან მისი ჰეშმარიტი არსი ახლობელი და თვალ-საჩინოა ყველასთვის. ღმერთი მზრუნველობას იჩენს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ყურადღებას არ აკლებენ საკუთარ მშობლებს. ასეთი ადამიანები უფ-ლის მადლით იქნებიან გარემოცულნი: „მამის პატი-ვისმცემელი ცოდვათაგან განიწმინდება“ (ზირ. 3,3).

დედ-მამის პატივისცემა ჩვეულებრივი ნორმა იყო ღვთის რჩეული ერის ცხოვრებაში, მაგრამ ათი მცნე-

ბის სახით მას კანონის ძალა მიენიჭა, რაც არა მარტო ბიოლოგიური მშობლების, არამედ ასაკით უფროსების პატივისცემასაც ითვალისწინებს. ამიტომ საღვთო წიგნებში ხშირად არის წარმოჩენილი ღვთის განსაკუთრებული დამოკიდებულება მოხუცების მიმართ და მათი გამორჩეული ადგილი საზოგადოებაში: „ჭაბუქთა დიდება მათი ძალაა, ხოლო მოხუცთა ბრწყინვალება – ჭალარა“ (იგავ. 20:29). ამის გათვალისწინება ახალგაზრდების უპირველესი მოვალეობაა.

მიღრაში¹ მეხუთე მცნებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ამ მცნების გაგონებისას მეუკებმა აღიდეს გამჩენი და აღიარეს: „როგორც კი ადამიანი მაღალ თანამდებობას იკავებს, საკუთარი მშობლები მაშინვე ავიწყდება. უზენაესი ბრძენია, რამეთუ მშობლების პატივისცემა ბრძანა!“ [3,28].

იგავთა სიბრძნემ ყურადღების გარეშე არ დატოვა აღსაზრდელის გარემო პირობები და თანატოლთა წრე, რომელთა მხარდამხარ მიმდინარეობს აღზრდა: „ნუ დაემოყვრები ბრაზიანს და ფიცხ კაცთან ნუ მიხ-

1 მიღრაში – საღვთო წერილის ერთგარი დამრიგებლური ხასიათის ეგზეგება. გამოიყენებოდა უმთავრესად გვიანდელ იუდაიზმში. ესაა რაბინთა ქადაგების წერილობითი რედაქცია, რომელშიც საღვთო წერილის მუხლობრივი კომენტარების მეშვეობით ყოველდღიურ პრობლემათა გადაწყვეტის ხერხებს აყალიბებდნენ. ამგარად ჩამოყალიბებული საღვთო წერილის კომენტირებით, ფაქტობრივად, სახეზე ცალკე დიტერატურული ქანრი, რომელიც ახლოსაა იმ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან, რომელსაც განეცემენება ახალი აღთქმის ცალკეული მოხაკვეთები (მაგ., მათ. 1-22). მიღრაშს შეიძლება პქონოდა ზნეობრივი (პალაკა = სვლა, კარგად მოქვევა) ან თხრობით-გადმოცემითი (პადაგა = მოთხოვბა) მიზნები. „დიდი მიღრაში“ დაწერილია 3700 წლის წინათ.

ვალ, არ გაიწვრონა მის გზებში და არ დაუგო მახე შენს სულს“ (იგავ. 22:24-25). მეგობართა წრეს დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მთავარია, ახალგაზრდა ღვთისმოსავ და ბრძენ ადამიანებთან ერთად იზრდებოდეს და არა ბრიყვებთან: „უმეცრებთან დროს ნუ დაკარგავ, არამედ გონიერთა შორის იტრიალე“ (ზირ. 27:12), – გაფრთხილებას იძლევა ბრძენი ზირაქი. უმეგობრო ადამიანი სრულყოფილი ვერ იქნება. ყველას ესაჭიროება თანამდგომი სიკეთესა და ბოროტების ჟამს, ამიტომ სამეგობროდ ბავშვობიდან უნდა განეწყოს მოზარდი: „მხოლოდ სულელი ამბობს – არა მყავს მეგობარი და არც მადლიერია ვინმე ჩემი სიკეთისათვისო....“ (ზირ. 20:16). ასეთი დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია ძველი აღთქმის პედაგოგიკისათვის, რადგან მოყვასის სიყვარული მოსეს რჯულის ქვაკუთხედია. იგივე ზირაქის სიბრძნე გვასწავლის: „უფლის მოშიში მეგობრობას ისე წარმართავს, რომ როგორიც თვითონაა, ისეთივე იყოს მისი მოყვასიც“ (ზირ. 6:16), ამიტომ დიდი დაკვირვებაა საჭირო, როცა თანატოლთა წრეს ვარჩევთ, რადგან ადვილად შესაძლებელია, ცუდ წრეში აღზრდამ სავალალო შედეგები გამოიღოს. გათავსედებულ ბავშვებში კეთილი თვისებების მოზარდიც მათ ყაიდაზე გადავა: „ვინც ფის მიეკარება, გაისვრება, და ვინც ქედმაღალს დაუახლოვდება, მას დაემსგავსება“ (ზირ. 13:1). ასეთივე აზრს ავითარებს სოლომონ ბრძენიც: „ბრძენებთან დამავალი დაბრძენდება, რეგვენთა მოყვასი კი გაუბედურდება“ (იგავ. 13:20). უმეცარ და ბრიყვ ადამიანებთან ურთიერთობა აღათ-წესებისა და მამა-პაპათა შემარცხენელ საქციელადაა მიჩნეული: „ნუ ეცუმრე-

ბი უმეცარს, რათა შენი წინაპრები არ შეურაცხეყო“ (ზირ. 8:4). აქედან მკაფიოდ ჩანს, რომ შვილების მიმართ უყურადღებობა და მათი ცუდად აღზრდა ზნეობრივი ნორმების დარღვევადა მიჩნეული. ძველი აღთქმა გაცილებით მეტ უყრადღებას უთმობს ადამიანის სულიერ ფორმირებას, ვიდრე უშუალოდ სწავლებას. კეთილგონიერება უფლის მცნებათა დაცვაში გამოიხატება. მოსეს რჯული ჯანსაღი ზნეობის საფუძველთა საფუძველია, რომელშიც, კ. წ. მეორე კატუგორიის მცნებებში, განუზომლად ამაღლებულადა წარმოდგენილი მოყვასთან ურთიერთობა. ანალოგიური მიდგომაა დაფიქსირებული ძველი აღთქმის სხვა წიგნებშიც.

კაცის მოკვლის აკრძალვა, რაც მექქსე მცნებითაა დადგენილი, პირდაპირ უფლის ქმნილების დაცვას გულისხმობს, რადგან ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად – დვოის ხატად შექმნა იგი. და შექმნა იგი მამაკაცად და დედაკაცად (დაბ. 1, 27). ამიტომ ადამიანის მოკვლა ღმერთის საწინააღმდეგო ქმედებაა და დაუშვებელია. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ადამიანი დვთის წარმომადგენელია, რომელმაც უნდა უპატრონოს ყოველივეს და იმეორს დედამიწაზე. ამავე დროს, მას დიდი პასუხისმგებლობაც აკისრია, რადგან იგი წარმოადგენს ღმერთს სხვა ქმნილებათათვის. ამიტომ მან არ უნდა დაჩაგროს ისინი და არ მიაყენოს ტანჯვა, მით უმეტეს, არ ხელყოს მეორე ადამიანის სიცოცხლე, რადგან ადამიანი დვთის ხატადაა შექმნილი (დაბ. 9:6). ამის გამო იგი ფასდაუდებელია. ადამიანის მნიშვნელობა არ არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად ჭკვიანი, ძლიერი, ლამაზი ან ჯანსაღია

ის. მთავარია, რომ იგი არის ადამიანი, დვთის ხატად შექმნილი. ამიტომ უნდა დავიცვათ ავადმყოფები და უმწეონი: „დარიბის მჩაგვრელი თავის შემოქმედს შეურაცხოფს, მათხოვრის მწყალობელი კი უფლის მაღიდებელია“ (იგავ. 14:31).

რადგან ღმერთმა ყველა რასა ერთი ქალისა და კაცისაგან წარმოშვა (ჰეს. 17: 26), არ არსებობს დაბალი მოდგმის ხალხი, ყველა ადამიანი, რომელი რასის წარმომადგენელიც არ უნდა იყოს, დვთის ხატადაა შექმნილი. ყოველგვარი შეუდლი და ანტაგონიზმი ცოდვა და შემოქმედი დვთის შეურაცხოფაა. ქალები, მამაკაცების მსგავსად, დვთის ხატად არიან შექმნილი და ისეთსავე ფასეულობას წარმოადგენენ ღმერთისთვის, როგორც მამაკაცები.

დიდი ზნეობრივი დატვირთვის მატარებელია მეშვიდე მცნება, რომელიც მრუშობის წინააღმდეგაა მიმართული. ამ ზნეობრივი ნორმის დაცვა ოჯახური სიმტკიცის ქვაკუთხედს წარმოადგენს. სწორედ ოჯახში იდებს სათავეს ზნეობრივი მიმართება ამათუ იმ მოვლენისადმი. სიძვა და მრუშობა ანგრევს და აცამტვერებს არა მარტო ოჯახურ ზნეობას, არამედ თავად ადამიანის მორალურ სახეს. მოღალატე ცოლ-ქმარი ბოროტებას ამრავლებს საზოგადოებაში. ყოველ ეპოქაში სამარცხინოდ ითვლებოდა სქესობრივი აღვირას სნილობა. თვით ღმერთმა მოსეს კანონებამდე გაილაშქრა სოდომური ცოდვისა (ლევ. 18:22) და სხვა გადახრების წინააღმდეგ. ღმერთი არა მარტო კიცხავს გარყვნილებს და მრუშებს, არამედ „გინც იმრუშებს ქმრიან ქალთან, ვინც იმრუშებს თავისი მოყვასის ცოლთან, სიკვდილით უნდა მოკვდნენ მრუში მამაკაციც და მრუში დედაკაციც“ (ლევ. 20:9).

ასეთივე მკაცრი სასჯელია გათვალისწინებული სიძამოუშობის სხვა გამოვლინებების მიმართაც.

მეორე კატეგორიის ზნეობრივ მცნებებში ღმერთი, ასევე, კრძალავს ქურდობას. სამყაროს დასაბამიდან ქურდობა მიუღებელ ქმედებად ითვლებოდა. ოუმცა, მისი განზოგადება, როგორც ზნეობისთვის შეუფერებელი მოვლენისა, კველაზე კარგად ძველი ადთქმის წიგნებმა შემოგვინახა. შემდგომში ამან სრულყოფილი სახე ქრისტიანობაში მიიღო. გამოსვლათა წიგნში დაწვრილებითაა განხილული ქურდობა და მისი სახლაური (გამ. 22:1-15). იქვეა დაწესებული სხვადასხვაგვარი სასჯელი და გამოსასყიდის ოდენობა და სახები. ზოგჯერ გვევდება ძალზე მკაცრი სასჯელიც, რაც შესაბამისი დანაშაულის სიმძიმეზე მიუთითებს.

მეცხრე მცნება ცილისწამების წინააღმდეგ არის მიმართული. ეს მანქიერი თვისება, რომელიც სამყაროს გაჩენიდან არსებობს, უამრავ ბოროტებას აძლევს დასაბამს. მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ცრუ მოწმეთა ჩვენებებს, ან მორალურად და მატერიალურად დაზარალდა. ამიტომ მისი აღმოფხვრა, ბრძოლა მის წინააღმდეგ ყველა დროში აქტუალური იყო. სხვათა შორის, მოსეს კანონებში წამოყენებული დებულებები მარტო ძველ ეპოქას როდი ემსახურებოდა; მათი დაცვა დღესაც ისევე აუცილებელია, როგორც მაშინ, როცა ღმერთი სინას მთაზე ეცხადებოდა წინასწარმეტყველს. ცილისწამება ყველა ეპოქის მარადიული ბოროტება იყო, ამიტომ ასე ცალსახად ილაშქრებს ღმერთი მის წინააღმდეგ: „ნუ დაყრი ცრუ ხმებს: ხელს ნუ მისცემ უკეთურს, რათა ბოროტების მოწმე არ გახდე“ (გამ. 23:1), „არ მოიპაროთ, არ იცრუოთ და არ მოატყუოთ

ერთიმეორე“ (ლევ. 19:11).

მეათე მცნებაში დაგმობილია შური და ყოველგვარი მიდრეკილება, რომელთა გამო ნივთიერი საუნჯის ხელში ჩაგდება დაუმსახურებლად სწადიათ. ღმერთი საგანგებოდ ჩამოვლის იმ მანქიერებებს, რომლებიც შურიან ადამიანს ჩაუსახლდება სულში და სხვისი ქონების დაპატრონებისათვის განაწყობს. სწორედ შურიანობა გახდა კაენის მიერ ჩადენილი საშინელი ცოდვის საფუძველი; ამგვარი ფაქტები მრავლადაა როგორც სადვოო ისტორიაში, ისე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანმა მოახერხა თუ არა სხვისი ქონების ხელში ჩაგდება; ისიც ცოდვად ითვლება, თუ მან განიზრახა, ჩაიფიქრა ასეთი ქმედება. უკეთური გულისთქმაც დანაშაულის ტოლფასია და ამიტომაც ისჯება იგი დვთის განგებულებით. როგორც სხვა მცნებები, ქრისტიანობამ მეათე მცნებაც გააღრმავა და ყოვლისმომცველი მნიშვნელობა მიანიჭა.

იმის მიუხედავად, რომ თორას ზნეობრივი კატეგორიები წარმოდგენილია ათი მცნების სახით, აღნიშნული მორალური სენტენციები გაბნეულია იუდაიზმის სხვა წიგნებშიც. მათი თავმოყრა და სისტემად ჩამოყალიბება საგანგებოდ უსვამს ხაზს მათ მნიშვნელობას. სწორედ სინას მთაზე ნაუწყები კანონები ამგვიდრებენ ადამიანთა თანასწორობას; უსამართლობამ ადგილი უნდა დაუთმოს უმაღლეს დვთიურ სამართლიანობას, რაც საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების განვითარებას სრულიად ახლებურ მიმართულებას ანიჭებს. შემდგომში სწორედ მას დაეფუძნება კანონშემოქმედების მთელი სისტემა. სწორედ სინას კანონებში გამოიხატა ხალხისა და დვთის კავ-

შირი თავისუფალ პირობებში, რადგან რჩეული ერი მხოლოდ მოსეს მცნებების შესრულებით შეძლებდა ღვთიური აღთქმის კეთილი საწყისის ცხოვრებაში განხორციელებას.

მოსეს მცნებები უმაღლესი ზნეობრივი ღირსებით გამოირჩევა. მათი მიზანი არ იყო რჩეული ხალხის ნიკოსი აირობების გაუმჯობესება, ეს მცნებები გაცილებით მაღალ მიზნებს ემსახურებოდა: „იყავით ჩემთვის წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, და მე გამოგაცალკევეთ ხალხთაგან, რათა ჩემი იყოთ“ (ლევ. 20:26). სწორედ ამის დასტურია ისიც, რომ კაუნი დაისაჯა არა მცირე ძღვენისათვის, არამედ იმისათვის, რომ ჰამემა (დმერთმა) შესთავაზა შეეცვალა მიდგომა და სულიერად ცხოვრება დაეწყო; მან კი ამის ნაცვლად თავისი მმა, „მეტოქე“ მოიშორა.

მართალია, კაენმა მოინანია და თქვა: „დიახ, მე ძალიან ცუდად მოვიქეცი და დამნაშავე ვარ“, მაგრამ ღმერთს განაჩენი გამოტანილი ჰქონდა მისთვის: „ღმერთმა თქვა: „ამიერიდან დაწყევლილ იქნები მიწისაგან...., როცა მიწას დაამუშავებ, ის აღარ გამოსცემს შენთვის თავის ძალას. მოხეტიალე... იქნები დედამიწაზე“ (ბერეშითი 3:11,12).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ღმერთმა კაენი დასაჯა იმის გამოც, რომ მას სურდა სამყაროს ერთადერთი მფლობელი ყოფილიყო [2,35].

რაც შეეხება ნიკოსი მხარეს, ღმერთი იღებს იმ ადამიანთა ძღვენს, ვინც მატერიალურ ქონებას სულიერ სიმდიდრეს ამჯობინებს, სწავლობს თორას და ასრულებს მის მიცვებს (მცნებებს).

როგორც ცნობილია, ყოველი საზოგადოება გარეული ზნეობრივი ორიენტირებით ცხოვრობს, რაც

გავლენას ახდენს მომავალი თაობის სულიერ ჩამოყალიბებაზე. სწორედ საზოგადოებაში დამკვიდრებული ცხოვრების წესი, მორალური კატეგორიები ასრულებენ წარმმართველ როლს ახალგაზრდობის აღზრდაში. ხოლო, თუ საზოგადოება იმდენად არის დაწინაურებული, რომ მას ქცევის მარეგლამენტირებელი ნორმები აქვს, ეს უკვე დიდი წარმატებაა. მაგრამ სრულიად სხვა სიმაღლესთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა საუბარი ღვთის სიტყვაზე, ანუ მარალიულ, ყოვლისმომცველ, ყოვლისშემძლე სამყაროს შემოქმედზეა. ამდენად, ჩვენ წინაშეა არათუ სრულყოფილი, არამედ აღმატებული შინაარსის, ღვთიური სიბრძნით დატვირთული, უმაღლესი სულიერებით აღსავსე მოქმედებისა და არსობის საწყისი, უდიადესი მიზანი.

ძველი აღთქმის პედაგოგიკა არის ღვთის მიერ მოსესთვის გამოცხადებულ მცნებებზე დამყარებული კანონების პედაგოგიკა. ეს კანონები ორგვარია: თეოცენტრული და სოციოცენტრული. ღვთის მიერ ბოქებული კანონები თეოცენტრულია, ხოლო ადამიანების მიერ შექმნილი კანონები – სოციოცენტრული. სოციოცენტრული კანონი საზოგადოებისაგან განყენებული არასოდეს ყოფილა, რადგან იგი საზოგადოების წიაღში იშვა, როგორც ამ საზოგადოების წევრთა ქცევის მარეგლამენტირებელი ნორმა. ასეთია, მაგალითად, ჰამურაბის, მანუს ან ვახტანგ მექევსის კანონები. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაა მოსეს კანონებთან მიმართებით, რომლის გაცხადება შემოქმედის მიერ მოხდა.

ღვთიური კანონები, მოცემულ შემთხვევაში, მოსეს ათი მცნება და საერო კანონები, მათი წარმო-

მავლობის მიუხედავად, შეიცავენ ადამიანთა ქცევის ნორმებს. ამით ისინი უშეადო ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოების წევრთა ყოველდღიურ ყოფასა და მათ შორის ეთიკური ნორმების შესრულებაზე. თავისთავად ადამიანის ქცევა შეიძლება იყოს კანონის შესაბამისი ან მისი საწინააღმდეგო. სწორედ საპირისპირო შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ინდივიდი ან ადამიანთა ჯგუფი ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, გამოიყენება სანქცია, რომელიც კანონის პირდაპირი მოთხოვნაა. მაგრამ კანონის ამოქმედება ყოველთვის როდია საჭირო. ადამიანები უპირატესად იცავენ იურიდიული კანონის მოთხოვნებს, რადგან სამართლის ნორმების დარღვევამდე ადამიანი არღვევს ზეობრივ ნორმას, რომელიც გარკვეულ საფუძურს წარმოადგენს სამართლის ნორმამდე. ამდენად, ეთიკური და სამართლებრივი ნორმები მჟიდრო კავშირშია და ზემოქმედებასაც ახდენს ერთმანეთზე: სამართლის ნორმის ნებისმიერ დარღვევას მოჰყება ზეობრივი ნორმის ხელყოფაც, მაგრამ ზეობრივი ნორმების დარღვევას ყოველთვის არ მოჰყება სამართლის ნორმის დარღვევა. სწორედ ზეობასა და სამართლებრივ ნორმებს შორის მოიაზრებოდა მთელი აღმზრდელობითი სისტემა უძველესი დროიდან, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელობითი კერები.

კანონის არსებობა თავისთავად ზეობრივი დატვირთვის მატარებელია. ამის შესახებ მკვლევარი გლობურიძე წერს: „როგორც სამართლებრივი, ისე ზეობრივი ნორმები პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა გამაწონასწორებელ და საზოგადოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელ ფაქტორე-

ბად გვევლინებიან, თუ სამართლის ნორმები ქმნიან ნორმატიულ სტრუქტურას, ზნეობა ადამიანთა თანაცხოვრების პრინციპებს „უზრუნველყოფს“¹. მაგრამ თანაცხოვრების პრინციპები ადამიანს ეძლევა დათის მიერ (მოსეს კანონები), ან კიდევ თვით ქმნის მას (ჰამურაბის კანონები). ორივე შემთხვევაში კანონი ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ქცევაზე: პირველ შემთხვევაში – აღმატებულად ზნეობრივს, მეორე შემთხვევაში – ყოფა-ცხოვრებითს (სამართლებრივს). თუმცა, გარკვეული ზნეობრივი ზემოქმედება ამ უკანასკნელსაც აქვს.

ყველა საზოგადოებაში მეტნაკლებად უწევენ ანგარიშს კანონის მოთხოვნებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოება ინფორმირებულია იმის შესახებ, თუ რა მოჰყვება ამა თუ იმ ნორმის შეუსრულებლობას, ან მის გადაჭარბებას. ამდენად, კანონი ასრულებს შემაკავებელ ფუნქციასაც. ადამიანმა იცის, რა შეიძლება და რა არის დაუშვებელი. ე. ი. კანონი ადამიანის ქცევის გარკვეულ რეგლამენტს აწესებს და ამით ამგვიდრებს საზოგადოებისთვის მისაღებ ზეობრივ ნორმებს, ან კრძალავს მიუღებელ ქცევებს. ამიტომ, როცა ჩვენ კლაპარაკობთ ძველი აღთქმის ათ მცნებაზე, აქ თვალნათლივ ჩანს მოსეს კანონების ზეობრივი მნიშვნელობა, ამასთან, ჩვენ საგანგებოდ ვამახვილებთ ყურადღებას ზოგადად კანონის აღმზრდელობით ფუნქციაზე.

საზოგადოებაში კანონის მოთხოვნათა გავრცელების პროცესი იმავე ამოცანას ემსახურება, რასაც აღმზრდელობითი საქმიანობა. ამიტომ ისეთი აღმატებუ-

1 გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 2000, გვ. 281.

ლი რჯული, როგორიც ქვის ორ ფიცარზე დაწერილი ათი მცნებაა, არ შეიძლებოდა, მოსეს დროშივე არ გამხდარიყო საგანგებო შესწავლის ობიექტი. კანონი რჩეულ ერში ღვთის არსებობის ნიშანი იყო, ამიტომაც ამკვიდრებდა ის კანონის მოთხოვნათა უმკაცრეს შესრულებას (საქმ. 23:3; რომ. 2:25). საზოგადოება იმ შეგნებით ყალიბდებოდა, რომ მცნებათა დარღვევით ეწინააღმდეგებოდა თვით ღმერთის იდუალებს და უარს ამბობდა მასზე. კანონი მუდმივია და აუცილებელი უველა თაობისათვის. ამიტომ მოსე და წინასწარმეტყველები კანონებს იღებენ ღმერთისგან, იწერენ და შემდგომ უკითხავენ, განუმარტავენ და ასწავლიან ხალხს, რომ იგი უფრო გასაგები იყოს შესასრულებლად (1 ეზრ. 8,19). ამდენად, ათი მცნება სათავეს უდებს რჯულის ანუ კანონის პედაგოგიკას, რომელმაც შეაჯამა უფლის მიერ სამყაროში დამკვიდრებული ღვთიური ჰარმონია და აღზრდის საუძვლად სწორედ მოსეს კანონები დაამკიდრა.

ათასეული წლების წინ საჭიროობოდ მიჩნეული ჰარმონიურები, რომლებიც ღვთის სიტყვამ ათი მცნების სახით შემოგვინახა, დღესაც ზღვარდაუდებელია; ამიტომაც იქცა მასში ჩამოყალიბებული მცნებები აღზრდის იდეალად. ათი მცნება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის მიერ მოცემული ადამიანის სინდისის ნორმათა განსაზღვრა და მათი ობიექტური გადმოცემა.

ზოგადად, ძველი აღთქმისეული აღზრდა პირდაპირ შეესაბამებოდა საღვთო გამოცხადებას. ადამიანები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ისინი იყვნენ „ღვთის ხატად“ შექმნილნი, მაგრამ, ამავე დროს, ცოდვის მექანიზმები. მშობლები თავიანთი

შვილების აღზრდისას ღვთიური კანონებით ხელმძღვანელობდნენ და ყოველი ადამიანის აღზრდა ღვთის სამსახურისთვის მიმდინარეობდა. აღზრდის ძირითადი პრინციპი ასეთი იყო: „სიბრძნის დასაბამის შიში უფლისა“ (ფსალმ. 110:10). აღზრდა საღვთო გამოცხადების შესწავლით და გაცნობიერებით უნდა წარმართულიყო: „რადგან მე ვარ უფალი, დმერთი თქვენი, განიშვინდეთ და იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე...“ (ლევ. 11:44). მეორე მხრივ, აღზრდის პროცესში აუცილებელი იყო გაეთავისუფლებინათ ბავშვები მავნე მიღრეკილებებისა და ცოდვებისაგან, რომელებიც აღრეულ წლებში იღებს სათავეს.

ჰაშვემა არ მისცა ებრაელებს წმინდა ქვეყნაში შესვლის უფლება, რადგან მათ აჩვენეს, რომ ამისათვის ჯერ მზად არ იყვნენ. მათ ორმოცი ხანგძლივი წელი დასჭირდათ, რათა ახალი თაობა გამოეზარდათ, რომელისთვისაც უცნობი იყო ეგვიპტის მონობა. ჰაშვემს უნდოდა, რომ წმინდა ქვეყნაში თავისუფალი ხალხი შესულიყო, რომელიც მისი თორათი იცხოვრებდა. რამეთუ მონებს მხოლოდ უხეში ძალის სჯერათ და სასწაულების დაჯერება არ შეუძლიათ [3,115].

დგარიში ანუ მეორე რჯული გვაუწეუბს (დგარიში 4:1-2), რომ, სანამ მოსე მიწიერ სამყაროს დატოვებდა, შეკრიბა მთელი ერი, რათა მათოვის საბოლოო მითითებები მიეცა. მოსე ხალხს 37 დღის განმავლობაში ესაუბრებოდა. ეს გამოსამშვიდობებელი საუბარი თითქმის მთელ დგარიშის წიგნს მოიცავს. მოსე მოითხოვს თავისი მითითებების ზედმიწევნით შესრულებას: „არ დაუმატოთ იმას, რასაც გამცნობთ თქვენ და ნურც მოაკლებთ, რათა დაიცვათ თქვენი გამჩენი ღმერთის წესდებანი“.

მოსე ხშირად საყვედურობდა და კიდეც კიცხავდა ხალხს მცნებების დარღვევის გამო, მაგრამ მისი საბოლოო სიტყვა დამოძღვრასთან ერთად დალოცვაცა. წინასწარმეტყველებმა სწორედ მოსესაგან ისწავლეს, რომ საყვედურის შემდეგ ხალხი აუცილებლად უნდა დალოცო. აქ თორა მოსეს „პაშემის ადამიანს“ უწოდებს. ეს წოდება მას ებრაელების დალოცვის შემდეგ მიეცა.

თორა ისრაელიანთა ცხოვრების თანამგზავრი და გზის მაჩვენებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი დვთის ბოძებულია, მაინც არ არის განყენებული, შორეული და მიუწვდომელი. იგი ახლობელია ყველასთვის, რადგან მისი მადლი მფარველობს ისრაელიანებს. მოსე სწორედ ამას გულისხმობდა, როცა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში თავის ხალხს მოძღვრავდა: „...რაც უნდა შეგემთხვათ, როგორც უნდა დაიფანტოთ, მაშინაც, თუ სამყაროს კიდეზე აღმოჩნდებით, იცოდეთ, იქიდანაც შეგკრებთ ჰაშემი და უკან, ისრაელის მიწაზე დაგაბრუნებოთ. ამისათვის თქვენ უბრალოდ უნდა დარჩეთ ებრაელებად, ანუ ისე იცხოვროთ, როგორც თორა ბრძანებს“.

რჯულის ანუ მოსეს კანონების მოთხოვნათა დაცვა-შესრულების პერიპეტიიები ისტორიული თვალსაზრისით აღწერილია ეზრას წიგნში. თვით ეზრა მღვდელი იყო. იგი აარონის შთამომავალი და საღვთო რჯულის მასწავლებელია. წიგნი დაწერილია დაახლოებით 400 წელს ჩვ. წ. აღ.-მდე, როგორც ნეშტა წიგნების დამატება. მის მთავარ პათოსს წარმოადგენს იმის დამტკიცება, რომ იუდეველნი, მიუხედავად თავიანთი სამეფოს დაქცევისა და დევნილობისა, კვლავინდებურად დვთისაგან რჩეულ ერად რჩებოდ-

ნებ. ეზრას წიგნში სწორედ ამ რწმენით შთაგონებული ადამიანების ცხოვრებაა აღწერილი, რომლებიც, ტყვეობიდან დაბრუნებულნი, აღადგენენ ტაძარს და განაახლებენ ეროვნულ რელიგიურ წესებს. ეზრაული იუდაიზმის უპირველესი ამოცანა კანონის უზენაესობის დაცვაა. საღვთო რჯულის ყველა მოთხოვნა ზუსტად უნდა შესრულდეს – ეს დვთის რჩეული ერის პირდაპირი მოვალეობაა. აქედან გამომდინარე, ეზრაულმა იუდაიზმა ვიწრო ეთნიკური ხასიათი შეიძინა და რჯულის მიმდევრობა იუდეველად აღზრდის საფუძვლად გამოცხადდა. ამიტომ ეზრა და რჯულის სხვა მასწავლებლები იწერენ და კითხულობენ მოსეს კანონებს, ასწავლიან მას, რომ იგი გახდეს უფრო გასაგები და ყველასთვის ადვილად შესასრულებელი (1 ეზრ. 8:19; 9:48).

მოსეს კანონების აღზრდის საფუძვლად დამკვიდრებამ პედაგოგიური თვალსაზრისით დღის წესრიგში დააყენა ისეთი პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტა, როგორიცაა თავისუფლებისა და განვითარების მიმართება კანონთან. ამიერიდან სწორედ ამ ჩარჩოებში განიხილებოდა ადამიანის აღზრდასა და მის ზნეობრივ ჩამოყალიბებაზე ღმერთისა და აღზრდელის გავლენა.



სიპრანის გაკვეთილები პიპლიურ იუდაიზამი

თორას თანახმად, ცხოვრების უმაღლესი საზრისი დვთის საქმეთა წვდომა, მასთან სულიერი კავშირია, რაც უფლის მცნებების შესწავლითა და დაცვით მიიღო. მაგრამ არსებობს ყოფითი საკითხები, რომელთა გადაწყვეტას ელემენტარული ცოდნა ესაჭიროება, თუმცა, ესეც უფლის ნებით ხდება. სწორედ ასეთი დამოკიდებულება იყო იუდაიზმში ზოგადად სიპრანისა და კერძოდ კი აღზრდა-განათლების მიმართ.

ძველი აღთქმის წიგნებში აღწერილი ებრაელი ხალხის ისტორია ზოგად წარმოდგენას გვიქმნის აღზრდა-განათლების შესახებაც. როგორც „რჩეული ერის“ ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, ძველ ებრაელთა აღზრდა-განათლების სისტემა მეზობელი შუამდინარეთისა და ეგვიპტის ხალხების

საგანმანათლებლო სისტემებისაგან საკმაოდ განსხვავდება. ეს განსხვავება, პირველ რიგში, სარწმუნოებრივია. ბიბლიის თანახმად, ყოველგვარი სიბრძნე უფლისმიერია და ადამინტს იგი დვთისგან ეძლევათ; ამიტომ ცოდნის დაუფლების ანუ სწავლის მიზანი უფლის საქმეთა წვდომაა, დვთის განგებულებითვე: „... უფლის შიშია სიბრძნე და ბოროტისაგან განრიდებად გონება“ (იობ. 28:28). ამდენად, რადგან გონიერება ბოროტებისაგან გამიჯვნას ნიშნავს, იგი სიკეთე ყოფილა, რომელიც უფლის მცნებათა შეცნობა-შესრულებით მიიღწევა. სწავლისადმი დამოკიდებულებას ებრაელ ხალხში ცალსახად დვთიური შინაარსი აქვს. ამიტომ წინასწარმეტყველები ყოველთვის წესისა და განგების განუხრელად შესრულებისაკენ მოუწოდებდნენ ხალხს, რადგან დვთის სიტყვის მოსმენა არ იყო ჩვეულებრივი ამბავი – უფალთან კავშირი დიდ კრძალვას მოითხოვდა: „მისმინეთ და გაიგონეთ: ნუ ამაღლდებით, რადგან უფალი ლაპარაკობს“ (იე-რებ. 13:15).

სხვა ხალხების მსგავსად, ებრაელთა ყოფა-ცხოვრებაში ფართოდ იყო გავრცელებული ისეთი ცოდნის დაუფლება, როგორიცაა წერა-კითხვა, ელემენტარული მათემატიკა, რომელსაც უკავშირდებოდა აღებ-მიცემობა, ვაჭრობა და მიწის მზომელობა, ვარსკვლავების მოძრაობა და კალენდარი; თუმცა, წამყვანი ადგილი განათლებაში მაინც რელიგიური შინაარსის წიგნების შესწავლას ჰქირა.

რადგან აღზრდა-განათლებაში უმთავრესი საღვთო გამოცხადება იყო, აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა თაობათა შორის ურთიერთობას ენიჭებოდა, რაშიც განსაკუთრებულ როლს საოჯახო აღ-

ზრდა ასრულებდა. ცოდნა-გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემის ისტორია საყოველთაოდ აღიარებულია. ამ მხრივ გამონაკლისი არც ბიბლიური ხალხები ყოფილან. ბავშვები პირველ გაკვეთილებს სწორედ ოჯახში ისმენდნენ. მამის მოწოდება ჩვეულებრივი ამბავი იყო: „მე მამას მისმინეთ, შვილებო და ისე მოქეცით...“ (ზირ. 3:1). მშობლები კატეგორიულებიც არიან შვილების მიმართ: „მისმინე, შვილო, მიიღე ჩემი შეგონება და ჩემს რჩევას ნუ უგულებელყოფ,“ – აფრთხილებდა ბრძენი შვილებს (ზირ. 6:22).

აღზრდა-განათლებაში მთავარი უფლის გამოცხადება და დეთიური სიბრძნე იყო, მაგრამ ამ ამოცანის შესრულებაში მნიშვნელოვანი ადგილი ხალხის წიგნიერებას ეკავა. „შეხედულება იმის შესახებ, თუ ძველი აღთქმის ხანაში, რამდენად ბევრმა ისწავლა წერა-კითხვა, გაყოფილია. ზოგიერთი თვლის, რომ განათლებას მხოლოდ წარჩინებულთა წარმომადგენლები ფლობდნენ. მაგრამ, მეორე შერივ, როცა იქსონავეს ქანანის ქვეყანაში მზვერავები გაგზავნა, მათგან წერილობითი პასუხის მიღებას ელოდა; ხოლო მეორე ხიზიას დროს ერთ-ერთმა შუშამ გვირაბის კედელზე წარწერა დატოვა. საქმარისად შეიძლება სხვა ებრაული წარწერების მონახვა, რომლებიც ადასტურებენ, რომ განათლება ხალხში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული“ (4,246). ფაქტობრივად, წერა-კითხვა მისაწვდომი ყოფილა მოსახლეობისათვის, რადგან ერთმა რიგითმა რიგითმა ჭაბუქმა შეძლო დაკითხვისას აზრის წერილობით გადმოცემა, როგორც ამის შესახებ მსაჯულთა წიგნი მოგვითხრობს: „და შეიპყრო ერთი სუქოთელი ჭაბუქი და დაკითხა

იგი. და ჩამოუწერა მან სუქოთის მთავრები და მისი უხუცესები – სამოცდაჩვიდმეტი კაცი“ (მსაჯ. 8:14). ამ მოცულობის სიის შედგენა არა თუ უბრალოდ ანბანის ცოდნაზე, არამედ გაცილებით მეტ წიგნიერებაზე მიუთითებს. ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოება, რომ უფალი ხშირად მოუწოდებს ხალხის წინამდოლთ, მთელი ისრაელის მოსახლეობას ასწავლონ რჯული: „შეკრიბე ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები, და ხიზნები, რომელიც შენს კარიბჭეში არიან, რომ გაიგონ და ისწავლონ, და ეშინოდეთ უფლისა; შენი დმერთისა, და შესასრულებლად დაიცვან ამ რჯულის ყოველი სიტყვა“ (II რჯ. 31:12). ლეთის სიტყვის დაუფლების საყოველთაო ხასიათზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ უფლის სიტყვის შესწავლა, მიუხედავად სქესის, ასაკისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ყველასათვის აუცილებელია. იგი განკუთვნილია არა საზოგადოების დაწინაურებული ფენებისათვის, არამედ ყველასათვის. ამას ადასტურებს სწორედ ხიზნების მიმართ გამოჩენილი ყურადღება. ასეთი დამოკიდებულება დაბალი ფენის წარმომადგენელთაღმი ძველი აღთქმის ფუქმდებლურ პრინციპებზეა დამყარებული, რომლის თანახმად, დმერთმა ადამიანები არ განასხვავა ერთმანეთისაგან და ყველას მიმართ ერთნაირ მზრუნველობას იჩენს. ნიშანდობლივია, აგრეთვე, წიგნიერების გავრცელების საკითხიც. დმერთი აქაც წერა-კითხვის საყოველთაოდ გავრცელებას მოითხოვს: „ასწავლეთ ისინი თქვენს ქეთ და ელაპარაკეთ მათ შინ ყოფნისას, გზაზე სვლისას, დაწოლისას და ადგომისას. და წააწერეთ ისინი თქვენი სახლების წირთხლებს და კარიბჭეებს“ (რჯლ. 11: 19-20).

მყარად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სახის სკოლები ებრაელებს მხოლოდ აღთქმულ ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ შეიძლებოდა პქონოდათ. რადგან მათი აღზრდა-განათლება რელიგიური ხასიათისა იყო, მთავარი სასწავლო კერებიც ტაძრებთან არსებობდა. ჩვეულებრივ, სასულიერო პირები ეწეოდნენ საგანმანათლებლო საქმიანობას. ახალგაზრდებს წინასწარმეტყველებიც ასწავლიდნენ: „შეკარი მოწმობა, დაბეჭდე რჯული ჩემს მოწაფეთა შორის“ (ეს. 8:16). წინასწარმეტყველთა წიგნი აშკარად მიუთითებს მოწაფეთა სიმრავლეზე, რაც თვით სწავლის ფაქტის დადასტურებაა. თუმცა, ჩვენ იმის თქმას არ ვაპირებთ, რომ მოწაფეებში მხოლოდ ბავშვები იგულისხმება, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. იმჟამინდელი სწავლება მხოლოდ უფლის სიტყვის ქადაგებასა და მის განმარტება-შესწავლას გულისხმობდა, რაც ქრისტიანული პედაგოგიკის მსოფლმხედველობრივი საფუძველია. საფიქრებელია, რომ მარტო წინასწარმეტყველები არ ასწავლიდნენ ხალხს – იერების წიგნი სხვა მწერლებსა და მწიგნობრებსაც ასახელებს: „და უბრძანა მეფემ იერახმეელს, მეფის ძეს, და შელმია ყაბდიელის ძეს – დაჭირათ მწერალი ბარუქი და წინასწარმეტყველი იერებია, მაგრამ უფალმა დამალა ისინი“ (იერ. 36:26). მწერლობა, მწიგნობრობა და სწავლა უფლის ნების ადსრულებაა, ამიტომ ამ საქმის მიმდევარი აღამიანები დათიური მადლით არიან გარემოცულნი. უფლის სიტყვის ქადაგება და სწავლება მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იყო. ასეთი უფლიდა ეზრა: „და ის იყო მწიგნობარი, მოსეს რჯულში ჩახედული, რომელიც მისცა უფალმა ისრაელის დმერთმა....., რადგან უფლის ხელი იყო მასზე,

რადგან ეზრამ გულს იდვა უფლის რჯულის ძიება, მისი შესრულება და წესისა და სამართლის სწავლება ისრაელში“ (ეზრ. 7:6-10). განსაკუთრებული ცოდნა და განათლება მოეთხოვებოდათ იმ ადამიანებს, რომლებიც უფლის სიტყვას ასწავლიდნენ: „....მდგდლის ბაგეები უნდა იმარხავდნენ ცოდნას და მისი პირიდან მოელოდნენ რჯულს, რადგან ცაბაოთ უფლის მოციქულია იგი“ (მალ. 2:7). მწიგნობრებს სერიოზული საქმის გადაწყვეტას ანდობდნენ. ისრაელის ყოველ ტომს გამორჩეული მწიგნობრები ჰყავდა, რომლებიც სამეფო ხელისუფლებაშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ (1 ნეშ. 24:6). თუმცა, მოსეს რჯულიდან გადახვევს ფაქტიც ბევრი ყოფილა. ისეთი მარადიული ცოდვა, როგორიც მექრთამეობაა, ყოველთვის წამოყოფდა ხოლმე თავს. გასაკუთრებით მძიმე იყო მისი შედეგები სამართლის განსჯისას და სასულიერო მოღვაწეობაში. ამიტომაც არის ასე კატეგორიული წინასწარმეტყველის სიტყვები: „მისი მთავრები ქრთამით სჯიან სამართალს და მისი მდგდლები გასამრჯელოს ართმევენ დამოძღვრაში....“ (მიქ. 3:11).

საქმაო ინფორმაციას გვაწვდის ნეემიას და ეზრას წიგნები სადათო რჯულის სწავლების თაობაზე (ნეემ. 8:9). რჯულის კითხვა და განმარტება ძველი აღთქმის წიგნებში ჩვეულებრივი ამბავია; აქ ნიშანდობლივი ის გარემოებაა, რომ მარტო წაკითხვას და განმარტებას არ სჯერდებიან და მისი გაგება-შესწავლითაც ინტერესდებიან: „და კითხულობდნენ ისინი წიგნიდან, დათის რჯულიდან, გარკვევით, განმარტავდნენ და ხალხიც იგებდა წაკითხულს“ (ნეემ. 8:8). ეზრა მწიგნობარი გარკვეული კატეგორიის ხალხს ცალ-ცალკე ასწავლიდა: „და მეორე დღეს ეზრა მწიგნობართან

მოიყარეს თავი მთელი ხალხის მამისსახლთა თავ-კაცებმა, მღვდლებმა, ლევიანებმა, რათა მათთვის აქე-სნა რჯულის სიტყვები“ (ნეგმ. 8:13). აღნიშნული ეპი-ზოდი რჯულის წიგნის განმარტება-შესწავლისადმი დიფერენცირებულ მიღომაზე უნდა მიგვანიშნებდეს. კითხვა და რჯულის წიგნის განმარტება ერთჯერადი მოვლენა არ ყოფილა: „დღითიდღე კითხულობდა იგი დვთის რჯულის წიგნს – პირველი დღიდან უკანას-კნელ დღემდე....“ (ნეგმ. 8:8). მთელი მარხვის განმავ-ლობაში დვთის სიტყვას ისტენდნენ, რასაც ავტორიტე-ტული მწიგნობრის განმარტებები ახლდა. თუმცა წიგნის კითხვა გარკვეულ რეჟიმს ექვემდებარებოდა, კითხვისთვის განკუთვნილი დრო მხოლოდ მეოთხედ დღეს შეადგენდა: „და იდგნენ თავიანთ ადგილებზე და კითხულობდნენ დვთის რჯულის წიგნს მეოთხედი დღე, მეორე მეოთხედი დღე კი აღსარებას ამბობდნენ, თავვანსა სცემდნენ უფალს, თავიანთ ლმერთს“ (ნეგმ. 9:3).

მასწავლებელთა განსაკუთრებული კატეგორია, რო-გორც ამას ძველი ადთქმის წიგნები მოწმობენ, ისრაელის ქვეყანაში გაჩნდა ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ. შართალია, მათ „მწიგნობრებს“ უწოდებდნენ, მაგრამ ისინი საღვთო რჯულის მცოდნე პირები იყვნენ და ასრულებდნენ გადამწერების, მდივნების მოვალეო-ბას. სწორედ ასეთი მწიგნობრები, რჯულის მეცნიე-რები და რაბინები ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანო-ბასაც. თუ ადრე მოსახლეობის დამოძღვრა, უფლის სიტყვის ქადაგება და ხალხის გათვითცნობიერება რელიგიის საკითხებში წინასწარმეტყველების მოღვა-წეობის სფეროდ მიიჩნეოდა, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ ეს საქმე მწიგნობრებმა, რჯულის

მეცნიერებმა და რაბინებმა იტვირთეს.

სამყაროს შექმნის აქტი დაბადების წიგნიდან გვეუბნება, დმერთმა იმგვარად შექმნა დედამიწა, რომ გამუდმებით შეახსენებს ადამიანს მის დამო-კიდებულებას დმერთზე. ბიბლია ამბობს: „ნათელს დმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა დამე“ (დაბ. 1:5) ეს დებულება განსაკუთრებულ უურადღებას იქ-ცევს იმის გამო, რომ საგნების სახელდება და, შე-საბამისად, მათი კლასიფიკირია, საყველოთაო აზ-რის მიხედვით, სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა. მართლაც, მოგვიანებით დმერთი დაავალებს ადამიანს, რომ სახელები დაარქვას ცხოველებს (დაბ. 2:19). აქედან გამომდინარე, დმერთმა ადამიანს უფლება მისცა და მოუწოდა კიდეც ცოდნი-სა და სამეცნიერო საქმიანობისაკენ. ამიტომაც მუდამ მოუწოდებს ბიბლიური მასწავლებელი: „შვილო, რომ მიიღებდე ჩემს სიტყვებს და ჩემს ცნებებს დაიცავდე, უური რომ გქონდეს სიბრძნისაკენ მიპყრობილი და გული გონიერებისაკენ გეწეოდეს“ (იგავ. 2:1-2).

იუდაიზმის პედაგოგიკა სწავლის მოტივაციას უფ-ლის რწმენაში, დმერთის არსებობაში ხედავს. უზე-ნაესი მუდამ მოუწოდებს ხალხს, დაუჯერონ უფლის სიტყვას, მის მცნებებს. თან ეს უნდა გააკეთონ ზედ-მიწევნით ზუსტად: არც უნდა დააკლონ რაიმე უფ-ლის სიტყვას და არც უნდა მიუმატონ. ეს მოწოდება „სინაის რჯულში“ ისმის (II რჯ. 4:1). დმერთი ხალხს საჯაროდ ასწავლის. ამის დასტური იყო მოსეს მიერ ათი მცნების საჯაროდ გაცხადება, რაც უფლის ჩაგონებით აღესრულა: „...მითხრა მე უფალმა: „შე-მიკრიბე ხალხი, და გავაგონებ მათ ჩემს სიტყვებს, რათა ისწავლონ ჩემდამი შიში მთელი იმ დღეების

განმავლობაში, ვიდრე მიწაზე ცოცხლობენ, და ასწავლონ თავიანთ ძეგებს“ (II ოჯ. 4:10).

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ღმერთი ყოველთვის ითხოვს, უფრო მეტიც, პირდაპირ ავალდებულებს ხალხს ათი მცნების შესრულებას: „და მოუწოდა მოსემ მთელს ისრაელს, და უთხრა მათ: ისმინე, ისრაელო წესები და სამართალი, რომელსაც მე ვიტყვი დღეს თქვენს გასაგონად. და შეისწავლეთ ისინი და ეცადეთ მათი შესრულება“ (რჯლ. 5,1).

მოსეს კიდევ ერთი წოდებაც აქვს. მას არ მოიხსენებენ, როგორც „მეფე მოშეს“, ან „წინასწარმეტყველ მოშეს“. მას, როგორც ზემოთ ერთხელ უკვე ვთქვით, უწოდებენ „მოშე რაბეინუ“-ს – „მოშე ჩვენი მასწავლებელი“. რადგან ორმოცი წლის მანძილზე სწორედ მოშე ასწავლიდა ხალხს მცნებებს და უხსიდა კანონებს [3, 169-170].

განსაკუთრებულია იმ მცნებების მნიშვნელობა, რომლებიც ღმერთის მიერ თორას შესწავლას ავალდებულებს ისრაელიანებს. ეს დებულება არა მხოლოდ რეკომენდაციაა, არამედ „დეორაიტა“ ანუ მცნება, რომლის შესრულება თორადან ევალებოდათ ჰაშემის მიმდევრებს. წმინდა წიგნში (დვარიმი 33:4) მითითებულია, რომ თორა უკლებლივ ყველამ უნდა ისწავლოს: დარიბმა და მდიდარმა, ჯანმრთელმა და ავადმყოფმა, ახალგაზრდამ და მოხუცმა, მრავალშვილიანი ოჯახის უფროსმა კი დღე-დამის განმავლობაში თორას შესწავლისათვის განსაკუთრებული დრო უნდა გამოყოს [3,86].

თორაში ნათქვამია, რომ თორას გულმოდგინედ შემსწავლელს ღმერთი ისეთ კურთხევას მისცემს, რომ ხუთ ებრაელს ასი მოწინააღმდეგის უკუჭევა

შეეძლება. აქედან გამომდინარე, რაც მეტია თორას შემსწავლელი და მცნებების შემსრულებელი, მით უფრო ძლიერია ამ საზოგადოების ცალკეული წევრი. იმდენად დიდია ძალა, რომელსაც ფლობს თორას დამცელი ხუთი ებრაელი ერთად, რომ შეუძლია უკუაქციოს მტრის ასი ჯარისკაცი [3,87].

ერთ-ერთი მიცვა, რომელიც ჰაშემმა ებრაელებს მისცა, არის „მიცვათ ციციო“ – ციციტის მცნება, რომლის მიზანიც მამაკაცისთვის დანარჩენი მცნებების შეხესენებაა. ციციტის ფორმებს ტანსაცმელზე იმაგრებდნენ ებრაელები, რაც მათ მცნებების დაცვას ასენებდა.

ისრაელიანებს მოსეს დროს თორას შესასწავლად სპეციალურად გამოყოფილი კარგებიც ჰქონდათ, სადაც ორგანიზებულად სწავლობდნენ [3,118].

მოშემ, ჰაშემის ნებით, თავის შემცვლელად იქოზუა შესთავგზა ხალხს. რატომ ბრძანა ღმერთმა ერის ხელმძღვანელად სწორედ იქოზუას დანიშვნა? ნუთუ ცოტა იყო გამოჩენილი და დირსეული ადამიანი?

იქოზუა იყო თორას ერთგული, ის მოშეს რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდა, თანაც პატივისცემით ეპურობოდა. ის ყველაზე ადრე მოდიოდა თორას გაკვეთილებზე და გვიანობამდე რჩებოდა, რათა ყველაფერი წესრიგში მოეფვანა: ასწორებდა სკამებს, მაგიდებს, ხალიჩებს, როლებზეც ისხდნენ მსმენელები; ზრუნავდა სწავლის თავის დროზე დაწყებაზე. ამიტომ ის დირსი იყო, ისრაელი ერის წინამდოღლი გამხდარიყო.

ქრისტეს მოვლინებამდე კაცობრიობის ისტორიაში შეუძლებელია მოიძებნოს ისეთი მასწავლებელი, როგორიც მოშე იყო. ის მუდამ ხალხისათვის ზრუნავ-

და, სანაცვლოდ კი არაუერს ითხოვდა. პირიქით, მუძმიგად უკმაყოფილებას და დაუმორჩილებლობას აწყდებოდა უმაღური ხალხისგან.

იუდაიზმის პედაგოგიკა გარკვეულ რეგლამენტაციას აწესებს სწავლისათვის. გარდა ამისა, ყოველი მოწოდების გამმსჭვალავი პედაგოგიური იდეა შესწავლილი სიბრძნის (მასალის) გულში ჩანერგვას ანუ რწმენად ქცევას ემსახურება. სწავლის პროცესი განუყოფელია ადამიანის ნებისმიერი საქმიანობისაგან: „და იყოს ეს სიტყვანი, რომელსაც მე გიბრძანებ დღეს, შენს გულში, ჩაუნერგე ისინი შენს ძეთ და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას, და გზაზე სიარულისას, დაწოლისას, და ადგომისას“ (II რჯ. 6:6-7).

განათლება ისრაელში დვთიური იდეალების საფუძველზე იყო აგებული. როგორც თორა გვაუწყებს, ყოველგვარი ცოდნა და სიბრძნე დვთისაგან მოდის, სამყაროს უპირველესი მასწავლებელი დმერთია, ამდენად, სიბრძნის და ცოდნის დაუფლება „უფლის შიშით“ იწყება. მოსეს უკანასკნელ შეგონებაში გამოკვეთილად ისმის მოწოდება სწორედ უფლის შიშის საფუძველზე სწავლისა, რასაც, ძველი აღთქმის თანახმად, საყოველთაო ხასიათი უნდა პქონოდა: „შეკრიბე ხალხი: კაცები, ქალები და ბავშვები, და ხინწები, რომელიც შენს კარიბჭებებში არიან, რომ გაიგონ და ისწავლონ, და ეშინოდეთ უფლისა, შენი ღმერთისა, და შესასრულებლად დაიცვან ამ რჯულის ყოველი სიტყვა“ (II რჯ. 31:12). სწავლა-განათლების მთავარი წარმართველი უფლის რწმენა და შიში იყო. ბავშვების რელიგიური განათლება უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო ძველი ებრაელებისათვის.

მათ ღრმად სწამდათ, რომ უფლის სიტყვა თაობიდან თაობისთვის უნდა გადაეცათ: „შვილებმა, რომლებმაც არ იციან, გაიგონ და ისწავლონ, რომ ეშინოდეთ უფლისა, თქვენი დმერთისა, დღენიადაგ, სანამ ცოცხლები იქნებით მიწაზე, რომლის დასამკვიდრებლადაც გადადისართ იორდანეზე“ (II რჯ. 31:13). ბიბლიური მოსე უფლის სიტყვის მხოლოდ ქადაგებით არ შემოიფარგლება, იგი პრაქტიკულად ასწავლის ხალხს უფლის სიტყვას: „და ჩაწერა მოსემ ეს გალობა იმ დღეს და შეასწავლა იგი ისრაელის ძეთ“ (II რჯ. 31:22). თუმცა, რჯულის მასწავლებელი ამით არ კმაყოფილება, მალევე უბრუნდება ხალხის დამოდგრას და ადრე შესწავლილის განმტკიცებას: „ჩაიბეჭდეთ თქვენს გულში ყოველი სიტყვა, რომელსაც მე გიმოწმებო დღეს, რათა უბრძანოთ თქვენს ძეებს, რომ დაიცვან და შეასრულონ ამ რჯულის ყოველი სიტყვა“ (II რჯ. 32:64).

უფლის რწმენაში განმტკიცება ებრაელთა სასიცოცხლო ამოცანაა ყოველთვის. დმერთის მოწოდება ებრაელი ხალხის ცხოვრების საზრისი უნდა გამხდარიყო მას შემდეგაც, როცა მათი რჩეული წინამდღოლი – მოსე გადაიცვალა. უფალი მის მაგივრობას იქსო ნავეს ძეს ავალებს და მასვე მოუწოდებს რჯულის წიგნის შესწავლას და იქ ჩამოყალიბებული მცნებების ზუსტად აღსრულებას: „ნუ განეშორება რჯულის ეს წიგნი შენს ბაგეებს; მასზე ფიქრობდე დღე და დამ, რათა დაიცვა აღსასრულებლად ყველაფერი, რაც იქ სწერია, რადგან მაშინ წარგემართება შენ გზები და მოგემართება ხელი“ (იქსო 1:8). უფლის მოწოდება არა მარტო ცოდნის დაუფლებას და სარწმუნოებაში განმტკიცებას ისახავს მიზნად,

არამედ სწორედ ცოდნასა და ოწმენას უკავშირებს ზოგადად ამსოფლიურ წარმატებებსაც.

პედაგოგიური თვალსაზრისით, ძველი აღთქმის სიბრძნიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა იგავთა წიგნს ენიჭება. როგორც ბიბლია გვასწავლის, უცლის რჩეული ერი უზენაესის განსაკუთრებული ყურადღებით იყო მოცული. ასეთი ყურადღება მას არც ეგვიპტელთა ტყვეობაში მოჰკლებია. სწორედ აქ, ეგვიპტეში მიიღო აღზრდა-განათლება ბიბლიურმა მოსემ, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა ისრაელიანთა აღზრდაზე.

როგორც ცნობილია, ეგვიპტეში ძველი სამეცნის დროს ჩნდება ქ.წ. „აგტობიოგრაფიული წარწერები“, რომლებიც აკლდამების კედლებზე კეთდებოდა. მათში აღწერილია მიცვალებულის მიერ სიცოცხლეში ჩადენილი კეთილი საქმეები. ალბათ, ავტობიოგრაფიული წარწერების სწორედ ამ ნაწილმა მოახდინა გავლენა დიდაქტიკური უანრის ნაწარმოებების განვითარებაზე. ჩვენამდე მოაღწია ამ უანრის ნაწარმოებებმა „პტახოტების დარიგებებიდან“, რომლებიც დღესაც გარკვეულ ინტერესს აღძრავს: „ნუ იამაყებ შენი ცოდნის გამო, რადგან დახელოვნებას არ აქვს საზღვარი, არც ერთ ხელოვანს არ მიუღწევია სრულყოფილებისათვის... თუ შენ დიდი თანამდებობა გაქვს და შენთან მდაბიო მთხოვნელი მოვიდა, იქონიე მოთმინება, არ გააწყვეტინო სიტყვა, ბოლომდე მოისმინე... თუ გინდა ახალგაცნობილი ოჯახის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურო, თვალი შორს გეჭიროს ამ ოჯახის ქალებისაგან“ [6,178]. ასეთი შინაარსის დარიგებები შემონახულია წინასწარმეტყველებათა კრებულებში, რომლებმაც შუა სამეცნის დიდაქტიკურ

ნაწარმოებებში ჰპოვა ასახვა. მეცნიერებაში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ თხრობის დიდაქტიკური ფორმის სამშობლო ეგვიპტეა და რომ სწორედ ეგვიპტურმა „დარიგებებმა“ მოახდინა უდიდესი გავლენა სოლომონის ბიბლიურ იგავებზე [6,179].

რაც შეეხება იგავთა წიგნის დაწერის დროს, ამის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას თვით იგავები გვაწვდის. მათში ნახსენებია ძველი აღთქმის ორი მეფე: სოლომონი, რომლის მფარველობითაც ისრაელში პირველად აყვავდა სიბრძნის ლიტერატურა, და ხიზკია, რომელმაც ბრძნული გამონათქვამების ეს კრებული შეადგინა. ბრძნული გამონათქვამების შეგროვებისა და კრებულის შედგენის პროცესი, უკველია, ამ მეფეების სიკვდილის შემდეგაც დიდხანს გრძელდებოდა. ასე რომ, იგავთა წიგნი ჩვენ გვაცნობს მოძღვრებას სიბრძნის შესახებ, რომელიც ძველი აღთქმისეული პერიოდის მთელ მანძილზე ყალიბდებოდა. მრავალი სწავლული პოულობს კაგშირს იგავთა წიგნსა და „ოცდათ ბრძულ გამონათქვამს“ შორის; უცრო მეტიც – ეგვიპტელ ბრძენთა ძველისძველ თხზულებებთანაც [9,93]. როგორც გამოსვლათა წიგნი გვასწავლის, ეგვიპტელთაგან გასხვავებით, დმერთი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ღვთის რჩეული ერი უცლის მცნებათა მიმდევარი ყოფილიყო: „მე კი მოვისმენ, თუ რას იტყვის უფალი დმერთი; რადგან მშვიდობას იტყვის თავის ერზე და თავის წმიდებზე, თუკი დაგმობენ სიბრივეებს“ (ფსლ. 84:9). სწორედ ამისთვის მოძღვრავდა მათ და აზიარებდა ღვთიურ სიბრძნეს. თუმცა, ებრაელებმა ეგვიპტელთა ტყვეობაში ბევრი ისწავლებს. როგორც ზოგადი კანონზომიერება ცხადყოფს, სხვადასხვა ხალხის

თანაცხოვრება აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მათ კულტურულ და ყოფით ურთიერთობებზე. ამდენად, საფუძვლიანია იმის გარაული, რომ ამ ორი ხალხის ურთიერთობამ გარკვეული გავლენა მოახდინა მათ ადამ-წესებსა და ზნეობრივ შეხედულებებზე. ამიტომ გასაზიარებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ იგავთა წიგნში წარმოდგენილ სიბრძნეზე გავლენა სწორედ ეგვიპტურმა დარიგებებმა მოახდინა.

როგორც ზემოთ ითქვა, იგავთა წიგნი პედაგოგიური იდეებით გამორჩეული კრებულია. მასში თავმოყრილია როგორც ძველი აღთქმის სიბრძნე, ისე უძველესი ხალხების ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილება და მათი სინთეზის შედეგად ჩამოყალიბებული ზნეობრივი პრიციპები.

იგავთა წიგნის ცალკეული თავებისა და დანაყოფების დასათაურებაც კი კონკრეტულ მიზანს ემსახურება და ეს მიზანი მათშია გაცხადებული. სოლომონის იგავებში დასაბუთებულია იგავთა საჭიროება, მათი დანიშნულება, რაც სიბრძნის შეცნობაში მდგრმარეობს, გონების სრულყოფის აუცილებლობა, რაც ცოდნისა და სწავლის მეშვეობით მიიღწევა. იგავი ბრიყვისგან გონიერების შეძენას დასაშვებად მიიჩნევს, მაგრამ ყმაწვილთათვის მხოლოდ ცოდნის დაუფლებაა საჭირო. ის, ვინც სწავლას მიჰყოფს ხელს, სიბრძნის გზაზე დგას: „მოისმენს ბრძენი და შეიმარებს სწავლას, და გონიერი სიბრძნეს შეიძენს“ (იგავ. 1:5). თუმცა, ეს არც ისე ადვილია, რადგან ცოდნის შეძენას ისეთივე მოწიწება უნდა, როგორც უფლის სიყვარულს: „უფლის შიში ცოდნის სათავეა, სიბრძნე და დარიგება კი ბრიყვებს ეზიზდებათ“ (იგავ. 1:7). ამიტომ სოლომონი ყოველთვის მამის

ჩილებისაკენ მოუწოდებს შვილებს: „ისმინე, შვილო ჩემო, მამაშენის დარიგება და დედაშენის სწავლებას ნუ მიატოვებ, რადგან ეს მშვენიერი გვირგვინია შენს თავზე, მანიაკი შენს ყელზე“ (იგავ. 1: 8-9).

იგავთა პრაქტიკული დანიშნულება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ხალხმა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდებმა ისწავლონ კეთილისა და ბოროტის გარჩევა, გაიგონ სიბრძნის ფასი, მისი დანიშნულება და ცოდნის შეძენის გზები. იგავთა ავტორი თვალსაზინოებისათვის ხშირად მიმართავს შედარებებს, პარალელს ავლებს გონივრებსა და ბრიყვებს, მცოდნებსა და უცოდინებებს შორის. ჩვეულებრივი აღამიანური სისუსტეები ყველა კონკრეტულ გეოგრაფიულ საზოგადოების წინსვლას. ამის მიზეზს სწორედ უცოდინრობასა და სიბრიყვები ხედავს ბრძენი: „როდემდე ეყვარებათ ბრიყვებს სიბრიყვე, თავქარიანნი მასხერბით დატებებიან, ხოლო სულელებს ეძულებათ ცოდნა“ (იგავ. 1:22). აქედან აშკარად ჩანს, რომ ცოდნის სიბულვილი გონიერი აღამიანისათვის არა მარტო მიუღებელია, არამედ საძრახისიცაა, ამიტომ იგავის დედააზრი ყველასთვის ნათელი ხდება, რადგან ცოდნის სიბულვილით კეთილი მიზნისთვის არავის მიუღდწევია.

ცოდნისმოყვარეობა და სათხოება ხოლომონის წიგნში ასე არის ფორმულირებული: „და თუ ვინმეს სამართლიანობა უყვარს, მისი შრომა სიქველეა, რადგან კეთილგონიერებასა და ჭკუას, სამართლიანობასა და მხეობას ასწავლის, ამათზე სასარგებლო კაცთათვის ცხოვრებაში არაფერია“ (სიბრ. 8:7).

სიბრძნე დიდი ზნეობრივი დატვირთვის მატარებელია. საერთოდ, ცნობილია, რომ დვთის შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ მორალური სიწმინდის

პირობებში. როგორც სოლომონის სიბრძნე გვასწავლის, მზაკვარ სულში სიბრძნე ვერ შეაღწევს (სოლ. 1:4). რადგან სიბრძნე ლვთიურია, მასთან მიახლება მხოლოდ სულიერად განწმენდილებს შეუძლიათ. როგორც იოანე კიბისაღმწერელი ამბობს, ყოველგვარი ლვთისმეტყველების დასაწყისი არის სრულყოფილი სიწმინდე და სისუფთავე. ამდენად, დღევანდელი გადასახედიდან იმის თქმა შეიძლება, რომ სწავლა-განათლება ანუ სიბრძნე ზნეობრივი სრულყოფილების მნიშვნელოვანი წყაროა. სწავლა და სიბრძნე ლვთიური საუნჯეა და მისი დაუფლება ლვთიური მადლია, ამიტომ არის იგი რჩეულთა ხვედრი მთელ ბიბლიურ ისტორიაში. თუმცა, ასეთივე მდგომარეობა შენარჩუნდა შემდგომ ეპოქებშიც, მაგრამ, რაოდენ სამწუხაორც არ უნდა იყოს, ადამიანები ამას სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ, რამაც ძალზე დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოების მორალურ მხარესა და სულიერებას.

სიბრძნე სიკეთის წყარო და საფუძველია, რასაც ღმერთი იძლევა, ხოლო ცოდნა და გონიერება მისგან აღმოცენდება (იგავ. 2:6). სიბრძნე იმავე უფლის რწმენაა, რომელიც ყოველგვარი ცოდნის საწყისია, ამიტომ: „ნეტარია ადამიანი სიბრძნის მპოვნელი და ადამიანი-ჭკუის მომხვეჭელი!“ (იგავ. 3:13). თუმცა, ასეთი ნეტარება ყველას ხვედრი როდია, ამიტომ ბრძენი ხშირად არიგებს შვილებს, რათა არ გაებან „გარყვნილების ხაფანგებში“ (იგავ. 5:1-23). განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მონაკვეთიდან იმსახურებს ის ადგილი, სადაც მასწავლებლებსა და მოძღვრებზეა საუბარი. საზოგადო ჭეშმარიტებად აღიქმება იმათი აღიარება, ვინც ყურად არ იღო მასწავლებელ-

თა დარიგება და საბედისწერო ნიშნულამდე მივიდა: „არ მოვუსმინე ჩემს მასწავლებელთა ხმას, და ჩემს მოძღვართ არ მივაძყარ ჩემი ყური, კინაღამ გავნადგურდი სრულიად კრებულში და საზოგადოებაში“ (იგავ. 5:13-14). ამიტომ არა მარტო ბრძენი არიგებს ახალგაზრდებს, არამედ მშობლებიც მოწოდებულნი არიან, შვილები უფლის მცნებათა შემსრულებლებად აღზარდონ: „რადგან მცნება სანთელია და მოძღვრება – სინათლე, ცხოვრების გზა კი – დამრიგებლური შეგონება“ (იგავ. 6:23).

ახალგაზრდას წინასწარ აფრთხილებენ მოსალოდნელ საცოტურთა შესახებ. სწორედ ამას ემსახურება გარყვნილი ცხოვრების მანკიერი მხარეების აღწერა და მისი შედეგების ჩვენება. იგავის ავტორი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ისეთ პედაგოგიკურ პრობლემებს, როგორიცაა: ცოდნის ინტერესი და მოტივაცია, სწრაფვა წიგნიერებისაკენ, სიბეჯითე და შრომითი ჩვევების დაუფლების აუცილებლობა.

სიბრძნისა და გონიერების შეძენა დიდ შრომას მოითხოვს, ამიტომ ზარმაცებმა ბეჭითებისგან უნდა აიღონ მაგალითი: „წალი ჭიანჭველასთან, ზარმაცო, ნახე მისი გზები და დაბრძეხდი“ (იგავ. 6:6). იმის მიუხედავად, რომ ჭიანჭველებს არ ჰყავთ ჭკუის დამრიგებლები, მაინც შრომობენ, ზაფხულში აგროვებენ სარჩოს ზამთრისთვის; ხოლო ზოგიერთ ადამიანს ვერ გაუგია, რომ „....ადამიანის ყველაზე დიდი ქონება სიბეჯითეა“ (იგავ. 12:27). ამიტომ ასეთებისთვის შოლტიც არ უნდა დაინანოს აღმზრდელმა: „შოლტი და დარიგება სიბრძნეს იძლევა, ხოლო მიშვებული ქმაწვილი არცხვენს თავის დედას“ (იგავ. 29:15). ამის მიუხედავად, მაინც სიფრთხილეა საჭირო შვილის

ფიზიკური დასჯისას, რადგან ფიზიკურ ტკივილზე მეტად სულიერ ტკივილებს უნდა გავუფრთხილდეთ. სულიერი დამოკიდებულება გადამწყვეტია, ამიტომ მიმართავს ბრძენი მშობლებს: „დასაჯე შენი შვილი, მაგრამ არ განაწყო შენი სული მის სასიკვდილოდ“ (იგავ. 19:18). თუმცა, ყოველთვის როდია საჭირო აღსახრდელის ფიზიკური დასჯა. ასეთი სასჯელი იშვიათად უნდა გამოიყენებოდეს, რადგან ადამიანთა უმეტესობა გონიერია, ხოლო გონიერებისადმი სულ სხვა მიღვიმაა საჭირო: „მხილება უფრო მოქმედებს გონიერზე, ვიდრე ბრიყვზე ასი დარტყმა“ (იგავ. 17:10). ამდენად, ბიბლიურმა პედაგოგიკამ შეგონებას მეტი ყურადღება მიაქცია, ვიდრე ფიზიკურ დასჯას.

ძველი აღთქმის წიგნებში საგანგებოდ არის წამოწეული სიბრძნის მარადიულობა და ღვთიურობა: „ყოველი სიბრძნე უფლისგანაა და მასთანაა უკუნისამდე“ (ზირ. 1:1), ამიტომ იგი ყველაზე აღმატებული საუნჯეა სამყაროში. მართალია, სიბრძნე ღვთიური მადლია, მაგრამ მასთან ზიარება სწავლითაც შეიძლება, ხოლო სწავლის გზით ცოდნა შეიძინება: „სიბრძნის დასაბამი სწავლის უჭეშმარიტესი სურვილია, ხოლო სწავლაზე ზრუნვა – მისი სიყვარული“ (სოლ. 6:17). თუმცა, მარტო კითხვით არ უნდა ვიძენდეთ ცოდნას, – გვასწავლის ბრძენი ზირაქი წიგნის წინათქმაში და იმ აუცილებლობასაც განმარტავს, „...რომ ცოდნის მოყვარულებმა განთესილნიც დამობლვონ, როგორც წერილობით, ისე ზეპირი სიტყვით“ (ზირ. 41). ცნობილია, რომ ძველი აღთქმის სხვა წიგნების მსგავსად, ზირაქის სიბრძნის წიგნშიც არის მოწოდებები სიბრძნისა და ცოდნის დაუფლებაზე. მაგრამ აქ ნიშანდობლივია ისიც, რომ ბრძენი ზირაქი

უფრო შორს წავიდა და სწავლის ორივე ფორმის – ზეპირისა და წერილობითის შესახებ მიუთითა, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ძველი აღთქმის პედაგოგიკისთვის ცნობილია და პრაქტიკაში გამოიყენება სწავლების როგორც ვერბალური, ისე წერილობითი სახეები. გარდა ამისა, დამოწმებულ ტექსტში მთავარი ყურადღება მიმართულია იმ ადამიანებისაკენ, რომლებიც არ არიან ჩაბმულნი სწავლაში, მაგრამ ადრე ყოფილან და „განთესილან“. ამიტომ მათ უნდა ასწავლონ, დამობლვონ ისინი როგორც ზეპირად, ისე წერილობითი ფორმით. ეს საქმე უნდა გააკეთონ არა შემთხვევითმა პირებმა, არამედ „ცოდნის მოყვარულებმა“. უნდა ვიგარაულოთ, რომ ეს უკანასკნელნი იქნებოდნენ მოძღვრები ან მასწავლებლები, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ იგულისხმებოდნენ მწიგნობრები ან მსაჯულები, რომლებიც, როგორც ცნობილია, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ. ამ შემთხვევაში ტერმინებს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, არსებობს მინიშნება იმის შესახებ, რომ იმსანად იყვნენ საეციალურად პედაგოგიური საქმიანობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ეწეოდნენ სამოძღვრო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით, და ამ პირებს „ცოდნის მოყვარულებს“ უწოდებდნენ.

იუდეველებში ძალზე გავრცელებული იყო სინანული. მართლმორწმუნე ებრაელი ყოველთვის შესთხოვდა ღმერთს ცოდების მიტევებას. ბიბლიურ ნარატივებში ფართოდ არის წამოდგენილი მონანიების თემატიკა. დავით ფსალმუნთმგალობელი წრფელი პათეტიკით უმღერის ღვთიურ სრულყოფილებას: „ყოველნაირი სრულქმნილების მინახავს ბოლო: მაგრამ

ვრცელია „შენი მცნებანი ფრიად“ (ფს. 118,96). აცნობი-ერებს რა ადმიანის უძლურებას საკუთარი შინაგანი ცოდვების აღმოჩენაში, იგი დმერთს შეპლადადებს დასახმარებლად: „ვინ გულისხმა-ჟყოს შეცდომა-ნი? განმწმიდე მე დაფარულთაგან“ (ფს. 18,3). შეცოდებათა მიტევებას ზღვარს უდებს ბრძენი ზირაქი: „ნუ იტყვი, დიდია მისი გულმოწყალება და მრავალ ცოდვას მომიტევებსო, რაღგანაც მასთანაა წყალობაც და რისხვაც და ცოდვებს თავს დაატყდება მისი გულისწყომა“ (ზირ. 5,6). ამიტომ მოუწოდებს თვისტომთ: „მკაცრად დაიურვე სული...“ (ზირ. 7,17).

იუდაიზმის პედაგოგიკა არ აკონკრეტებს სწავლის დაწყების ასაკს, მაგრამ მითითება იმის შესახებ, რომ სწავლა ბაგშვობაში უნდა დაიწყოს, თითქმის ყველგანაა: „შვილო, სიყრმიდანვე დაუდე გული სწავლას და ჭალარის შერთვამდე შეიძენ სიბრძნეს. მხვნელმთხველივით მიჰყავი ხელი მას და დაელოდე მის კეთილ ნაყოფს“ (ზირ. 6:17-18). აშკარაა, სიყრმისას დაწყებული სწავლა დიდ დროს მოითხოვს. ეს პროცესი მაღალ არ გათავდება – იგი ადრე იწყება და სრულ ასაკშიც გრძელდება, რაღგან მისი შედეგი საკმაოდ გვიან მოდის. თუმცა, მაინც მოთმინებაა საჭირო: „რადგან ერთხანს ქანცი გაგიწყდება მასზე ზრუნვაში, მაგრამ მაღალ იგემებ მის ნაყოფს“ (ზირ. 6,19). იმის მიუხედავად, რომ სწავლა ხანგრძლივი და მეტისმეტად როგორი პროცესია, მაინც დიდი მაღლია ცოდნის შეძენა და სიბრძნესთან ზიარება: „პაცომოფ-ვარე სულია სიბრძნე და დაუსჯელს არ დატოვებს იმას, ვისი ბაგენიც გმობას იტყვიან...“ (სოლ. 1:6). სიბრძნის პირველწყარო დმერთია, ამიტომ ყველას ვალია დიდი კრძალვით მოეპყროს დვთიურ საუნჯეს.

სიბრძნის უგულვებელყოფა წარმატებას არავის მოუტანს: „ვინაიდან უბედურია ყველა, ვინც შეიძულა სიბრძნე და სწავლა; ამაռა მათი იმედი, უნაყოფოა მათი შრომა და ურგებია მათი საქმე“ (სოლ. 3:11). სიბრძნეს ზიარებული ადამიანი კურთხეულია დმერთის მიერ, მას პატივს მიაგებენ საზოგადოებაშიც. მნიშვნელობა არ აქვს, განსწავლული კაცი მდიდარია ოუდარიბი, მთავარია, იგი გონიერი იყოს: „უპოვარს პატივს სცემენ ცოდნისათვის, მდიდარს კი – მისი სიმიდიდრის გამო“ (ზირ. 10:29).

თორას მიხედვით, ცოდნა ორნაირია: ბოროტი და კეთილი. ბოროტის ცოდნა არ არის სიბრძნე. დმერთის მიმდევარი შეიძლება ისეთი ადამიანიც იყოს, რომელიც ნაკლები სიბრძნით გამოირჩევა. „ისევ ჭეუანაკლი და ღვთის მოშიში სჯობს, დიდად განსწავლულს, მაგრამ სჯულის დამრღვევს“ (ზირ. 19:24)!

თორა ებრაელთა ცხოვრების საზრისი იყო. სწორედ ამიტომაც მის შესწავლას უდიდეს უურადღებას აქცევდნენ. ებრაელები დამკვიდრდნენ აღთქმულ მიწაზე, მაგრამ მშვიდობა მაინც სანატრელი ჰქონდათ. ასირიელი დამპყობლები სანხერივის მეთაურობით შეიქრნენ აღთქმულ მიწაზე და იერუსალიმის კედელთან მიაღწიეს. ამ დროს ქვეყანას მართავდა დავით მეფის შთამომავალი ხიზკია, რომელმაც დააბრუნა ხალხი დვთის სამსახურში. სწორედ ამიტომ, დმერთის შეწევნით, ებრაელებმა გაიმარჯვეს, რადგან სანხერივის 185000 საუკეთესო მეომარი უეცრად დაიხოცა და მტერი ვერ შევიდა იერუსალიმ-

1 ამ საკითხთან დაკავშირებით მსგავსი აზრი აქვს გამოთქმული ილია ჭავჭავაძეს. იხ. ა. ასათიანი, ილია ჭავჭავაძე რელიგიური აღზრდა-განათლების შესახებ, თბ., 2008, გვ. 17.

ში. მეფე ხიზკიას დამსახურებად მიიჩნევს ებრაული ტრადიცია თორას მასობრივ შესწავლას. გადმოცემის თანახმად, ერთხელ გადაწყვიტეს, ხიზკიას სამეფო-ში მოქმებნათ ისეთი ებრაული, რომელიც არ იცნობდა თორას კანონებს, მაგრამ ერთიც ვერ იპოვეს. აღნიშნული ფაქტი სწორედ იმას ცხადყოფს, რომ ებრაულები მასობრივად სწავლობდნენ თორას, რაც განპირობებული იყო მათივე რელიგიური მრწამსით. სწორედ ესაა ხაზგასმული იუდაიზმის წმინდა წიგნებში, რომლებშიც დმერთი მუდამ მოუწოდებს ებრაულებს: „და გაუმეორე თორის სიტყვები შენს შვილებს“ (დვარიმ 6:7). თორას შესწავლა დვთის მიერ იყო კურთხეული, ამიტომაც შეეწია დმერთი ებრაულებს მომხდეურ მტერთან ბრძოლაში [8,24-25].

ადამიანი ბუნების მოვლენებზე, გარემომცველ სამყაროზე დაკვირვებით გამეცნიერდა. ეს, რასაკვირველია, ერთბაშად არ მომხდარა, მაგრამ კანონები და კანონზომიერებები, რომლებიც ბუნებას და საზოგადოებას ახასიათებს, თავად უზენაესი დმერთისაგან იშვა. ხილული სამყარო, ადამიანის ჩათვლით, შემოქმედის სიტყვის ძალით შეიქმნა. დმერთი, უთუოდ, გამოხატავდა თავის აზრსა და ჩანაფიქრს, როცა სამყაროს ქმნიდა თავისი სიტყვით. ამიტომ, რაც უფრო მეტს ვიგებთ სამყაროს აგებულებისა და ბუნების შესახებ, მით უფრო გვაოცებს მისი რაციონალური გამართულობა. სამყარო არ წარმოადგენს უაზრო, გაუცნობიერებელი შემოქმედების ნაყოფს, იგი გონიერების, მიზანშეწონილობის და წესრიგის არაჩვეულებრივი გამოხატულებაა. ამიტომ ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველგვარი ცოდნა, რომელიც ადამიანებმა, უფრო მეტიც, მეცნიერებმა

შეითვისეს, სამყაროს შემოქმედიდან მომდინარეობს. რადგან მასზე დაკვირვების შედეგად შეიმეცნა ადამიანმა სამყაროს განვითარების კანონები და კანონზომიერებები. ეს იმიტომაც მოხდა, რომ ადამიანები სწორედ ბუნებაში ელოდნენ კანონებს, რადგან მათ კანონმდებლის არსებობა სწამდათ. ასეთი კანონმდებელი, რასაკვირველია, დმერთი იყო.



იუდაური აღზრდა და ანტიკურობა

შვილიერება და ბავშვთა აღზრდა ძველ ებრაელებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ებრაელთა ყოვაცხოვრების აღწერისას ფლავიუსი ხახს უსკამს ისრაელიანების მიერ ბავშვთა აღზრდის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას, გამოყოფს კანონების პატივისცემასა და, მათ შესაბამისად, მაღალზნეობრივი ოვისებების აღზრდას [14,126].

დავით ფსალმუნთმგალობელი საგანგებოდ უმდერის შვილიერებას და იმ ძალას, რომელსაც ახალგაზრდები აძლევენ ქვეყანას: „აჲა, მემკვიდრეობა უფლისგან – შვილები, გასამრჯელო – მუცლის ნაყოფი. როგორც ისრები მეომრის ხელში, ისეა ახალგაზრდა თაობა“ (ფსალმ. 126, 3-4). ბავშვის დაბადება ღვთიურ

მადლად მიაჩნდათ ისრაელიანებს, ხოლო უშვილობა პირიქით, შემოქმედის სასჯელად: „კურთხეულ იქნები შველა ხალხზე მეტად. არ იქნება არც შენში და არც შენს საქონელში უნაყოფო მამრი ან მდედრი“ (რჯლ. 7,14). თუმცა, ამისთვის უფლის წინაშე ვალდებულებებია შესასრულებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, „...ჩიტივით გაფრინდება მისი დიდება! არც შობა, არც ორსულობა, არც მუცლადღება! თუმცა გაზრდიან შვილებს, მაგრამ წაგარმევე მათ; არც ერთი კაციც აღარ დარჩება და ვაი მათ, თუ მივატოვე“ (ოს. 9, 11-12).

ანტიკური სამყაროსგან განსხვავებული იყო ბავშვთა აღზრდის მთელი საზრისი ებრაელებში. ძველ საბერძნეთსა და რომში პედაგოგიკას ასაზრდოებდა ინტელექტუალურ-ესთეტიკური და სამოქალაქო მოტივები, რომელთა საფუძველზე ხდებოდა ბავშვის უნარების განვითარება, რაც შემდგომში განპირობებდა მათ მიერ სოციალური მოვალეობების შესრულებას. ისრაელში აღზრდას ღრმა რელიგიური ხასიათი ჰქონდა და უმთავრეს ამოცანად მიჩნეული იყო ღვთიური განგებულების შესრულება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ბერძნები და რომაელები ბავშვებს მიიჩნევდნენ თვითით გზის გამგრძელებლებდად, რომლებიც დაასრულებდნენ მამების დაწყებულ საქმეს. მათგან განსხვავებული მოტივები ამოძრავებდათ იუდეველ მშობლებს: „მე მომეცი, შვილო, შენი გული და შენმა თვალებმა დაიცვან ჩემი გზა“ (იგავ. 23, 26). ან კიდევ: „დაბრძენდი, შვილო, და გაახარე ჩემი გული და მე მოვიგერიებ ჩემს მაგინებელთ“ (იგავ. 27, 11). ზირაქის სიბრძნე ამ საკითხთან მიმართებით უფრო შორს მიდის: „აღეს-

რელა მამა და თითქოს არც მომკვდარიყოს, რადგან დატოვა თავისი მსგავსი“ (ზირ. 30,4).

უფროსები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ გავლენა მოეხდინათ შვილებზე იმგვარად, რომ ისინი მამების სრული ასლი თუ არ იქნებოდნენ, დამსგავსებოდნენ მაინც თავიანთ წინაპრებს. მათვის მნიშვნელოვანი იყო, შთამომავლობას წინაპრების დარად ეცხოვრა და გაეგრძელებინა მათი საქმე. ამიტომაც ასე მოიხსენიებს მომავალ თაობას იგავთა წიგნი: „შვილთაშვილი მოხუცთა გვირგვინია და შვილთა დიდება – მათი მამებისა“ (იგავ. 17, 6). იუდაისტური პედაგოგიის საბაზო პრინციპი მისი კონსერვატიულობაა, რაც იდეალურ ვითარებაში მომდევნო თაობის წინა თაობის საქმეებზე ერთგვარ მიჯაჭვულობაში გამოიხატებოდა. მამას და დედას მთელი ძალისხმევა უნდა გაეერთიანებინათ იმისათვის, რომ თავიანთი შვილებისათვის გადაეცათ ყველაფერი, რაც მიიღეს წინაპრებისა და უზენაესი დმერთისაგან. ამაში იგულისხმებოდა ფიზიკურიც და სულიერიც. შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო მამების სახელით მოხსენიება და საკუთარი სახელების მამებისაგან მომდინარეობა, მაგალითად, ბარნაბა, ბართლომე... („ბარ“ – სირიულად შვილს ნიშნავს).

ელადისა და რომისგან განსხვავებით, იუდაიზმის თანახმად, საზოგადოების კეთილდღეობა და სიჯანსაფე უფრო მეტად არის განპირობებული ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრებული წესების ერთგულებით და ღვთიური განგებულების განუხრელი შესრულებით, ვიდრე საზოგადოების ცალკეულ წევრთა მიღწევებით, ინდივიდუალური ტალანტით და სრულყოფილი კანონებით. რამდენადაც იუდაიზმში აღზრდა ტრადი-

ციულად მშობლების მოვალეობაა, ამდენად, მათი პასუხისმგებლობა ბავშვთა აღზრდაში საზოგადოების სიმშვიდის განმაპირობებელ ფაქტორად იქცა. აქედან გამომდინარე, ძველ ებრაელებში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა ოჯახურმა აღზრდამ, რაც იუდაიზმის წმინდა წიგნებში მრავალგზის დასტურდება.

ძველი ებრაელების ოჯახური იერარქია განსხვავდებოდა მეზობელი წარმართების ყოფაში არსებული რეალობისაგან. ოჯახის სათავეში, სხვა ხალხების მსგავსად, მამა იდგა, რომელიც შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამასთან ერთად, მისი ძალაუფლება არ იყო თვითნებური, პირიქით, იგი მრავალრიცხოვან წესებს ექვემდებარებოდა. წარმართებში მამა (ქმარი) ოჯახში ერთპიროვნულ ძალაუფლებას ფლობდა. მის განკარგულებაში იყო არა მარტო სახლი, საოჯახო ქონება და მსახურები, არამედ ცოლიც და შვილებიც. ამისგან განსხვავებით, ისრაელიანებში ძალაუფლება ითვლებოდა მორალურ უპირატესობად დმერთის წინაშე მსახურებაში, რაც მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა ოჯახის უფროსს მის წევრთა დაცვასა და მათ ზნეობრივ სრულყოფილუბაზე. თუმცა, ეთიკური მოთხოვნები იმდენად მკაცრი იყო, რომ მამის ძალაუფლება ხშირად ყოველგვარ ზღვარს სცდებოდა – ძველი აღთქმის ადრინდელ ეპექაში მამას უფლება ჰქონდა, დაუმორჩილებელი შვილისთვის განაჩენი გამოიტანა.

ძველებრაულ ოჯახებში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს. როგორც წარმართულ საზოგადოებაში, აქაც ქმარს უფლება ჰქონდა გაშორებოდა ცოლს, ხოლო სურვილის შემთხვევაში ქალიშვილის

მონად გაყიდვაც შეეძლო [9,1620]. სხვა მხრივ, კანონი ნაწილობრივ იცავდა ქმარგაყრილ ქალს. ამის შესახებ სახარებაშიც არის მოხსენებული: „და მივიღნენ მასთან ფარისეველნი და გამოსცდიდნენ და ეკითხებოდნენ: „შეუძლია კაცს გაუშვას თავისი ცოლი ყოველგვარი მიზეზით?“ (მათ. 19,3). აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ერთიანი აზრი გაყრის შესახებ „ყოველგვარი მიზეზით“ იუდეველებში არ არსებობდა. აღიარებულია ქმრების პირველობა მძიმე შრომასა და საზოგადოებრივ საქმეებში, მაგრამ ზოგიერთი ებრაული წყარო მიუთითებს ებრაელი ქალების სულიერ მოწოდებაზეც. დაბადების წიგნი გვაუწყებს: „და თქვა უფალმა დმერთმა: „არაა კარგი ადამიანის მარტოობა! შევუქმნათ მას შესაფერისი შემწე“ (დაბ. 2,18). ვერც ერთ მიზანს ვერ მიაღწევდა კაცი მარტოდმარტო. მას ყველა ამოცანის გადაჭრა გაუჭირდებოდა, თუ არ იქნებოდა ერთობა კაცსა და ქალს შორის. დმერთმა ქალის შექმნით ძალა შესძინა კაცს. ქალი და კაცი ლვთის განგებულების აღსასრულებლად არიან შექმნილი.

ისრაელიანებში დაუქორწინებელი კაცი იშვიათად იყო. ძელებრაულ ენაში თვით ცნება „უცოლო“ არ არის. მოგვიანებით კი თალმუდის განმარტებებში აღნიშნულია, რომ „უცოლო კაცი არ იმსახურებს ადამიანის მაღალ წოდებას“. ბიბლიურ ნარატივებში ხშირად ხაზგასმულია ქალთა უფრო მართებული პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, ვიდრე მამაკაცებისა. სამაგალითოდ შეიძლება გავიხსენოთ ქალების უარი ოქროს ხბოს თაყვანისცემაზე. უფლის რჩეული ერის ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ისეთმა ქალებმა, როგორებიც

იყვნენ სარა, რებეკა, რუთი და სხვები.

გამორჩეული იყო ქალის როლი პედაგოგიური თვალსაზრისითაც. ბავშვთა აღზრდის მთელი სიმძიმე ქალის მხრებზე გადადიოდა. მოზარდთა სულიერ ფორმირებაში დედა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სწორედ ამით აიხსნება დედის მხრიდან მემკვიდრეობის გადაცემის ებრაული ტრადიცია. ებრაელები მიიჩნევდნენ, რომ დედის დამრიგებლური ზემოქმედება გაცილებით ღრმა და მტკიცე იყო, ვიდრე მამების აღმზრდელობითი საქმიანობა, რომელიც ნაკლებ ეფექტური იყო, რადგან მამები ძირითადად საგარეო საქმეებზე იყვნენ ორიენტირებული და ბაგშვების აღზრდისთვის ნაკლები დრო რჩებოდათ. ბაგშვის აღზრდაზე დადებითად მოქმედებდა აქტიური მამაკაცეური საწყისისა და ღრმა სულიერების გაერთიანება დედის დათისმოსაობასა და სინაზესთან. სწორედ ამგვარი სინთეზით არის შესაძლებელი სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება. ებრაელი ქალის ორგანული ერთობა აღზრდის ამოცანასთან იმდენად ჭიდოროა, რომ „დაბადება“ და „აღზრდა“ ივრითზე ერთნაირად გადმოიცემა. ამით ეს ორი მოვლენა წარმოდგენილია, როგორც ერთიანი და მთლიანი პროცესი.

იუდეველთა სახლში 3-4 თაობა ერთად ცხოვრობდა და ოჯახებიც მრავალრიცხოვანი იყო. ასაკოვანი ადამიანები პატივით სარგებლობდნენ: „ჭადარის წინაშე წამოდექი და პატივი ეცი მოხუცებულის სახეს“, – გვასწავლის ბიბლია (ლევ. 19, 32). ოჯახებში უფროსი თაობის წარმომადებლები გარკვეული აღმზრდელობითი ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებოდნენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აქ გამოკვეთილი

იყო სოციალური მეურვეობის ინსტიტუტი.

საზოგადოების ერთ-ერთ მტკიცე საყრდენს წარმოადგენდა ამა თუ იმ ხელობის მიმართ ოჯახების დინასტიური დამოკიდებულება. ხელოსანთა ოჯახში აღზრდილი ბავშვი მეტწილად მამის კვალს მისდევდა, რადგან ბავშვობიდანვე უფროსებთან ერთად შრომას ეწვეოდა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ძველი აღთქმის იუდეური პედაგოგიკა ეფუძნებოდა სწორედ შრომით აღზრდას. ეს არ იყო შრომითი მოქმედების თამაშით იმიტაცია, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ძველ ბერძნებში (ნამდვილის მსგავსად პატარა ინსტრუმენტით თამაში); სახეზე იყო სრულფასოვანი შრომა ოჯახის წევრებთან ერთად. შრომა იმდენ ხანს და იმ დატვირთვით გრძელდებოდა, რა ფიზიკური შესაძლებლობაც მოზარდს ჰქონდა. ებრაელებში ერთი ასეთი ანდაზაც იყო გავრცელებული: „ვინც შვილს სასარგებლო ხელობას არ ასწავლის, ის ქურდობისათვის ამზადებს მას“. ამდენად, ოჯახი ბავშვთა პროფესიული აღზრდის ინსტიტუტიც იყო. სწორედ იქ უყალიბდებოდათ მამის გავლენით ბიჭებს შრომითი ჩვევები, ხოლო გოგონები დედის მიბაძვით სწავლობდნენ სახლის მოვლას და საოჯახო მეურნეობის გაძლილას.

ბავშვი უველგან ბავშვია და თავისუფალ დროს ებრაელი ბიჭები და გოგონებიც ისევე თამაშობდნენ, როგორც მათი თანატოლი წარმართი ბავშვები. არქეოლოგები დღესაც პოულობენ ბავშვების სათამაშოებს, რომელთა შორის ისეთი სათამაშოებიცაა (თარიღდება 900-600 წწ. წვ. წ-მდე), რომლებსაც აშკარად ემჩნევა უფროსების ხელი. მაგალითად, ჟღარუნას პატარა კოლოფის ფორმა ჰქონია, მომ-

ცრო ნახვრეტებით გვერდებზე. ზოგიერთ თოჯინაზე მოსახსნელი ხელ-ფეხიც ფიქსირდება. ათასში ერთხელ თიხისა თუ მძივის მარცვლებისგან თმებიც კი უკეთებიათ. მხრებში გაკეთებულ ნახვრეტებში გაყრილი იყო ძაფები, რომლებიც მათი მართვის საშუალებას იძლეოდა. შესაძლოა, რომ ასეთი თოჯინები რელიგიურ ცერემონიებშიც გამოიყენებოდა. ისრაელიანთა ბავშვები, როგორც უველა ბავშვი ქვეყანაზე, უფროსებს ბაძავდნენ [9,189].

თუკი ძველ საბერძნეთსა და რომში მთავარი საზოგადოებრივი აღზრდა იყო, იუდეველთა ტრადიციაში ამგვარ მისიას სინაგოგები ასრულებდნენ. მსხვერპლშეწირვის და საკულტო რიტუალებს ებრაელები იურუსალიმის ტაძარსა და სხვა მრავალრიცხვოვან სინაგოგებში ადავლენდნენ. სწორედ სინაგოგებში კითხულობდნენ მორწმუნე ებრაელები ლოცვებსა და წმინდა წიგნებს. პირველი საუკუნის დიდი ებრაელი მწერალი და მოაზროვნე ფილონი სინაგოგებს განიხილავს ელინისტური საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიად, თუმცა, მათ შორის განსხვავებასაც გამოყოფს: მისი აზრით, ელინისტური სკოლები მხოლოდ ინტელექტუალურ ცოდნას აძლევდა მოზარდებს, ხოლო იუდაისტური აღზრდის სისტემა ზრუნავდა „კეთილგონიერების, ვაჟკაცობის, სიბრძნის, ღვთისმოსაობისა და მორალური სიწმინდის“ აღზრდისათვის.

რაც შეეხება ტიპურ სასწავლო დაწესებულებებს, დიდი ხნის განმავლობაში ისრაელიანთა შორის საზოგადოებრივი განათლების ცნება, სკოლები და სასწავლებლები არ არსებობდა [13,42-43]. განათლება სავალდებულო იყო მხოლოდ მათვის,

ვისაც საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულება დაეკისრებოდა. ასეთებად მიჩნეული იყვნენ ღვთისმახურთა და ლევიანთა შეილები, მწიგნობრები და სამხედრო მეთაურები. მათი სწავლება საოჯახო და რელიგიურ სკოლებში მიმდინარეობდა. მოგვიანებით საოჯახო აღზრდას ჩაენაცვლა სასკოლო სისტემა, რომელშიც მამის ფიგურა შეცვალა დამრიგებელმა. მას ადსაზრდელები ისევე პატივისცემით უნდა დამორჩილებოდნენ, როგორც ნამდვილ მშობელს. სინაგოგებთან ასწავლიდნენ ბავშვებს თორას, ანგარიშს და წერა-კითხვას, რასაც რაბინი წარმართავდა. მეცადინეობებზე მკაცრი დისციპლინა ბატონობდა. უფროსების მოვალეობა სწავლება იყო, ხოლო მოსწავლის – მოსმენა. დაუშვებელი იყო თავისუფალი აზრის გამოთქმა, კამათი და სწავლებაში თამაშის ელემენტების გამოყენება, რაც ასე გავრცელებული იყო ძველ საბერძნეთში. „ელოლიავე შვილს და გაგამწარებს, ეთამაშე და ურვად გექცევა. ნუ იცინებ მასთან, რათა მასთანვე არ იტანჯო და კბილები არ აღრჭიალო. თავის ნებაზე ნუ მიუშვებ სიჭაბუქეში. გვერდები დაუშეულ, ვიდრე ნორჩია, თორებ გაერპಡება და ვეღარ დაიმორჩილებ. აღზარდე და წვრთნას ნუ მოაკლებ, რათა ბოლოს თავშისაცემი არ გაგიხდეს მისი უხამსობა“ (ზირ. 30,9-13). ასეთ სიმკაცრესთან ერთად, მეორე მხრივ, ბავშვთა ინიციატივის დათრგუნვა თვითმიზანი არ ყოფილა. ძველი აღოქმის წიგნებში წახალისებულია ცნობისმოყვარეობის გამოხენა რწმენის, ისრაელიანთა ისტორიული ტრადიციების მიმართ (გამ. 13,14). ამისათვის ისეთ ადგილებში, სადაც თავისი რჩეული ხალხისთვის დმერთმა საოცრებები მოახდინა, სპეციალურად

ქვებით აგებდნენ დიდ ნიშებს. როცა ბავშვები მათი დანიშნულებით ინტერესდებოდნენ, უფროსები და აღმზრდელები დაწვრილებით უხსნიდნენ ყველაფერს (იქსო, 4,5-6).

სხვა მეცნიერებათა შესწავლა მკაცრად შეზღუდული იყო. ცოდნა, თავისთავად, არაფერია, – მიაჩნდათ ებრაელებს, – იგი კარგია მხოლოდ მაშინ, როცა გვეხმარება რჯულისა და ტრადიციების შენარჩუნებაში. ებრაელთათვის არსებობდა გარკვეული აკრძალვებიც ზოგიერთი ღვთიური წიგნის კითხვისა. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ნორჩი სულისთვის საღვთო წიგნების გაცნობა ზიანის მომტანი იქნებოდა. სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი ფილოსოფიის შესწავლისა და ფიზიკური ვარჯიშისადმი, რადგან ისინი წარმართულ სიბრძნეს უკავშირდებოდნენ.

ამასთან ერთად, სიბრძნის არსი იუდეველთა ტრადიციაში კარგად იყო ცნობილი და დაფასებულიც. ძველი აღოქმის წიგნები: იგავები, ეკლესიასტე, სოლომონის სიბრძნე, ზირაქის სიბრძნე ისრაელიანთა ცხოვრების თანამგზავრს და სიბრძნის წყაროს წარმოადგენდა. სწორედ მათი მეშვეობით იკვლევდნენ ძველი აღოქმის ეპოქის ებრაელები ცხოვრების გზას და იმეცნებდნენ ღვთიურ ჭეშმარიტებას. ამ წიგნებში რთული აზრები გადმოცემულია მისაწვდომად და მარტივად. ამასთან ერთად, ნარატივის ტექსტებს ახასიათებს ღრმა ფსიქოლოგიზმი, რაც ამსუბუქებს მათ შესწავლას და, რჯულის კანონების მკაცრი სტილის მიუხედავად, მკითხველს აახლოებს წინასწარმეტებელთა ხილვებსა და სიმბოლურ წიაღსვლებთან.

ძველი აღოქმის აღნიშნული წიგნები თამამად შეიძლება დახასიათდეს, როგორც პედაგოგიკური; მაგრამ

არა ბავშვებისათვის გამიზნული, არამედ მთლიანად ხალხისათვის დღენიადაგ სასწავლი და გასათვალისწინებელი. როგორც ბიბლიის მკვლევრები ამტკიცებენ, იუდაიზმის წმინდა წიგნებში, შესაძლებელია, შეგვხვდეს მეზობელი ხალხის კულტურიდან ბევრი რამ, კერძოდ, პარალელები და ციტატები ბაბილონური, ეგვიპტური, ბერძნული სიბრძნის წიგნებიდან. ეს გაუცნობიერებლად ხდებოდა, რადგან იუდაიზმი სხვა კულტურებთან კავშირს შეგნებულად გაურბოდა.

განსხვავებულ რელიგიებშიც, ძირითადად, მონათესავე აღმზრდელობითი პრინციპები ფიქსირდება, რაც ინტუიციურად ერთნაირი წარმოშობისაა. გულის სიღრმეში ყველა ხალხი ღმერთთან კავშირით სულდგმულობდა. პედაგოგიკა, როგორც ცოდნისა და გამოცდილების გარკვეული სფერო, რომელიც გარდაისახება შშობლებისა და შვილების მიწიერი ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ზნეობრივ ფერისცვალებასა და განლაგრობაში. ამიტომ მის კანონზომიერებებს მეტ-ნაკლებად ყველა ხალხი იზიარებდა. თუმცა, ძველი აღთქმის წიგნები სიბრძნეს და ჭეშმარიტებას განასხვავებს მისი ანტიკური გაბებისაგან. თუკი ბერძნისათვის ეს ცნება ითვლებოდა ინდივიდუალური ძიების ობიექტად და სიწმინდის სიხონიმად, იუდაიზმი „სიბრძნის დასაბამია შიში უფლისა“ (ფს. 110,10). აქ იმდენად დიდია უზენაესი ღმერთის მოწიწება, რომ ნებისმიერი თვითნებური მცდელობა დვორიური განგებულების სფეროში შეჭრისა, რომელიც განპირობებულია ფილოსოფიური გონით, იუდაიზმის თვალსაწიერიდან განიხილება, როგორც უკიდურესად არაგონიკული და თავხედუ-

რი.

„უწინარეს ყოვლისა აღმოცენდა სიბრძნე და კეთილგონიერება უკუნისიდან. ვის გამოუჩნდა ფესვი სიბრძნისა და ცბიერება ვინ შეიცნო? “— კითხულობს ისე ზირაქის ძე (ზირ. 1, 24-25). თუმცა, ცნობილია, რომ ებრაულ რელიგიურ სკოლებში ასწავლიდნენ ხელოვნებისა და ფილოსოფიის საწყისებს, მაგრამ სწავლება მკაცრად შეზღუდული იყო, ხოლო წარმართულ კულტურასთან ნებისმიერი შეხება დია კრიტიკის ობიექტი ხდებოდა.

ზოგადად, ხელოვნების, მეცნიერების და შემოქმედებითი სფეროების მიმართ იუდაიზმი გულგრილი იყო. ბიბლიია მადალ შეფასებას აძლევს მშენებლებს, მუსიკას და მომღერლებს. სწორედ მშენებლები იყვნენ საჭირო უფლის ტაძრის ასაშენებლად. დვორისმსახურებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა მუსიკა და სიმღერა. მაგალითად, დავით მეფე თავისი ფსალმუნების აკომპანირებას გუნდის ლოტბართან ერთად ართაზე აკეთებდა (ფს. 4,5, 6,8,9). სოლომონის ტაძარი, განსაკუთრებით, მისი მთავარი ნაწილი, შემკული იყო ბრინჯაოს კოლონებით, რომელსაც „წმინდათა წმინდა“ ერქვა. იგი მდიდრულად იყო შემკული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებით, რომლებსაც ამშვენებდა ქერუბიმებისა და მიწის ნაოვიერების მხატვრული ნიმუშები.

თუმცა, საყურადღებო ისიც, რომ ხელოვნების ნიმუშებს და მეცნიერულ გამოგონებებს დიდი ხალისით არ ხვდებოდნენ იუდაიზმში. ფილოსოფიური ცოდნა, მეცნიერება და ხელოვნება ფასდებოდა არა მათი თავისთავადი დირებულებით, არამედ იმით, თუ რამდენად ეხმარებოდა ადამიანებს ლმერთის შეცნობასა და

რჯულის დაცვაში. იუდაიზმა, ფაქტობრივად, აკრძალა ღმერთის მხატვრული წარმოსახვა ხელოვნებაში. მთელ ბიბლიურ გპოქაში ცნებები „ხელოვნება“ და „მხატვარი“ თითქმის ყოველთვის ნეგატიური მნიშვნელობით მოიხსენიება; ისინი დავთიური გზიდან გადახვასა და კერპების თაყვანისცემასთან ასოცირდება.

ზოგიერთები გვკიცხავენ იმისათვის, რომ ჩვენ შორის არ იყო ბევრი გამომგონებელი, ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ, რადგან ყველაზე დიდი კეთილგონიერებაა არაფერი არ შეცვალო, ვიდრე იფიქრო დავთიური განგებულების საწინააღმდეგოდ, – წერდა იოსებ ფლავიუსი [14,175].

გაცილებით უფრო კეთილგანწყობილია საღვთო წერილი ხელობის მიმართ. ისე ზირაქის ქე ჩამოვლის სხვადასხვა ხელობის წარმომადგენლებს (დურგალი, ჰჭედელი, ოქრომჭედელი...) და მიუთითებს მათ სასარგებლო საქმიანობაზე: „მათ გარეშე ვერ აშენდება ქალაქი, ვერც ხალხი დასახლდება და იცხოვრებს იქ“ (ზირ. 38, 27-32). მაგრამ ამ პროფესიის ადამიანების შექება უპირობო არაა, რადგან მათი ხელობის მნიშვნელობის კვალდაკვალ, იუდაიზმის თვალსაზრისით, შეინიშნება საეჭვო შემოქმედებითი და ესთეტიკური მოტივები: „ყველა მათგანს (ხელოსნებს) თავისი ხელების იმედი აქვს.... და მათი ლოცვა მიმართულია მათივე შემოქმედებითი წარმატებისკენ“. „მათ კრებებზე არ იწვევენ, მოსამართლის საგარდლებში არ სხდებიან.... არ კითხულობენ იგავებს“; აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანური ყოფა-ცხოვრების ნებისმიერ სფეროს, რომელიც დავთიური განგებულების აღსრულებასთან უშუალოდ არ არის დაკავშირებული, იუდაიზმი

საეჭვოდ მიიჩნევს. ცხადია, რელიგიისაგან დაშორებული პროფესიული აღზრდა-განათლებაც მიუდებელია, რაც განპირობებულია ისრაელიანთა რელიგიური შთაგონებით. რელიგია ისრაელიანთა ცხოვრების საზრისი იყო. იგი განსაზღვრავდა ებრაელთა ყოფას, რასაკვირველია, აღზრდასაც.

ანტიკურობის საპირისპიროდ, იუდაიზმი სკეპტიკურად, მაგრამ ყურადღებით აკვირდებოდა ცოდვით დაცემული ადამიანის შინაგან ბუნებას: „აპა, უკანონოდ ჩავისახე და ცოდვით დაორსულდა ჩემზე დადაჩემი“ (ფს. 50,7). ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ ძველი აღთქმის ეპოქის აღზრდა ხასიათდებოდა პედაგოგიკური პესიმიზმით, რომლისთვისაც დისციპლინური ამოცანების გადაჭრისას უფროსების ნების უპირობო აღსრულება პრიორიტეტული იყო. იობის წიგნი ვირის ჩოხორსაც კი ადარებს თავხედ მოზარდს: „ცარიელი თავი განისწავლება? და ველური ვირის ჩოხორი ადამიანად დაიბადა?“ (იობ. 11,12). სწორედ აქედან იღებს სათავეს პესიმიზმი აღზრდაში და, შესაბამისად, იმპერატივიზმი პედაგოგიკაში.

იუდაიზმის პედაგოგიკის მთავარი საზრისი გახდა არა აღსაზრდელის პიროვნება, როგორც ელინებთან, არამედ საღვთო რჯულის მცნებების გადმოცემა. სწორედ მის საფუძველზე აღმოცენდა ყველაფერი დანარჩენი – მოქმედებაც და განსჯაც. იუდაიზმის აღზრდის სისტემა აშკარად განსხვავებულია ანტიკური ინტელექტუალიზმისა და ესთეტიზმისაგან. იგი ბავშვს განიხილავს ინდივიდუალური ნების მატარებლად, რომელმაც უნდა აირჩიოს მთავარი – იცხოვროს დავთიური განგებულებით თუ მის გარეშე? ხოლო აღზრდის შინაარსი და უმთავრესი მეთოდი საღვთო

რჯულისა და მცნებებისადმი აღსაზრდელის ნების-ყოფის დაქვემდებარებაში გამოიხატება, რასაც პედა-გოგიკურ ვოლუნტარიზმად მიიჩნევენ თანამედროვე მკვლევრები.

რამდენადაც ცნობილია, აღზრდის ასეთი ხერხი დაკავშირებული იყო გონებრივი განვითარების ამო-ცანასთან. ამის შესახებ პირველი საუკუნის ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიუსი წერდა: „ცნობიერების გადვიძების ადრეულ პერიოდში ჩვენ კენტავლობთ მათ (კანონებს) და გვაქვს გარკვეული მონახაზი ჩვენს გულში“ [14,175]. მიუხედავად ამისა, ცოდნა აქ მხო-ლოდ საქმის მცირე ნაწილია, რომელიც შემდგომი აღზრდის საწინააღმდეგო იუდაისტური და ელინისტური აღზრდის სისტემების შედარებისას იოსებ ფლავი-უსი გამოყოფს მთელ რიგ არსებით განსხვავებებს ბერძნული ინტელექტუალიზმისაგან: „თავისი შინაარ-სით საღვთო რჯულმა (მოსეს კანონებმა) ყველაფერს გადააჭარბა. მას შემდეგ, რაც ღმრთის თაყვანისცემა მიიჩნია არა სათნოების ნაწილად, არამედ ღმრთის აღიარებას დაუკავშირა ყველა სხვა სათნოება, იგუ-ლისხმება სამართლიანობა, ვაჟკაცობა, სიწმინდე, სიბრძნე და სამოქალაქო თანხმობა. ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი მოქმედება, უბრალოდ დასვენება თუ ყოფითი საუბრები, წარმოუდგენელია ღვთის თაყ-ვანისცემის გარეშე. საერთოდ არსებობს აღზრდის ორი გზა, რომლებიც განაპირობებს აღსაზრდელის ზნეობრივ ქცევას. პირველი გამოიხატება სიტყვიერ ქადაგებაში, მეორე კი მიიღწევა პრაქტიკული მაგა-ლითებით, რომლებიც მოქმედებს სულიერი ძალების სრულყოფაზე. ათენელებმა და სხვა პოლისების ბერ-ძნებმაც, სახელმწიფო კანონების უზენაესობა აღი-

არეს და დაუდევრობა გამოიჩინეს ზნეობრივი მაგა-ლითებით აღზრდისას.

ჩვენი რჯულმდებული საფუძვლიანად აერთიანებს აღზრდის ორივე მეოთოდს. იგი უურადღებოდ არ ტოვებს ზნეობრივ მაგალითებს და რჯულის მცნე-ბებს, რომლებიც მოიცავს ყოფა-ცხოვრების და ზნე-ობის ყველა წვრილმანს. უფრო მეტიც, საღვთო რჯულმა ზუსტად განსაზღვრა ყველა მხარე და მათ შორის საკვების მიღების წესებიც, როდის რა უნდა მიედოთ და რისგან შეეკავებინათ თავი, როდის უნდა ეშრომათ და როდის დაესვენათ. ყველაფერი ღვთის განგებულებით იმართებოდა და არა საკუთარი ნე-ბა-სურვილებით, რათა არ ჩაგარდნილყვნენ ცოდგაში. ღმერთმა დაუდევრობის შესაძლებლობაც არ დაუტ-ვა რჯულის მიმდევრებს, რამეთუ საღვთო რჯულის ცოდნა აღზრდის აუცილებელ პირობად აქცია და ცალსახად უბრძანა ყველას, მოესმინათ მისთვის არა ერთჯერ ან რანდენიმეჯერ, არამედ ყოველ კვირას შეკრებილყვნენ, და დეტალურად შეესწავლათ რჯუ-ლის კანონები“ [14,174], – წერდა იოსებ ფლავიუსი.

ამდენად, იუდაიზმის აღზრდის მთავარი ნიშანი მისი მკაფიოდ გამოხატული რელგიურ-ეთიკური მიმართულებაა, რომლის გასაღებიც, ებრაელთა ცნო-ბიერების თანახმად, მოსეს მცნებებია; ხოლო საღვ-თო რჯულის მიზანი არა იმდენად ყოფა-ცხოვრე-ბის პირობების გაუმჯობესებაა, არამედ მრავალი ზნეობრივი საფრთხის თავიდან აცილება, რომლებიც ადამიანებს პირველცოდვის შემდეგ ერგოთ. ამიტომ იუდაიზმის ეთიკური იდეალი აშკარად აღემატება ყველა დანარჩენს. მაშინ, როცა ანტიკური აღზრდის სისტემა აღიარებდა ცალკე აღებული ესთეტიკური,

პიროვნული და საზოგადოებრივი განვითარების ღირებულებას, იუდაიზმის პედაგოგიკამ ისინი ღვთიური განგებულების აღსრულების საშუალებად მიიჩნია.

იუდაიზმის კონტექსტში ადამიანის მთელი ცხოვრება უზენაესის წინაშე მუდმივი არსებობაა. ადამიანის სიტყვას და საქმეს მორალური და არა ესოფეიკური, თუნდაც ინტელექტუალური ღირებულება აქვს, ხოლო ცოდვა გაგებულია არა როგორც პერძო შეცდომა ან გაუგებრობა, არამედ შემოქმედის ნების უარყოფა. ამდენად, ღვთიური ნების შესატყვისი ეთიკური ნორმები ადარ წარმოადგენებს მხოლოდ საზოგადოებრივი აუცილებლობით განპირობებულ ან ცალკეული ადამიანების პირადი ღირსების გამომხატველ ზნეობრივ ღირებულებებს, არამედ მათ საყოველთაო ხასიათი შეიძინეს და ღვთიურ სრულყოფილებამდე ამაღლდნენ, რაც მიუღწეველი აღმოჩნდა წარმართული სამყაროსათვის.

იუდაიზმის პედაგოგიკის რელიგიური საფუძველი და მისი ეთიკური შეფერილობა დიდწილად ამსუბუქებდა მის მკაცრად რეგლამენტირებულ მეთოდებს. აღზრდა ძველ ებრაელებში არ იყო ავტოკრატიული და აბსოლუტური, არ დაკანონებულა ტირანული დამოკიდებულება (მამის ან სკოლის დამრიგებლის საშუალებით), არ შემოუდიათ ბავშვების წვრთნა, როგორც სპარტაში. აღზდა ემსახურებოდა მხოლოდ უზენაესის ნებას, რაც, ებრაელთა აზრით, ყველაზე ჭეშმარიტი და სასარგებლო გზა იყო.

სწორედ პირადი რელიგიური პასუხისმგებლობის პრინციპმა მოახდინა ზემოქმედება სამართლებრივ ნორმაზე, რომლის მიხედვითაც მშობლების ვალის ან დანაშაულის გამო პასუხისმგებლობას

მის მემკვიდრეებს აკისრებდნენ, ხოლო ბავშვთა საქციელისათვის პასუხს მშობლებს მოჰკითხავდნენ. წარმართებისაგან განსხვავებით, ებრაელები არ ამკვიდრებდნენ მიწიერ სამართლიანობას. ეს მისია უზენაესის ნებას დაუქვემდებარეს. იოსებ ფლავიუსი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „მშობლების დანაშაულისათვის შვილები არ უნდა ისჯებოდნენ, თუ ეს ბავშვები სათხონი არ არიან, მაშინ მათ მიმართ სინანული გვმართებს, რადგან ისინი წარმოიშვნენ ბოროტი მშობლებისაგან“ [15,171].

ებრაელთა მრავალრიცხოვან დღესასწაულებზე, განსაკუთრებით, ბავშვის დაბადებასა და წინადაცვეთასთან დაკავშირებულ ცერემონიალებში, შეინიშნება მისტიკიზმის ელემენტები, რაც მიმართულია ბავშვის წარმატებისა და კეთილად აღზრდისაკენ. ასეთი რიტუალები ანუ საიდუმლოებები სიმბოლური დატვირთვის მატარებელი იყო და მასში მონაწილე ღვთის მადლის თანაზიარი ხდებოდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი აღთქმის რელიგიისთვის საკრამენტალიზმი,¹ როგორც მეთოდი და თვალსაზრისი, ნაკლებადაა დამახასიათებელი. რიტუალების დროს პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებდნენ არა მის მისტიკურ არსზე, არამედ დადგენილი წესების მიხედვით რიტუალის ჩატარებასა და მსხვერპლ-შეწირვაზე. ამიტომ ასეთი თავყრილობებისას გამორიცხული იყო ღვთის შემეცნება ან მასთან კავშირი. ამის შესაძლებლობა მორწმუნეს ეძლეოდა უფლის წყ-

1 საკრამენტალიები (გვიანლათ. *sacramentalis*) – ეკლესიის მიერ დაწესებული წმინდა ნიშნები, რომელთა მეშვეობითაც საიდუმლოთა ანალოგით, უმთავრესად ეკლესიის ვედრებით სულიერი შედეგები მიიღწევა.

ალობით მხოლოდ გვიან. იუდაიზმის თანახმად, უზენაესი მიუწვდომელია ადამიანისთვის, ამიტომ თავად უწყის, როდის და რა გამოუცხადოს თავის ხალხს.

იუდაიზმი აღზრდის მიზანი, ონტოლოგიური¹ თვალსაზრისით, ისეთივე იყო, როგორიც მთელი იუდეის მოზრდილი მოსახლეობისა, რომელიც უფლის მადლითა და მცნებების დახმარებით ცდილობდა აღედგინა ღმერთთან კავშირი, რაც ადამმა და ევამ დაკარგეს. ამის საფუძველზე იუდაიზმის პედაგოგიკამ წარმოადგინა ძირეულად განსხვავებული, თანმიმდევრული და ერთიანი ტრადიცია, რომელშიც არ არის განსხვავება „დიდაქტიკურ დვოთისმოსაობასა“ და ზოგად ზნეობრივ ნორმებს შორის. აქ აღზრდა მიმდინარეობდა არა სპეციალური სააღმზრდელო ხერხებითა და „განსაკუთრებული აკრძალვებით“, არამედ თორას კანონებით.

ანტიკურმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ უზრუნველყო გონებისა და სულის თავისუფლება, რამაც დიდი გასაქანი შისცა პლურალისტურ აზროვნებას. დასაშვები გახდა სამყაროს აღქმისა და ცხოვრების პრინციპების მიმართ განსხვავებული, ინდივიდუალური შიდგომა. თუმცა დისციპლინისა და ჭეშმარიტების გაების ერთიანი სტანდარტის გარეშე ბავშვთა აღზრდა შეუძლებელი გახდა. ამიტომ ელინური პედაგოგიკა ორმაგი სტანდარტის წინაშე აღმოჩნდა: ერთი მორალი უფროსებისთვის, მეორე – ბავშვებისათვის. ამგვარი ზნეობრივი რელატივიზმი,² რასაკვირველია,

1 ონტოლოგია – მოძღვრება ყოფიერების შესახებ.

2 რელატივიზმი – (relativus-შეფარდება) იდეალისტური მიმართულება, რომელიც ჩვენს ცოდნას მხოლოდ შეფარდებითად მიიჩნევს და უარყოფს ობიექტურ ჭეშმარიტებას.

გავლენას ახდენდა აღსაზრდელებზე, ბავშვთა ზრდა პირდაპირ უკავშირდებოდა მათოვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭებას, რაც „ზრდასრულობის“ პრივილეგიისათან ასოცირდებოდა.

რაც შეეხება იუდაიზმს, როგორც აღმოჩნდა, ბავშვები სტაბილურ სულიერ და მსოფლმხედველობრივ გარემოში იზრდებოდნენ. ერთი ასაკობრივი საფეხურიდან მეორეში და ერთი სოციალური მდგრამარეობიდან ახალში გადასვლის მიუხედავად, ებრაელი ბიჭი და გოგო, სასიძო და საპატარძლო, მამა და დედა ზნეობრივ პასუხისმგებლობას ამის გამო არ იცვლიდნენ. ამგვარი დამოკიდებულება იყო სანათესაოში და სინაგოგის კრებულში. ათასობით იუდეველი ადიდებდა ღმერთს იერუსალიმის წმინდა ტაძარში, რომელიც იუდეველთა აღზრდის სისტემის მთავარი ორიენტირი იყო.

იუდეველთა დოგმატური აზროვნება და ფუნდამენტალიზმი ცხოვრების წესში ძლიერ ზემოქმედებას ახდენდა აღსაზრდელებზე. სწორედ სოციალური მოცემულობა წარმართავდა ბავშვის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, აზრებს და გრძნობებს დვოთური განგზებულების შესრულებისა და ისრაელიანთა ტრადიციების შენარჩუნებისაკენ.

„და იყოს ეს სიტყვანი, რომელთაც მე გიბრძანებ დღეს, შენს გულში ჩაუნერგე ისინი შენს ძეთ და ელაპარაკე მათზე სახლში ჯდომისას. და გზაზე სიარულისას, დაწოლისას, და ადგომისას. და შეიძი ნიშნად ხელზე, და იყოს ისინი შუბლსაკრავად შენს თვალებს ზემოთ. და დააწერე ისინი შენი სახლის კარის წირთხლებსა და შენს კარიბჭეებს“ (რჯ. 6, 6-9), – ამგვარი სიმბოლური დატვირთვის მატარებე-

ლია დვთის მოწოდება მისი რჩეული ხალხის რელიგიურ-საზოგადოებრივი წყობისა და ზნეობრივი ერთიანობისათვის. სწორედ რჯულის ერთგულება და არა „პიროვნული სრულყოფილების ერთობლიობა“, როგორც ეს იყო მიღებული ბერძნთა შორის, განაპირობებდა ებრაელთა დვთისმოსაობას და სათხოებას, რასაც პირდაპირი გავლენა ჰქონდა აღზრდაზე.

ანტიკურობამ აღიარა ადამიანის უფლება, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშისა, რომელიც ასრულებდა „საკუთარ პარტიას თავისთვის“. ასეთი მოთამაშე სხვათაგან დამოუკიდებლად ირჩევდა მოქმედების მიზანს და, თუ საჭირო გახდებოდა დვთის შემწეობა, დროებით შეთანხმებასაც დებდა მასთან. ერთი ღმერთის გაგება ძველ იუდეველებში აბსოლუტურად აღემატებოდა ადამიანისა და სამყაროს სტიქიების მართვას: „თუ სმენით მოუსმენ მის ხმას და ყველაფერს გააკეთებ, რასაც გეუბნები, მაშინ ვუმტრობ შენს მტერს და შევავიწროვებ შენს შემავიწროვებელს“ (გამ. 23, 22). უფრო შეტიც, უბედურია არა მარტო რჯულის მოთხოვნების დამრღვევი, არამედ მისი მამაც, რადგან მან სათანადოდ ვერ აღზარდა თავისი ნაშიერი: „ბრიუვი შვილი მამის ჯავრია და თავისი მშობლის მწუხარება“ (იგავ. 17, 25). გაუგონარი შვილის მშობელი უზენაესის წყალობასაც არ უნდა ელოდოს, ამიტომ დვთის მოწოდება მამის მიმართ იმპერატიულია: „დაიცავი და გაიგონე ყველა ეს სიტყვა, რომელსაც მე გიბრძანებ, რათა კარგად იყვნეთ შენ და შენი ძენი, შენს შემდეგ, უკუნისამდე, რადგან იმას გააკეთებ, რაც კარგი და სწორია უფლის, შენი ღმერთის თვალში“ (რჯლ. 12, 28), ან კიდევ: „აღსასრულამდე ნურავის მიიჩნევ ნეტარად; ადამიანი მის

ნაშობთაგან შეიცნობა“ (ზირ. 11, 28).

რჯულში აშკარად ხაზგასმულა შვილების მორჩილების მნიშვნელობა მშობელთა ნებისადმი: „პატივი ეცი მამაშენსა და დედაშენს, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე, რომელსაც გაძლევს უფალი, შენი ღმერთი“ (გამ. 20, 12). ღმერთი კატეგორიულად აფრთხილებს მშობლებსაც: „....მე ვარ უფალი ღმერთი შურისმგებელი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოვკითხავ, ჩემს მოძულეთა მესამე და მეოთხე თაობას“ (გამ. 20, 5). მშობლებმა შვილების დასჯაც არ უნდა დაივიწყონ, რადგან: „ვინც თავის შოლტს ზოგავს, სძულს თავისი ძე, ხოლო ვისაც უყვარს, სჯის მას“ (იგავ. 13, 24).

შესაძლებელია, თანამედროვე ადამიანებს ზედმეტად მკაცრი მოეწვენოთ იუდაური აღზრდა, რაც უსაფუძვლო არ არის, მაგრამ ისიც არ უნდა დავიწყოთ, რომ ასეთმა მიღგომამ თავის დროზე ისტორიული როლი ნამდვილად შეასრულა. იუდაისტური აღზრდის მოთხოვნები და მოტივები ერთიანობაში უფრო გარკვეულია (განსაზღვრულია), ვიდრე თავისუფლების აბსტრაქტული ანტიკური იდეალები, რაც, მათი აზრით, საზოგადოებრივ სიკეთეს და პიროვნულ განვითარებას მოასწავებდა. ამის საპირისპირო, იუდეური პედაგოგიკა ამ მხრივ პრაქტიკიზმით გამოიწეოდა. საუკუნეების განმავლობაში თვითმყოფადმა ტრადიციებმა და აღზრდამ ისხსნა ებრაელები მეზობელი წარმართების გავლენისაგან, იმის მიუხედვად, რომ პალესტინა მდებარეობდა ხელთაშუა ზღვის ისეთი გავლენიანი კულტურების გადაკვეთაზე, როგორიც იყო ეგვიპტე, ბაბილონი, საბერძნეთი, კართაგენი და რომი.

ასეთმა მდებარეობამ ვერ შეძლო ისრაელიანთა ტრადიციების და ოვითმყოფადობის შეცვლა. ზოგიერთი მმართველი (ეპიფანე ანტიოქიელი, პეროდე) ცდოლობდა, ხელოვნურად მოქსედინა მათი ზნეობისა და ცხოვრების წესის ელინიზირება. მაგრამ ხალხი ამას ყველა საშუალებით ეწინააღმდეგებოდა, მათ შორის, შეიარაღებულ აჯანყებაზეც არ ამბობდა უარს. მეფე პტოლემეოს IV ებრაელებს მოიხსენიებს მონათესავე ტომად და ადასტურებს იმასაც, რომ ელინების ზეწოლით მათ რადაც პერიოდში უკან დაიხიეს: „მათ შორის, ვინც ჩვენ მიმართ ლოიალობა გამოიჩინა, ისინიც კი სიტყვით თუ უსიტყვოდ გამოხატავდნენ სიძულევილს“ [12,71].

ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფიამ აღიარა ადამიანური სულიერების მთავარი საჭიროება – ლვთიური ჰერმარიტების ზიარება, მაგრამ წარმოდგენა არ პქონდა, სად და როგორ შეეცნო იგი. ელინური აღზრდა ამის საფუძველს არ იძლეოდა. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა იგი მკაფიო ზნეობრივი ორიენტირების მიღმა.

როგორც სხვადასხვა საშუალებიდან ჩანს (სპარტანული აღზრდის ფენომენი, აბორტის პრობლემა წარმართულ სამყაროში), პიროვნების მიმართ უურადღება და პატივისცემა ძველ ბერძნებსა და რომაელებთან შეფარდებითი ხასიათისაა. ოდონდ თეორიულად ელინიზმა ადამიანი დააყენა სამყაროს ცენტრში და აღიარა მისი ფილოსოფიური ლირებულება. სინამდვილეში ანტიკურ ისტორიაში ადამიანის ინტერესები ხშირად სოციალურ და ეგოისტურ მოსაზრებებს ეწირებოდა. იმის გამო, რომ არ პქონდა ადამიანის სულიერ და მეტაფიზიკურ ცხოვრება-

ზე მყარი რელიგიური წარმოდგენა, ბერძნულ კულტურას არ შეეძლო ბოლომდე სიზუსტე გამოეჩინა თავის ანთროპოლოგიაში. ისეთი ცნებები, როგორიცაა საზოგადოება და პიროვნება, რელიგიის მიღმა აღმოჩნდა; თუმცა, მათ იურიდიულ ფორმულირებას ხშირად მიმართავდნენ პოლიტიკური პოზიციებიდან, რაც ზედაპირულ ხასიათს ატარებდა.

იუდაიზმის აღზრდის არსი და მშობლების მოვალეობა, რაც მკაცრ რელიგიურ ნორმებს ეფუძნებოდა, შეიძლება, უფრო ფორმალური და მიწიერი მოგვეჩვნოს, ვიდრე ელინური აღზრდა. მაგრამ, არსებითად, იუდეურ პედაგოგიკასა და ზნეობრიობას გაცილებით მყარი და გამოკვეთილი საფუძველი აქვს, ვიდრე ფრიად განვითარებულ, ფილოსოფიურად დასაბუთებულ, მაგრამ ურელიგიო პოზიციას.

ბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ძველი აღთქმის იუდაისტური პედაგოგიკის არსებითი ნიშანი – განგრძობადობა და მარადიულობა. აქამდე ჩვენ ძირითადად ვეხებოდით მიწიერი ცხოვრების გზების ძიებას, მაგრამ რელიგიური პედაგოგიკისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანის უკანასკნელი ხვედრის გათვალისწინება, რომელიც უკელა რელიგიის მიხედვით სამარის კართან იწყება.

ანტიკურობა და ბიბლიური იუდაიზმიც ადამიანის სულს უკვდავად მიიჩნევდა, რომელიც ადამიანის მიწიერი ცხოვრების შემდეგაც აგრძელებდა სიცოცხლეს და შესაბამისად იმისა, რამდენად ზნეობრივად იცხოვრა ადამიანმა ხორციელი არსებობისას. ამის მიხედვით დაიმკვიდრებდა ადგილს სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. სწორედ ასეთი დილემა ახდენდა გადამწყვეტ გავლენას ადამიანის ზნეობასა და, აქედან გა-

მომდინარე, აღზრდაზე.

იუდეველთა ოწმენამ, რომ ხანმოკლე და მშვიოთვარე ცხოვრებას მოჰყვება სრულიად განსხვავებული სამუდამო სამყოფელი, ბუნებრივი დაღი დაასვა მათ მსოფლმხედველობას და ურთიერთობას ყოველგვარ მიწიერთან: „ორს მოვითხოვ მე შენგან, უარს ნუ მეტყვი, სანამ მოვაკლები: ამაო და სიცრუე განმაშორე, ნურც სიღარიბეს და ნურც სიმდიდრეს ნუ მომცემ, ჩემი წილი პურით გამომკვებე, რომ არ გავძლე, არ უარვყო და არ ვთქვა, „ვინ არის უფალი?“ ან გადარიბებულმა არ ვიქურდო და არ შევბლალო სახელი ჩემი ღმერთისა“ (იგავ. 30, 7-9). როგორც წამი ერწყმის მარადიულობას, სწორედ ასე უნდა ერწყმოდეს აღსაზრდელის სულს აწმეო, მომავალი ცხოვრების სიკეთე და სასოება. მარადიული ნეტარებისათვის მსხვერპლად უნდა შევწიროთ დროებითი კეთილდღეობა და ნეტარება: „სიმაძღვრისას შიმშილის ჟამი გახსოვდეს, სიღატაკისა და გაჭირვებისას კი – სიმდიდრის ჟამი“ (ზირ. 18, 25).

თუმცა, სიმდიდრეს და გართობას ძველ აღთქმაში იმდენად საეჭვოდ არ მიიჩნევდნენ, როგორც ამას ვხვდებით ახალ აღთქმაში. ამის მიუხედავად, ძველი ებრაელები ბავშვთა აღზრდაში ყოველთვის მკაცრ ურთიერთობას ანიჭებდნენ უპირატესობას. სავალდებულო შრომასა და პროფესიულ სწავლებასთან ერთად, ცხოვრებისეულმა სიმკაცრემ ისეთ დონეს მიაღწია, რომ მოციქულმა პავლემ შენიშნა: „ვამბობ: მემკვიდრე-მეთქი, მაგრამ ვიდრე ის ყრმაა, არაფრით არ განირჩევა მიწისგან, თუმცა ყოვლის პატრონია“ (გალ. 4, 1). ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ გამონაკლისს არ უშვებდნენარც მდიდართა ოჯახებისათვის.

იგულისხმება, რომ ასეთი სიმკაცრე ზუსტად შეესაბამებოდა მაშინდელი აღზრდის მიმართულებას. თუ ბავშვი განცხომას მიეცემოდა, რა იმედი უნდა ჰქონოდათ მის აღზრდელებს, რომ იგი უსიტყვოდ მოუსმენდა მათ? ამის თაობაზე ბრძენი ზირაქის შეგონება ასეთია: „თუ განცხომის ძებნად მიაქცევ სულს, მტრების სასაცილოდ იქცევი, ნუ ტკბები ფუფუნებით და დრეობებს ნუ გადაჲვები“ (ზირ. 18, 31-32).

ადამიანებისათვის სიკვდილის შიშიც ბუნებრივია. იგი ადამიანის სულის მთრთოლვარე სიმია, რომელიც ყოველთვის ძლიერ დაჭიმულია და მზად არის, მცირე შეხებაზეც დადგებითი იმპულსი შეიძინოს: „უფლის შიში დაატკბობს გულს, შვებას, სიხარულსა და ღღეგრძელობას მიანიჭებს. უფლის მოშიშს ბოლო კეთილი ექნება და იკურთხება თავისი აღსარეულის დღეს“ (ზირ. 1, 10-11). აღსასრულის შეგონება, სიკვდილის გარდუვალობის შეხენება იუდაისტური პედაგოგიკის და, ზოგადად, ზნეობრიობის განსაკუთრებული საკითხია: „გახსოვდეს აღსასრული და მოეშვი მტრობას; გახსოვდეს ხრწნა და სიკვდილი და აღსარეულე მცნებანი“ (ზირ. 28, 6). „ყველა საქმეში გახსოვდეს შენი აღსასრული და აღარასოდეს სცოდავ“ (ზირ. 7, 36). „საშინელია მათოვის ფიქრი იმაზე, თუ რა მოელით და თავზარსა სცემთ აღსასრულის დღე“ (ზირ. 40, 2).

განსხვავებულია სიკვდილის განცდა ანტიკურ კულტურაში. მარადისობისთვის მზადება თან სდევს პლატონის ფილოსოფიას. თუმცა, „უმაღლესი სამყაროს უსხეულო იდეა“ ძალიან ბუნდოვანი და მიწიერისაგან განსხვავებულია; ამიტომ აქედან რაციო-

ნალური დასკვნის გაკეთება თითქმის შეუძლებელია.

პლატონის აზრით, ადამიანის სული სამი ნაწილი საგან შედგება: გონივრული, ნებითი და გრძნობითი. მათ შეესაბამება სიბრნე, ვაჟკაცობა და ზომიერება. იდეალურ სახელმწიფოში ადამიანთა სამი ჯგუფია: ფილოსოფოსები მართავენ სახელმწიფოს, მეომრები იცავენ მას და ვაჭარ-ხელოსნები კი გაონომიკურ-სამეურნო საქმიანობას ეწევიან.

აღზრდა საზოგადოებრივი ხასიათის მოვლენაა, ამიტომ იგი მტკიცედ ორგანიზებული ზემოქმედება ბავშვზე. პლატონი აღზრდაში იმიტომაც ხედავს საფრთხეს, რომ სულს გვამი არ სჭირდება, მაგრამ გვამი სულზე ახდენს გავლენას. სული შეიძლება გვამისაგან შეირყვნას. ცუდი და ბოროტი ხორცისაგან გამოდის და, ვინაიდან სული იდეის მსგავსად უცვლელი არაა, შესაძლებელია მისი დამასინჯება. აღმზრდელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სულის სიმინდისათვის საჭიროა მისი გამიჯვნა ხორციელი ცოდვებისაგან. რაც შეეხება სიკვდილის შიშს, იგი პლატონს ნაკლებად აღელვებს, რადგან ამაზე უარესი რამეც შეიძლება დაემართოს ადამიანს.

სული არის სპირიტუს, რაც არის ცალკე ადამიანი და მის გარეშე ადამიანი არ იქნებოდა, – მიაჩნდა **არისტოტელეს**, – ხოლო, როცა ადამიანი კვდება, მაშინ ეს მოაზროვნე სული ცალკე აგრძელებს არსებობას. რაციონალური (გონივრივი) სული არის უკვდავი და ინდივიდუალური (პირადული). საერთოდ, იგი ადამიანის სამნაირ სულს გამოყოფს: მცენარეულს (გამრავლება და კვება), ცხოველურს (შეგრძებები და გრძნობები) და გონივრულს (აზროვნება, სწორიმართვა), რაც უკვდავი და მარადიულია. სამნა-

ირ სულს შეესაბამება აღზრდის სამი სახე: **ფიზიკური**, **ზნეობრივი** და **გონებრივი**.

სტოიციზმის შეხედულებით, მსოფლიოს აძლევს სიცოცხლეს ღმრთებრივი ცეცხლი, რომელსაც უზენაესი გონება განაცემს. ადამიანის გვამი ცოცხლობს და აზროვნებს, ვინაიდან მას ენიჭება ამ ცეცხლის საწყისის ნაწილაკები, რომელიც ყველაფერშია. როგორც ეს ცეცხლი აღწევს სამყაროს ყველა საზღვარს, ისე ადამიანის სულს უკავია მოელი მისი გვამი, რომელშიც იგი დგას. ამიტომ ადამიანის სული, გვამის სიკვდილის შემდეგ, მსოფლიური ცეცხლის განმასახიერებელ ცის სხეულთ უბრუნდება.

საერთოდ, ამაღლებულისადმი სწრავგა ანტიკურობის ზოგადი, ესკიზური პერსპექტივაა. ალბათ პლატონსაც და სხვა ანტიკურ მოაზროვნებსაც გაუჭირდებოდათ ზუსტი პასუხის გაცემა კითხვაზე – ადამიანი რომ მარადისობას ეზიაროს, კერძოდ რა უნდა გააკეთოს ამისათვის აღზრდამ.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას თავისებურად შეეცადა იუდაიზმი, რომლის თანახმად ადამიანს ორი სული აქვს: ერთი – სასიცოცხლო და მეორე – ღვთაებრივი. პირველი დაკავშირებულია სხეულებრივ არსებობასთან, მეორე, ღვთაებრივი სული, ღვთისკენად მიპყრობილი. მთავარი დილემა ადამიანისთვის ამ სულების არჩევაა, რაშიც იგი თავისუფალია. მის ნებაზეა დამოკიდებული, ღვთისმორწმუნე იქნება, თუ მისგან განდგომილი. ამასთანავე, ადამიანს ყოველთვის აქვს მონაცემის საშუალება. მონაცემი ნიშნავს ცოდვის გაცნობიერებას, მისი გამოსწორების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას და შესრულებას. მაგრამ ეს არაა საკმარისი, რადგან, თუ ადამიანმა

სულიერი მდგომარეობა არ შეიცვალა, ცოდვა ისევ განმეორდება. ამიტომ სულიერი მდგომარეობისა და ამის შედეგად ქცევისა და ცხოვრების წესის შეცვლა არის სრული მონაბიჯი.

სიკვდილი იუდაიზმში აღქმულია ადამიანის მთლიანობის დარღვევად: მისი ბუნებრივი ნაწილი – სხეული მიწას უბრუნდება, ხოლო უკვდავი, არამა-ტერიალური, ღვთაებრივი სული – ღმერთს. მკაფიო წარმოდგენა იმქვენიური ყოფის შესახებ იუდაიზმში არ არის. მკვდრები არაფერს გრძნობენ (ფს. 146,4). თქვენ არ უნდა გქონდეთ იმის შიში, რომ სიკვდი-ლის შემდეგ ტკივილს იგრძნობთ ან დაიტანჯებით, რადგან ბიბლია სიკვდილს ძილს ადარებს (ფს. 13,3). ბიბლიაში ვკითხულობთ, რომ „ქრება მათი ... სი-ძულვილი და შური“ (ეკლ. 9,6). ღმერთი გვპირდება, რომ დადგება დრო, როცა „აღარ იქნება სიკვდილი“ (გამ. 21,4). ამ პერიოდის შესახებ ბიბლიაში წერია: „მართლები დაიმკვიდრებენ დედამიწას და მარადი-ულად იცხოვრებენ მასზე“ (ფს. 37,29).

აღზდის სფეროში პარალელური მიდგომა ფიქსირ-დება ანტიკურ საბერძნეთსა და იუდაიზმში; თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ელინისტურ ეპოქაში დამკვიდრე-ბულმა იდეამ ბერძნის აღზრდა შეცვალა ბერძნად აღზრდის ამოცანით, ხოლო, ამის საპირისპიროდ, ეზრაულმა იუდაიზმმა ეთნიკური სახე მიიღო, რაც ეზრა წინაწარმეტყველის წიგნშიცად დამოწმებული: „რადგან მოიყვანეს მათი ასულები თავიანთვის და თავიანთი ვაჟებისათვის, და შეერია წმიდა თესლი ამ ქვეყნების ხალხებს“ (ეზრ. 9, 2). ამის შემდეგ ეზრაუ-ლი იუდაიზმი ზურგს აქცევს ებრაელად აღზრდას

და უპირობოდ ბატონობს ებრაელის აღზრდის იდეა.¹

იმის შესახებაც უნდა აღინიშნოს, რომ იუდაიზმის, როგორც რელიგიის, კრიზისის უმთავრესი მიზეზი ძველ აღთქმაში გაცხდებული ღვთის სიტყვის უარ-ყოფა გახდა. ებრაელმა ხალხმა არ იწამა სამყაროს შემოქმედის მოვლინება. ამასთან ერთად, თვით რჩეულ ხალხში გამძაფრდა წინააღმდეგობა ჭეშმა-რიტად დრმა რელიგიურობასა და რელიგიის გარეგ-ნულ, ფორმალურ აღიარებას შორის, რამაც ისრაე-ლის მოსახლეობის დიდი ნაწილი მოიცვა. ცხადია, თუ იუდაიზმი გადაწყვეტდა პიროვნების თავისუფ-

¹ ამ საკითხზე საყურადღებო კონცეფცია განავთარა თავის სადოქტორო დისერტაციაში პროფ. ს. ლობჟანიძემ. ავტო-რის დასკანით, „აქემენიდური საარსეოს მეფის, კიროს დიდის ედიქტის ძალით (ძვ. წ. აღ.-ის 538 წელი) ებრაელთა ბაბილონის ტყვეობიდან აღთქმულ მიწაზე დაბრუნებიდან 80 წლის შემდეგ (ძვ. წ.-აღ.-ის 458 წელი) იწყება ახალი ეპოქა მონოთეიზმი. ხდე-ბა მოსეს სჯულიდან ეზრაულ იუდაიზმში გადასვლა. როგორც სახელწოდებიდანც ჩანს, ეს მოვლენა ეზრა წინასწარმეტყველის (რომელიც პირველმდევდელმთავრის, აარონის პირდაპირი შთამო-მავალი იყო) რეფორმას უკავშირდება. რეფორმის არსი მდგო-მარებდა ღმერთზე ორიენტირებული საზოგადოების სჯულზე ორიენტირებულ საზოგადოებად გარდაქმანი, ანუ ღვთაებრივი კონვენციის იმგვარ ტრანსფორმაციაში, რომ ღმერთსა და საზო-გადოებას შორის ჩამდგარიყო „სჯული“ ანუ კანონი, მეტიც, ამ კანონის ეზრასეული ინტერპრეტაცია. მოსეს სჯულში მთავარი იყო ღმერთი (აბსოლუტი), სჯული ანუ კანონი (resp. თორა) მისი ნების გამოვლინება იყო. თუ ადამიანი ეურჩებოდა საღვთო კონ-ვენციას, ე.ი. ის ეურჩებოდა უშალოდ ღმერთს (აბსოლუტს). ეზრაულ იუდაიზმში მთავარი უკვე თავად სჯული ანუ კანონია (resp. თორა). შესაბამისად, ადამიანი, რომელიც არღვევდა სად-ვთო კონვენციას, ეურჩებოდა სჯულს“ (ს. ლობჟანიძე, აღზრდის ეთებური პრინციპები ეპოქადური ცვალებადობის შექმე, სადოქ-ტორო დისერტაციის ავტორეფრატი, თბ., 2006, გვ. 24).

ლების, შემოქმედების და განვითარების შემეცნების პრობლემებს არა ფორმალურად, არამედ ღრმად და შინაგანად, მდგომარეობა სხვანაირი იქნებოდა.

იუდაიზმისთვის უმთავრესი იდეოლოგიური პოსტულატი კონსერვატიზმი გახდა, რაც მანამადე იყო სასარგებლო, სანამ იგი თვითმიზნად არ იქცა და მანკიერების დაფარვა ტრადიციების და თვითმუფლუადობის შენარჩუნების მცდელობად არ იქნა მიჩნეული. თავის მხრივ, ებრაელთა რელიგიური და კედაგოგიკური შეხედულებები არსებობდა ანტიკური ფილოსოფიის თვალთახედვის მიღმა და არ დატოვა მასზე რაიმე სერიოზული კვალი. ეს იმ დროს, როცა ელინური კულტურა თავად საზროობდა სხვა ხალხების და რელიგიების იდეებითა და კონცეფციებით. ბერძნებისათვის დამახასიათებელი იყო კულტურათა ურთიერთგამდიდრება, რაც საოცარი სინკრეტიზმის უნარით გამოარჩევდა მათ იუდევლებისაგან. სწორედ ამიტომ ანტიკურობისთვის უცხო აღმოჩნდა ძველი აღთქმა. ელინებმა და რომაელებმა უბრალოდ ვერ დაინახეს თავიანთი ადგილი ძველი აღთქმის იდეალებში.

მაცხოვრის ხორციელი მოვლინების დროს როგორც წარმართული, ისე იუდეური სამყარო ერთნაირად მწუხარე სურათს ქმნიდა და ძალიან დაშორებული იყო ჭეშმარიტ ღმერთს. ამიტომაც ვერ შეიცნეს ღვთის ძე და სულიერ კრიზისში აღმოჩნდნენ. აღნიშნული ისტორიული პირობების შესახებ უამრავი გამოკვლევა არსებობს, როგორც სეკულარიზმის იდეების მიმდევარ მეცნიერთა შორის, ისე ღვთისმეტყველთა საეკლესიო-ისტორიული ნაშრომების სახით. თუმცა, ამჯერად ჩვენს ინტერესებში მხოლოდ

პედაგოგიკასა და ბავშვთა რელიგიურ აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები შედის.

განხილული საკითხის შესახებ ჩვენი მსჯელობა შემდეგი დასკვნის საფუძველს გვაძლევს: თუ ანტიკურ საბერძნეთსა და რომში აღზრდა სახელმწიფო ებრივი იყო, იუდაისტური აღზრდის მიმართულებას რელიგიაგანსახლვრავდა, ანუ აღზრდას თეოცენტრული ხასიათი ჰქონდა. ხოლო ანტიკურ სამყაროში აღმზრდელობით პროცესს ფილოსოფია კვებავდა. თუკი იუდაიზმში აღზრდას პრატიციზმი ასაზრდოებდა, ანტიკურ საბერძნეთში დიდი ყურადღება ეთმობდა პიროვნების თავისუფლებას. იუდაიზმში ოჯახური ტრადიცია და უფროსუმცროსობის იურაქია გადამწყვეტი იყო.

სწავლების შინაარსის ფორმირებისას მეტი თავისუფლებაა საბერძნეთში, წამყვანი აქ საერო განათლებაა; ხოლო იუდაიზმში სწავლება მირითადად უფლის მცნებებზეა ორიენტირებული და ყველგან სწავლობენ თორას. მცნებების შესწავლა და დაცვა უფლის ნების გამოხატულებაა. საბერძნეთში კი პიროვნების ნებასა და უნარებზეა დამოკიდებული სწავლა, რომელიც სათხოების რანგშია აყვანილი. პროფესიონალი მასწავლებლები ანტიკურ სამყაროში ძირითადად პედონომები და ფილოსოფოსები არიან, ხოლო იუდაიზმში ამ საქმიანობას ღვთისმსახურები, მწიგნობრები და რაბინები ეწევიან.



იუდაისტური აღზრდის ტრადიცია და თანამედროვეობა

თანამედროვე დასავლურმა ცივილიზაციამ სათანადო ცოდნა დააგროვა აღზრდა-განათლების სფეროში. ამ ცოდნის უდიდესი ნაწილი ეკროპედი ხალხების ტრადიციულ კულტურას განეკუთვნება, რომელიც ქრისტიანულ მორალს ეყრდნობა, თუმცა, მისი ფესვები ძველ აღთქმაშია საძიებელი. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ თანამედროვე აღზრდის მეცნიერების დასაბამი სწორედ იუდაიზმში აღმოჩნდება.

მაგრამ არის განსხვავებებიც. ისინი, როგორც წესი, მომდინარეობს იქიდან, რომ, ზოგადად, განათლება, როგორც ის ჩვენ გვესმის, არის მეცნიერება.

აქაც და ინტელექტუალური ძიების სხვა სფეროებშიც არსებობს მთელი რიგი თავისებურებები, ახალი პედაგოგიური მეთოდები და ხერხები, ამდენად, სხვადასხვა სკოლის გავლენა, მოცემულ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურიც – მათი ნოვაციებით და პრაქტიკული რეკომენდაციებით. ბიბლიურ იუდაიზმში აღზრდის საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა არ შეინიშნება, რამდენადაც აქ დიდი ხნის წინათ გამოიმუშავეს ისეთი მიდგომა, რომელიც თორას მთავარ პრინციპებს დაეფუძნა. ამიტომაც აღტერნატივები ნაკლებად გვხვდება.

აღზრდის შესახებ ზოგადი წარმოდგენები პოპულარულია საზოგადოებაში, მაგრამ ცოტამ თუ იცის ამ მიმართებით თორაში განვითარებული იდეები. თუმცა, ებრაულობა თავიდანვე მიიჩნეოდა მსოფლმხედველობად, რომელიც ოჯახურ დირექტულებებზე იყო აგებული. აქედან გამომდინარე, უპრიანია დავსვათ ასეთი კითხვა: როგორ ხერხებს იყენებდნენ ებრაული აღმზრდელები – მასწავლებლები და მშობლები და რა სარგებლობა შეიძლება მოიტანოს მათმა გამოყენებამ თანამედროვე პირობებში?

როცა ებრაული აღზრდის ტრადიციაზე ვმსჯელობთ, გონებაში უამრავი კითხვა ამოტივტივდება, ამიტომაცა კითხვების წრე საკმაოდ მრავალფეროვანი. მათგან გამოვყოფთ, ჩვენი აზრით, ძირითადს, კერძოდ:

- რა არის იუდაისტური აღზრდის საფუძველი?
- ვინ იდგა იუდაისტური აღზრდის სათავეებთან?
- რას ეყრდნობა ებრაული ტრადიციული ოჯახი?
- რა გამოცდილება დააგროვა ამ სფეროში

ებრაულმა თემმა მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე?

- რა არის სასარგებლო ამ გამოცდილებიდან დღეს?

როგორც თორა გვაუწყებს, ისრაელიანთა დიდი წინაპარი აბრაამი თავის მისიას – ებრაული ხალხის ჩამოყალიბებას მას შემდეგ შეუდგა, რაც ადამიანების მიერ უზენაესის „დამხობის“ მცდელობამ მარცხი იწვნია. ბაბილონის გოდოლის მშენებლები მთელი ძალით უმდეროდნენ თავიანთ ერთობას. ისინი ეთაყვანებოდნენ იმ კერპს, რომელსაც ერთობა ანუ „საზოგადოება“ ერქვა.

აბრაამის თაობა გამორჩეულად აზროვნებდა და ქმნიდა საზოგადოებრივი და კოლექტიური სარგებლიანობის ენაზე. მათთვის „ყველა ერთად“ მეტს ნიშნავდა, ვიდრე „ერთი“. ამიტომ, მათი აზრით, მითური გადარჩენისათვის აუცილებელი იყო „ყველას ერთად“ მაქსიმალურად დაეთრგუნა „ერთი“. იმ დროს რეალურად მოქმედებდა დევიზი: „საზოგადოება ყველაფერს ზომავს“, რასაც საპროგრამო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა – საწყის ეტაპზევე მათმა წამოწყებამ კრახი განიცადა. „გაერთიანებული კაცობრიობა“ გადაიქცა სხვადასხვა ხალხად და ტომად, რომლებსაც უკვე აღარ ესმოდათ ერთმანეთის. ერთურთის გაგებინების შესანიშნავი უნარი, რომელსაც ფლობდნენ, არასტორად გამოიყენეს. ამიტომ დაკარგეს ეს დვორური მადლი და ამის შემდეგ აღარ შეეძლოთ ძველებური ურთიერთობა. თანამშრომლობის ადგილი ამიერიდან წინააღმდეგობამ და კონფლიქტმა დაიკავა.

ისრაელიანთა პირველი წინაპარი და მასწავლებე-

ლი აბრაამია. სწორედ მას უთხრა დმერთმა: „შენგან რჩეული ერი – ებრაულები წარმოიშვებიან და ქანაბის მთელ ქვეყანას ამ ხალხს მივცემ!“ დმერთს უნდა, ხალხი თავად მიხვდეს, რომ მხოლოდ ჰაშემია სამყაროს მბრძანებელი და არა სხვა. მაგრამ ხალხი ამას ვერ ხვდება. ამიტომ ამოარჩია დმერთმა ებრაულები და მათი წინამდოლი აბრაამი, რათა სხვებს სწორი ცხოვრების მაგალითი აჩვენოს. მარტო აბრაამიც ვერაფერს გახდებოდა, რადგან იგი ერთი იყო, ხალხი კი მრავალი. მაში, რატომ წარმოიშვა ებრაული ერი აბრაამისაგან? იმიტომ, რომ იგი იყო პირველი ადამიანი, რომელიც მიხვდა და აჩვენა ხალხს, როგორ უნდა იცხოვო სწორად [2,57]. ამასთან დაკავშირებით თორა მოგვითხრობს: „...ამიერიდან აღარ გერქევა სახელად აბრამი (ამაღლებულთა მამა), არამედ აბრაჟამი (მრავალთა მამა) იქნება შენი სახელი... ეს არის აღთქმა... წინადაიცვითოს (ბრიო-მილა) ყოველმა თქვენმა ვაჟმა. ...სარაის შენს ცოლს აღარ ერქება სარაი (ჩემი დედოფალი), არამედ სარა (მთელი სამყაროს დედოფალი) იყოს მისი სახელი. ... ეს იყოს აღთქმის ნიშანი ჩემსა და თქვენს შორის“ (ბერეშითი 17:5, 10, 11, 15).

როგორც თორაშია გადმოცემული, აბრაამმა უდაბოში (ბერ-შევაში) მშვენიერი ხილის ბაღი გააშენა. თავის კარავს მან ოთხი შესასვლელი გაუკეთა, რომლებიც მუდმივად დია იყო, რათა დაღლილ მგზავრს შეძლებოდა ნებისმიერი მხრიდან შესვლა, დასვენება და გზის გასაგრძელებლად ძალ-ღონის მოკრება.

ამის გამო უამრავი ხალხი სტუმრობდა აბრაამს. თავისი სტუმართმოყვარეობით მან ათი ათასობით ადამიანს ჰაშემის მსახურება ასწავლა. მისი მეუღლე

სარაც ავრცელებდა ჭეშმარიტებას დედამიწაზე – ის ქალებს ასწავლიდა. სარას კარგის ზემოთ ყოველთვის იყო შეხინა.¹ მის მიერ შაბათის წინ ანთებული სანთელი არ ქრებოდა შემდეგ შაბათამდე, ხოლო საკვები ყოველთვის უხვად იყო მის სახლში [2,70-71].

აბრაამის სტუმართმოყვარეობის და ღვთიურობის შესახებ თორა გვაუწყებს: „...აბრაამმა ადაპყრო თვალი და დაინახა: აი, სამი კაცი დგას მასთან. მათი დანახვისას შესახვედრად კარავიდან გაიქცა და მიწამდე თაყვანი სცა. და უთხრა: ბატონო, თუ კეთილსახოვნება ვპოვე თქვენს თვალში, გენუკვი, გვერდს ნუ აუგლი შენს მონას. ...დაიბანეთ თქვენი ფეხები და მოისვენეთ ხის ძირში. პურის ნაჭერს გამოგიტანთ და გაიმაგრეთ გული. ...დათქმულ დროს დავბრუნდებით შენთან, ზუსტად ერთ წელიწადში და სარას ძე ეყოლება“ (ბერემითი 18:2,4,14).

თორას ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ აბრაამი თავის ხალხს ასწავლის მცირედის დაპირებას და მეტის გაკეთებას. მან სტუმრებს შესთავაზა უბრალო რამ: დასვენება ჩრდილში, წყალი და პური, თუმცა, ბევრად მეტი გაუკეთა.

რატომ მიპჰადლა ღმერთმა სიბერის ჟამს სარას შვილი? ეს ყველა ადამიანისათვის გაკვეთილად უნდა იქცეს! თუ კი ვინმეს იმედი გაუქრება, რომ ღმერთი იერუშალამის აღადგენს, მას ახსენებენ: „შეხედე აბრაამს, ჩვენს მამას და მის ცოლს, სარას, ჩვენს დედას. როგორ გაახალგაზრდავა ღმერთმა ის სიბერის ჟამს და შვილზეც დაამადლიანა?! ასევე მოიქცევა იერუშალამთან დაკავშირებითაც. ღმერთი

1 ებრაულად: ღვთაებრივი ყოფიერება.

ისე მოაწყობს, რომ იერუშალამი ღვთიური ძალით მასთან დაბრუნდება“.

ყოვლისშემძლე ღმერთსაც არ სურს ხელაღებით, საფუძვლიანი შემოწმების გარეშე, არჩევნის გაპეტება. ამიტომ გამუდმებით ცდის აბრაამს. თუმცა, მაინც იბადება კითხვა: რატომ ცდის ღმერთი ამდენჯერ აბრაამს? რა მიზანი აქვს დმერთს?

იქნებ ამ გამოცდებით ღმერთს სურს დარწმუნდეს აბრაამის სიწმინდეში?! ჰაშემისათვის ხომ ადამიანის ყველაზე ფარული საიდუმლოებანიც ნათელია. ღმერთი კარგად ხედავს, რომ აბრაამი სიკეთის განსახიერება. იგი კეთილი ურთიერთობის მაგალითს აძლევს ყველას. გავიხსენოთ, თუნდაც, მახველას გამოქვაბულის ყიდვა ოთხას შეკელად სარას განსასვენებლისათვის მაშინ, როცა გამოქვაბულს და მინდორს უფასოდ ხთავაზობს მისი მფლობელი ეფრონი.

ღმერთის ქმედება იმისაკენ იყო მიმართული, რომ აბრაამი უფრო სრულყოფილი გამხდარიყო და მისი სიდიადე მთელი მსოფლიოსათვის სამაგალითო ყოფილიყო.

აბრაამისათვის მეათე გამოცდა მართლაც გამაოგნებელი აღმოჩნდა. ღმერთი ყოველთვის ასწავლიდა მას, რომ არ შეიძლება ადამიანის მოკვლა. გარდა ამისა, ღმერთმა მრავალგზის აუწყა აბრაამს, რომ ისაკისაგან ებრაელები წარმოიშვებიან. ახლა მას საკუთარი ხელით ისაკის მოკვლა დაავალა. აბრაამს არ ესმოდა, რა საჭირო იყო ეს. თუმცა, ძლიერ უფარდა ღმერთი და მისი სიტყვების ჭეშმარიტების ყოველთვის სჯეროდა. ამასთან ერთად, აბრაამს ბოლო წუთამდე იმედი ჰქონდა, რომ რაიმე სასწაულით ისაკი ცოცხალი გადარჩებოდა. სწორედ ამას მიანიშნებს

აბრაამის მიმართვა ისმაილისა და ელიეზარისადმი: „თქვენ აქ დასხედით ვირთან ერთად, ჩვენ კი ისაკთან ერთად ავალო მთაზე, რათა ღმერთს ვემსახუროთ. შემდეგ კი ოქვენთან დავბრუნდებით“. აბრაამმა წარმოოქა: „ჩვენ დავბრუნდებით“ და არა „მე დავბრუნდები“. მე ათე გამოცდა გვასწავლის, რომ დიდ რწმენას სასწაულების მოხდენაც შეუძლია. ღმერთი ყოველ ადამიანს უწყობს უამრავ გამოცდას, თუმცა, თი-თოული გამოცდის წინ აძლევს ძალას მის გადასალახად. სწორედ ამიტომ ღმერთს უნდოდა აბრაამი მიმხვდარიყო, რას ნიშნავს ებრაელებისათვის, იყო რჩეული. ეს ნიშნავს იმის დანახვას, რასაც ვერ ხედავენ სხვები და იმის გაკეთებას, რაც არ ძალუს სხვა ხალხს. ღმერთს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ აბრაამი ნამდვილად დირსეული პიროვნებაა, რომ სწორედ მისგან უნდა გამრავლდნენ ებრაელები.

თუკი აბრაამი ისაკთან ერთად არ ავიდოდა მორიას მთაზე დვთის შსახურებისათვის, მისგან ვერ წარმოიშვებოდნენ ებრაელები, რადგან ებრაელთათვის ყველაზე მთავარი დვთის სამსახურია. სხვაგვარად ებრაელი ერი ვერ იარსებებდა.

ამდენად, მე ათე გამოცდის დედააზრი სწორედ ისაა, რომ ვისაც ღმერთი უყვარს, ყველაზე ძვირფასი, რაც კი აბადია, მისთვის უნდა გაიდოს.

მე ათე გამოცდის შემდეგ აბრაამის სულში „იუცერარა“¹ მოლიანად დამორჩილებული იყო. მან უთხრა ისაკს: „ახლა კი მოვიდა დრო წახვიდე და თორა იეშივაში შეისწავლო. ყოველი ჩემი ცხოვრებისეული წარმატების მიზეზი ისაა, რომ მე თორას ვსწავლობ-

1 ბოროტებისაკენ სწრაფვა.

დი და მცნებებს ვასრულებდი. ამიტომ მე მინდა, რომ თორა სამუდამოდ დარჩეს ჩემს შთამომავლებთან“. მიუხედავად იმისა, რომ აბრაამი თვითონაც თორას დიდი მცოდნე იყო, თავისი შვილი მაინც სახლიდან მოშორებით, იეშივაში პროფესიონალ მასწავლებელთან გაგზავნა.

სალხისთვის ცოდნის გადასაცემად აბრაამმა ჩაიფიქრა თავისი სკოლის, აკადემიის შექმნა. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც ხალხისთვის უნდა ესწავლებინათ. საყოვეთაოდ ცნობილია კლასიკური აკადემიების უძველესი ნიმუში – ბერძნული აკადემია. იქ ასწავლიდნენ უდიდესი მასწავლებლები, ხოლო სწავლობდნენ უნიჭიერესი მოსწავლეები, რომლებმაც არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს ბერძნული განათლება და მეცნიერება. თუმცა, ბერძნულმა ფილოსოფიამაც დრმა კრიზისი განიცადა. სწორედ ამის გამო გავრცელდა აზრი, ძველი ბერძნული ფილოსოფია „ეძებდა ადამიანს“, მაგრამ საკუთარი თავი დაკარგაო.

რაც შეეხება აბრაამს, მას სკოლაც ჰქონდა და მოწაფეებიც ჰყავდა. მისი ერთ-ერთი მოწაფეა ელიეზარი, რომელიც აბრაამმა ისაკისთვის ცოლის - რებეკას მოსაყვანად სხვა ქვეყანაში გაგზავნა. თორა გვაუწყებს, რომ აბრაამმა ღმერთს არა მარტო შვილი სთხოვა, არამედ ებრაელი ხალხიც შესთხოვა, რადგან მას ხალხი სჭირდებოდა.

აბრაამს კარგად ესმოდა, რომ მთავარი ცოდნის გადაცემა შეიძლებოდა არა სკოლის ფარგლებში, არამედ ოჯახში. სკოლა შეიძლება გამოიცვალოს ადამიანმა, მაგრამ ოჯახი სამუდამოა.

მაშ, როგორი ოჯახი შექმნა აბრაამმა? მისი ოჯახის

ისტორიას ეძღვნება თორას თითქმის მთელი პირველი წიგნი (ბერეშით – დაბადება), რომელ შიც მოთხოვნილია ებრაელი ხალხის ჩამოყალიბება აბრამიდან მოყოლებული იმ დრომდე, ვიდრე სინას მთაზე ღმერთისაგან მოსე მიიღებდა თორას. სწორედ სინას შემდეგ იქცნებ ისინი ხალხად, მანამდე კი ოჯახს, საგვარეულოს წარმოადგენდნენ.

ჩვენთვის უცნობია აბრამის ოჯახის ფსიქოლოგიური კლიმატი. თორაზე დაყრდნობით შესაძლებელია მხოლოდ გარეგნულად წარმოვიდგინოთ ის მოვლენები, რომელთა ფონზეც მიმდინარეობდა ებრაული ოჯახის ფორმირება.

აბრამი ქადაგებდა სხვათა შემწყნარეგბლობას, მაგრამ საკუთარი თავის მიმართ მაღალი მოთხოვნები ჰქონდა. სხვებს დავთის ხატის – ადამიანის თანაგრძნობისკენ მოუწოდებდა. სწორედ ეს გახდა ის ქვაკუთხედი, რომელზედაც ის თავის პატარა სოციუმს აშენებდა და რომელიც თანამედროვე ოჯახის გაგებით მოვიდა დღემდე. უფრო შეტიც, თუკი ჩვენი და ძველი ხალხებისათვის ერთნაირად დამახასიათებელ ფსიქოლოგიურ წყობაზე ვილაპარაკებთ, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ სწორედ აბრამიდან იწყება თანამედროვე სამყაროს შემეცნება. ის, რაც აბრაამამდე იყო, სხვა გალაქტიკაა. ჩვენ არ გვესმის იმ ხალხის, მათი ინტერესები და მისწრაფებები ჩვენთვის უცხოა. ყველაფერი, რაც აბრაამიდან დაიწყო, უკვე ახლობელია ჩვენთვის, რადგან სწორედ მან ასწავლა კაცობრიობას „ადამიანად“ ყოფნა.

ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ პიროვნული დამოკიდებულება ნებისმიერი საკითხისა და მოვლენის მიმართ, გავაკეთოთ მომავლის პროგნოზიც, მაგრამ,

ბიბლიური ადამიანების მსგავსად, არ ძალგვიძს წინასწარმეტყველება. ადამიანები დაახლოებით ერთნაირად აღიქვამენ სხვადასხვა მოვლენას. ლოგიკური აზროვნებიდან გამომდინარე, ანალოგიურად ვიქტორი მსგავს სიტუაციებში და ზნეობრივ შეფასებებსაც ვაკეთებთ. ასევე შეგვიძლია განვაზოგადოთ ძველი ხალხების გამოცდილება და იგი ჩვენი გახდეს, რამდენადაც ჩვენ ერთნაირი რეაქცია გვაქვს პედაგოგიურ სიტუაციებზეც. სწორედ ამიტომ იუდაისტური პედაგოგიკა შეიძლება აბრაამიდან წარმოშობილი მსოფლიოს ყველა ხალხის კულტურის გამაერთიანებელად იქცეს, რადგან ყველანი აბრაამის შთამომავლები გართ.

რაც შეხება პირდაპირ შთამომავლობას, აბრაამს დიდხანს არ ჰყავდა შვილები, რადგან მისი ცოლი სარა უნაყოფო იყო. აბრაამს პირველი შვილი, ისმაილი სარას მსახურის, პაგარისაგან შეეძინა. როცა ისმაილი გაიზარდა, დედამ მას ცოლად ეგვიპტელი ქალი შერთო. მიუხედვად იმისა, რომ აბრაამმა თვითონ განდევნა ისმაილი, დროდადრო მაინც სტუმრობდა მას, რადგან შვილის ზნეობრივ მდგომარეობაზე ზრუნავდა. შემდგომში სწორედ ისმაილისაგან წარმოიშვნენ არაბული მოდგმის ხალხები.

როცა აბრაამს ემცნო წინასწარმეტყველება, მას მაღლე სარასგან მიეცა ვაჟი. თუმცა მანამდე ის ღმერთს მხოლოდ ისმაილის შთამომავლობის გაგრძელებას თხოვდა, განგების ნებით მაინც ითხოვა კიდევ ერთი მემკვიდრე, რადგან ისმაილში ვერ დაინახა თავისი იდეების გამგრძელებელი. როცა ისმაილი განუდგა ებრაელობას, სწორედ მაშინ გახდა შესაძლებელი ებრალი ცოლისგან ახალი მემკვიდრის დაბადება.

მეორე პირი, ვინც გაიმურა ისმაილის გზა და დატოვა იუდაიზმი, ისაკის შვილი – ესავია, აბრაამის პირველი შვილი შვილი, იაკობის ლვიძლი მმა.

აბრაამისა და სარას ოჯახის შესახებ ისიც არის ცნობილი, რომ მსახური ჰაგარი სახლიდანაც იქნა გაძევებული, სარას მიმართ უდიერი ქცევის გამო, რაც იმდროინდელი ყოფისთვის ჩვეულებრივი ამბავი ნამდვილად არ იყო. ამიტომაც აბრაამმა რჩევისათვის უზენაესს მიმართა. ამ ფაქტიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ აბრაამის აღმზრდელობითი სისტემის საფუძველი გულმოწყალება, შენდობა და მოთმინება. მეორე მხრივ, მან სარას მოუსმინა. ამდენად, აბრაამის აღმზრდელობით არსენალში იყო როგორც წახალისება, ისე დასჯა. თუმცა, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ. ახლა განვიხილოთ აბრაამის სულიერი წყობა, რაშიც მთავარი იყველა ადამიანის მიმართგულმოწყალება.

აბრაამი უზომოდ უყვარდათ ადამიანებს, მას არავინ ებრძოდა, რადგან დვოის წარმომადგენლად მიიჩნევდნენ მიწაზე. თუმცა, ბრძოლა დაიწყეს მის შვილთან – ისაკთან, რომელმაც ადადგინა აბრაამის ჭები, რომლებიც სხვა ტრმებმა ამოავსეს პატრიარქის სიკვდილის შემდეგ. ჭა, თორას მიხედვით, ცოდნასთან ასოცირდება. მამისგან განსხვავებით, ისაკი ისეთი თვისებების მატარებელი იყო, როგორიცაა ძალა, დამაჯერებლობა და სიმტკიცე. ისაკისთვის მიუდებელი იყო უკან დახევა, რაგინდ დიდი წინააღმდეგობა შეხვედროდა.

აბრაამმა ადამიანებს შორის რბილი ურიერთობა დაამკვიდრა. ისაკმა მას ძალა და დამაჯერებლობა შემატა. ისმაილმა მნიშვნელოვანი ვერაფერი შესძინა

მამის იდეალებს და უდაბნოში წავიდა. ისაკის მიერ შემოტანილმა პრინციპებმა არსებითი როლი შეასრულა ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. აბრაამის აღტრუიზმი საკმარისი არ აღმოჩნდა ებრაელთა თვითგადარჩენისათვის ბრძოლაში.

ამდენად, **იუდაიზმის საფუძვლად** მოაზრებული იქნა ორი მთავარი, აუცილებელი თვისება – **სიყვარული** და **ძალა**. საჭირო გახდა მათ დამატებოდა ადამიანისთვის აუცილებელი შინაგანი თვისებები: **გულწრფელობა** და **სიმართლე**. აბრაამი და ისაკიც პირდაპირი და გულითადი ადამიანები იყვნენ, თუმცა ისაკი ყოველთვის ვერ ამჟღავნებდა საჭირო პრინციპულობას.

ეს როლი იკისრა იაკობმა, რომელიც სიმართლით გამოირჩეოდა. ტრიადა „აბრაამი + ისაკი + იაკობი“, ამავე დროს, გულისხმობს „ხალხის სიყვარულს + სიმართლე + ჰეშმარიტებას“. სწორედ ეს თვისებებია გამოკვეთილი ბიბლიური იუდაიზმის „ოჯახურ პოლიტიკაში“, რომელიც ოჯახური აღზრდის საფუძველი გახდა.

ებრაული ტრადიციის თანახმად, ბავშვებისათვის თორას სწავლების მოვალეობა შშობლებს ეკისრებათ. თუ შშობლებს არ შეუძლიათ თავად ასწავლონ ბავშვს, მასწავლებელი უნდა მოუნახონ, ან სკოლაში გაგზავნონ. პირველ საუკუნეებდე სკოლები არ არსებობდა. ისინი ტაძრის დანგრევის შემდეგ გამოჩნდა. ამიტომ სწავლა ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა.

თალმუდში საყურადღებო ცნობებია მოცემული სწავლის დაწყებისა და ვადების შესახებ. კერძოდ, პირკეთი ავოთში¹ ნათქვამია: „ხუთი წლიდან წერილო-

1 თალმუდი.

ბითი თორის შესწავლა უნდა დაიწყოთ, ათი წლიდან – მიშნის, ცამეტი წლიდან – მცხებების შესრულება, ხოლო თხუთმეტი წლიდან თაღმუდის შესწავლა დაიწყოთ...“ (ავთ 5:21). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ხუთ წლამდე ბავშვებს არაფერს ასწავლიდნენ. გადმოცემებში მოთხოვდილია, „როგორც კი ბავშვი ლაპარაკს იწყებს, მამა ასწავლის ფრაზას: „კანონი (თორა) გვიანდერა მოსექ“ და პირველ ლექსს ლოცვიდან „შმა ისრაელ“. ამის შემდეგ კითხვას ასწავლიდნენ, ხოლო 6-7 წლიდან მასწავლებელს მიაბარებდნენ. ზოგიერთი წევაროს ცნობით, სამი წლის ბიჭუნას ხედერში (სკოლაში) აგზავნიდნენ, სადაც კითხვას სწავლობდა, ხოლო ხუთი წლიდან თორას შესწავლას იწყებდნენ. სამი წლის ასაკს „განათლების ასაკის“ საწყის ზღვრად მიიჩნევდნენ [10,130-131]. ამრიგად, ებრაული განათლება იწყებოდა იმ დროიდან, როცა ბავშვი შეძლებდა ნასწავლის გამეორებას, ხოლო აღზრდა გაცილებით აღრე – დაბადებიდან. ხუთი-ექვსი წლის ასაკში იწყებოდა ბავშვთა სასკოლო განათლება, რაც ყველასათვის სავალდებულო იყო. სკოლები საკმარისი იყო პალესტინაში, იუდეაში, იერუსალიმსა და სევა პროვინციებშიც. სადაც სკოლები არ იყო, ოჯახების იქ ცხოვრება უკანონოდ ითვლებოდა.

ამრიგად, ექვსი წლის ასაკიდან, მშობელთა განსაკუთრებული სასწავლო-აღმზრდელობითი ზემოქმედების შემდეგ, ბავშვები იღებდნენ სასკოლო განათლებას, რაც საოჯახო აღზრდის გაგრძელებას და მის მაღალ ხარისხს მოასწავებდა. სწორედ ასეთ პირობებში იოაკიმესა და ანას ოჯახში დაიბადა და აღიზარდა მარად ქალწული, მარიამ დავთისმშობელი.

შემთხვევით არ იქცა რებეკას სიმბოლოდ ვარდი –

იგი გაიზარდა ბოროტ ადამიანებს შორის, როგორც მშვენიერი ყვავილი ეკლებში. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: რატომ გადაწყვიტა დმერთმა რებეკას ასეთ გარემოში, ბოროტ ადამიანებში აღზრდა?

საქმე ისაა, რომ დმერთმა იცოდა – ადრე თუ გვიან ებრაელები უცხო ქვეყნებში, ბოროტ ხალხებს შორის გაიძნელნენ. მათთან შერევის რეალური საფრთხის გამო დმერთმა ებრაელთა წინაპრები ბოროტ ხალხთა შორის აღზარდა. ბიბლიურმა თაობებმა ამ ზემოქმედებას გაუძლეს და შეიძინეს თავდაცვის უნარი, რაც აუცილებელი იმუნიტეტის სახით თაობიდან თაობას დღესაც გადაეცემა. სწორედ ამ დაბრკოლებათა გადასალახად ამზადებდა დმერთი ებრაელებს, რაშიც აღზრდის სისტემას გადამწყვეტი როლი ეკისრებოდა.

იუდაიზმში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის ნებისყოფას. ყველთვის, როცა კამათი იწყებოდა, ისაკი გაეცლებოდა იქაურობას. მიუხედავად იმისა, რომ ის მართალი იყო, ასე მოიქცა მაშინაც, როცა ფილისტიმელები მის ჭებს ავსებდნენ. მაგრამ მას ჰქონდა დიდი შინაგანი ძალა, რომელიც თავშეკავებისკენ მოუწოდებდა.

ვინ არის ძლიერი? ძლიერია ის, ვისაც შეუძლია რისხვის შეკავება. ძლიერი ის არ არის, ვინც პირველი დაარტყამს, არც ის, ვინც უფრო ძლიერად დაარტყამს, არამედ ის, ვინც თავს შეიკავებს და ძალმომრეობას არ გაიხდის ცხოვრების წესად.

თორაში მისაბაძია ის ადამიანი, ვისაც მიტევება შეუძლია. ამის ნათელი მაგალითია ისაკის მიტევება აბიმელექისადმი, რომელსაც არა მარტო აპატია ისაკმა, არამედ კაგშირიც შეკრა მასთან.

როდესაც მეგობარი პატიებას გთხოვს, უნდა აპატიო. ღმერთი ხომ მუდმივად გვპატიებს ცოდვებს! ამიტომ ჩვენც, მისმა შვილებმაც, მისგან უნდა ვისწავლოთ მიტევება. აქედან გამომდინარე, **ბიბლიური აღზრდის უმნიშვნელოვანები ფაქტორი მიტევებაა.** რადგან სწორედ მიტევება არის ღვთიური მადლის გადმოდინება ადამიანზე. ამიტომაც არის მიმტევებელი ადამიანი ღმერთის მიერ კურთხეული.

ღმერთი რომ შემთხვევით არაფერს აკეთებს, ამას ცხადყოფს თორა და სხვა ღვთიური წიგნები. ღვთიური მადლის შეწევნით ებრაელებმა ააგეს ღმერთის დიდებული ტაძარი. თუმცა, თორას ჭეშმარიტების მიუხედავდ, მათ დაარღვიეს მიცვები¹, რასაც მოჰყვა „ესეე“ ანუ განხეთქილება. ამიტომ დასაჯა ისინი ღმერთმა: მოვიდნენ მტრები და ტაძარი დაანგრიეს. დიდი ხნის შემდეგ ებრაელებმა ისევ ააშენეს ამ ადგილზე მეორე ტაძარი. ამ დროს ებრაელებს შორის არ იყო სიყვარული. ეს იყო „სიტნას“ ანუ „ბოროტი საუბრების“ ეპოქა. ამიტომ ღმერთმა ებრაელები უფრო მეტად დასაჯა: მტრებმა დაანგრიეს მეორე ტაძარიც, დახოცეს მრავალი ებრაელი, ხოლო გადარჩენილები გაფანტეს მთელ დედამიწაზე [2,108-109]. აქედან გამომდინარე, ლოგიკურად ისმის კითხვა: რა სურს ღმერთს რჩეული ხალხისგან? სასჯელი ღვთის ახორება არ არის. მისი ყოველი ქმედება მნიშვნელოვანი შედეგისთვისაა გამიზნული. დასჯა აღზრდის წინაპირობაა გონიერი ადამიანისათვის. ღვთისათვის მიუდებელია მცნებების დარღვევა, დაპირისპირება-მტრობა, ბოროტება. სწორედ ამის გამო დაინგრა ებრაელთა დიდებული ტაძრები. ღვთის სადიდებლად

1 ებრაულად – ღმერთის მცნებები.

აგებული ტაძრები თავიანთ ამაღლებულ მისიას მცნებების უარყოფით, განხეთქილებით და ბოროტებით ვერ შეასრულებს. ამისთვის სიყვარული და ღვთიური მცნებების უპირობოდ დაცვაა აუცილებელი. ამიტომ სჯის ღმერთი თავის ხალხს, რაც აღზრდის საშუალებაა. აქედან გამომდინარე, **დასჯა იუდაისტურ პედაგოგიკაში აღზრდის მეთოდად უნდა მივიჩნიოთ, რაც ცხადყო კაცობრიობის შემდგომმა გამოცდილებამ და დაადასტურა პედაგოგიკის თეორიამ.**

იმის მიუხედვად, რომ თორას მცნებები უნივერსალურია ებრაელთათვის, მას მაინც მრავალი დანიშნულებით სწავლობდნენ. სწორედ ამას უნდა მიანიშნებდეს იაკობის იეშივაში მისვლა. როცა ის, ესავისაგან დევნილი, ხარანში მიემგზავრებოდა (ბერეშითი 28:10), გადაწყვიტა თავისი დედის მმასთან, ლავანთან ხარანში მისვლამდე იეშივაში მისულიყო და თორა შეესწავლა, რასაც თოთხმები წელი მოანდომა. იაკობი სახლშიც სწავლობდა თორას ბაბუა აბრაამთან და მამა ისაკთან, მაგრამ იქ ის ისრაელის ქვეყანაში ცხოვრების წესებს ეცნობოდა. ახლა კი, როცა იაკობი უცხო ქვეყანაში მიდიოდა, მას დევნილობაში ცხოვრების წესები უნდა ესწავლა.

თორას ნარატივი ამ ეპიზოდში აშკარად მიანიშნებს ებრაელთა მუდმივ მზადყოფნას დევნილობისათვის. თორა იყო ის ერთადერთი ძალა, რომელმაც რწმენა და სიმტკიცე შთაბერა მსოფლიოში გაფანტულ ებრაელებს, გააერთიანა ისინი ერთი იდეით, შეუნარებუნა თვითმყოფადობა და რწმენის ერთგულება. თუმცა, ეს თავისთავდ არ მომხდარა, ამისთვის სპეციალურად ამზადებდნენ ებრაელებს. სწორედ ამას უნდა ნიშნავდეს იაკობის მიერ ისრაელიანთათვის თორას

და დევნილობის თორას სწავლება [2,155]. აღნიშნული დებულება თორას სწავლების შესახებ აშკარად მიანიშნებს იმას, რომ დვთის განგებულების შესწავლას არა მარტო სულიერი დანიშნულებით მიმართავდნენ, არამედ ყოფა-ცხოვრებისათვის მოსამზადებლადაც, თუნდაც დაბრკოლებების გადასაღადასად, რაც დევნილობაში გამოადგებოდათ ებრაელებს. ამიტომ თორასადმი მიჯაჭვულობა მრავალი მიზეზითაა განპირობებული, რაც დადასტურებულია ამ დვთიური ნარატივის სხვადასხვა ეპიზოდში.

ღმერთი მხოლოდ განსაცდელში კი არ შეეწევა დვთისმოში ადამიანს, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიც. სწორედ ამას გვაუწყებს ბერეშითის წიგნი (30:38): იაკობმა გამოთლილი წნელები დააწყო დასარწყულებლად სადინარებში, სადაც მიდიოდნენ ცხვრები წყლის დასალევად. ჰაშემმა დაინახა, რომ იაკობი აკეთებდა ყველაფერს, რაც შეეძლო. ამიტომ ჰაშემმა იაკობისათვის მოახდინა სასწაული: ცხვრები უყურებდნენ ზოლიან წნელებს და მათაც ზოლიანი კრავები უჩნდებოდათ.

თორას შეგონებით, ადამიანი უნდა ეცადოს, რომ თავისი საქმე გულმოდგინედ შეასრულოს, გააკეთოს ყველაფერი, რაც მის ხელშია და ჰაშემი მას უთუოდ დაეხმარება. თორაში წახალისებულია შრომისმოყვარება. სამეურნეო აქტივობა დვთიურ საქმედ არის მიჩნეული და ღმერთისგან კურთხეულია.

იუდაიზმი არა მარტო საერთო პრინციპებს გვაწვდის გარემოს მიმართ ჩვენს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, არამედ მოგვიწოდებს ზოგიერთი პრაქტიკული ქმედებისაკენ.

ბიბლია მოგვიწოდებს კარგი მნეობისაკენ, რაც

ეკოლოგიის დაცვას გულისხმობს. დედამიწა და მისი რესურსები ღმერთმა ადამიანებს მოგვანდო დასაცავად და ჩვენ პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მას. კარგი მნეობა ეწინააღმდეგება ბუნებრივი რესურსების განივევებას. დედამიწა დვთის ბალია და ჩვენ მისი მცველები ვართ.

იუდაიზმი ადამიანის სამყაროსთან მიმართების გარკვეულ რეგლამენტაციასაც ახდენს. თორა, ჰაბათის მსგავსად, ჰაშემისათვის ყოველ მეშვიდე წელს აწესებს: „ექვსი წელი დათესე მინდორი... და ექვსი წელი აიღე მიწის ნაყოფი, მეშვიდე წელს კი მიწისთვის საუქმო შაბათი იქნება... შენი ყანა არ დათესო და ვენახი არ გასხლა“ (ვაიკრა 25:3-4). მეშვიდე წელი მორწმუნე ებრაელისათვის შმიტის წელია, როცა დვთის ნებით ადამიანებმა მიწა უნდა დაასვენონ და გაძლიერებულად მიჰყონ ხელი თორას შესწავლას. მეშვიდე წელი ის დროა, როცა ყველას ეკრძალება მიწის სამუშაოები და მთელი დრო თორას შესწავლას ხმარდება.

თორას მიერ დადგენილი შაბათის დასვენებას ეკოლოგიური და აღმზრდელობითი დანიშნულებაც აქვს. რეგულარული ყოველკვირეული დასვენება კარგი შეღავათია, კაცისათვის იქნება ეს თუ პირუტყვისათვის. დასვენება მიწისთვისაც პროდუქტიული და სასარგებლოა. ეს ზომები იცავდა მიწას გამოფიტვისაგან და უნარჩუნებდა ნაყოფიერებას. ასეთისავე როლს ასრულებდა იუბილეს კანონი, რომლის თანახმად, ყოველ ორმოცდაათ წელიწადში მიწა თავის ნამდვილ მფლობელს – ღმერთს უნდა დაბრუნებოდა (ლევ. 25:28). ეს იცავდა მიწას მითვისებისა და გადაჭარბებული ექსპლუატაციისაგან. ძველი აღთქმის წიგნები

გვასწავლიან, აგრეთვე, მიწის განაყოფიერების მნიშვნელობასა და მოგვიწოდებენ ეკოლოგიური დაბინძურების თავიდან აცილებისაკენ (ლევ. 13:14; მეორ. ოჯ. 23:13), რაც უმწვავეს პრობლემად იქცა ჩვენს დროში, რადგან მიწისადმი ხარბი დამოკიდებულება ანგრევს ეკოსისტემას და ფიტავს ნიადაგს.

ომის დროსაც უნდა ეზრუნათ ისრაელიანებს ბუნებაზე, ხანგრძლივი ალყის პირობებშიც: „თუ დიდხანს გექნება შემორტყმული ალყა ქალაქისათვის, მის დასამარცხებლად და ასაღებად, ნუ გაანადგურებ მის ხეებს (მეორ რჯ. 20:19). უზნეობად იყო მიჩნეული ქვეყნის დამარცხება გარემოს განადგურების ხარჯზე.

თორა გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადამიანის სიწმინდეს, ვიდრე მის ქონებას და გავლენას. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ გავიხსენებთ ბერეშითის (45:26) იმ მონაკვეთს, როცა იაკობმა შეიტყო შვილის, იოსების ამბავი და თქვა: „იოსეფი უწინდებურად ცოცხალია!“ ეს სიტყვები ნიშნავდა, რომ იოსები უწინდებურად ცადიკია.¹ თუ კურადღებით დავაკირდებით იაკობის სიტყვებს, დავრწმუნდებით, რომ იგი ბედნიერია იმით, რომ იოსები ცადიკია და არა იმიტომ, რომ ის მართავდა ეგვიპტეს და დიდი ქონების მფლობელიც იყო.

ებრაელთათვის სასულერო განათლება უმთავრესი იყო ოდითგანვე: როცა იაკობმა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით გადაწყვიტა ეგვიპტეში გადასახლება იოსებთან, ასეთ დავალებას აძლევს იფჟედას: „წადი ჩვენზე წინ და მოამზადე იქ ადგილი

იეშივასთვის.¹ თორას შესწავლა არ უნდა შეწყდეს!“

იაკობი ასეთი საქციელით მაგალითს უჩვენებს თანამომებებს. სანამ ებრაელი გადაწყვეტს სადმე დასახლებას, მან უნდა იცოდეს, არის თუ არა იქ იეშივა, სინაგოგადა და ბაგშვებისათვის ებრაული განათლების მიღების საშუალება.

ებრაული წესით მამა ან უხუცესი შვილებს უფროს-უმცროსობის მიხედვით აკურთხებდა. თუ კურთხევა ერთდროულად მიმდინარეობდა, მარჯვენა ხელს უფროსს დადებდა თავზე, ხოლო მარცხენას – უმცროსს. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით იაკობის მიერ იოსების შვილების – ეფრაიმისა და მენაშეს კურთხევა. იაკობმა ეს წესი დარღვია და ამას ასეთი ახსნა მოაყოლა: „ვიცი, ვიცი, რომ მენაშე უფროსია, მაგრამ მთელი ეს თვრამები წელი, რაც მე ეგვიპტეში ვცხოვრობ, თორას ეფრაიმი სწავლობს. სწორედ მის შთამომავლებში იქნებიან გამოჩენილი ადამიანები. როგორ დავადო ეფრაიმს მარცხენა ხელი?“ ასეთ საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდნენ ებრაელები თორას შესწავლას და ამ საქმეში წარჩინებულს გამორჩეულ პატივს მიაგებდნენ.

აქ კიდევ ერთი გარემოებაცაა ადსანიშნავი: რატომ სურდა იაკობს, რომ ებრაელებს თავიანთი შვილები ეგურთხებინათ ეფრაიმისა და მენაშეს სახელით და არა, მაგალითად, იფჟედას ან აბრაამის სახელით?

საქმე ისაა, რომ ეფრაიმი და მენაშე იყვნენ პირველი ებრაელები, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ სახლიდან მოშორებით – გალუტში². იქ ხომ ადვილია დაგავიწყდეს ვინ ხარ შენ? თუმცა, ამის

1 ცადიკი – ებრ.: წმინდა ადამიანი.

1 ებრ.: ადგილი თორას შესწავლისათვის.
2 ებრ.: დეგნილობაში.

მიუხედავად, მათ ახსოვდათ, რომ იყვნენ ებრაელები და მთელი სიცოცხლე ებრაული ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ. სწორედ ამიტომ იუდაზმი ახალისებს იმ ადამიანებს, რომლებიც, სიძნელეების მიუხედავად, რწმენისა და ტრადიციების ერთგულებას ინარჩუნებენ. ანალოგიურ წესებს იცავენ მორწმუნე ებრაელები დღესაც.

როგორც თორას ერთ-ერთ წიგნშია (ბერეშითი 49:1,2) მოთხოვბილი, იაკობი მთელი ცხოვრება სწავლობდა თორას. სიცოცხლის ბოლოს ის ისეთი ბრძენი გახდა, რომ იმ მოვლენების შესახებაც კი იცოდა, რომლებიც მომავალში უნდა მომხდარიყო. იაკობმა გადაწყვიტა, ამის შესახებ თავისი შვილებისათვის მოეთხოვ. იაკობის საწოლთან მივიღნენ მისი შვილები – თორმეტი ძმა.

დმერთმა არ მისცა იაკობს მომავლის გაცხადების უფლება, რადგან ადამიანმა წინასწარ არ უნდა იცოდეს რა ელის. ამიტომ იაკობმაც ვერ უამბო მათ მომავლის შესახებ. მან მხოლოდ ეს უთხრა ვაჟებს: „თითოეული თქვენგანისაგან წარმოიშვება ებრაელი ერის ნაწილი (მუხლი). ამიტომ მინდა ყველა სათო-თაოდ დაგლოცოთო“. ამის შემდეგ იაკობმა შვილებს განუსაზღვრა ფუნქცია და საქმიანობის სფერო. იგი თითოეულ მათგანს ცალკე მიმართავდა და შესაბამისად არიგებდა. იაკობმა ყველასაგან შიმონის შთამომავლობა გამოარჩია თორას მასწავლებლებად. მათ უნდა ევლოთ ქალაქიდან ქალაქში და ბავშვებისათვის თორა ესწავლებინათ. მათი შემოსავალი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, მიიწვევდნენ თუ არა მასწავლებლად. ამიტომ შიმონის შთამომავლებისთვის აუცილებელი იყო განსაპუთრებული მომზადება და

თავაზიანობა, რადგან უცოდინარი და ბრაზიანი მასწავლებელი არავის ენდომებოდა.

ბერეშითის აღნიშნული მონაკვეთის თანახმად, სახეზე იაკობის (ისრაელის) მიერ პროფესიონალ მასწავლებლად შიმონის კურთხევა. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, პედაგოგისთვის დამახასიათებელი თვისებების (ლმობიერება, შემწყნარებლობა, განათლებულობა) დაფიქსირება-გამოკვეთა. ისიც არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მასწავლებლის შემოსავალი იმთავითვე იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ რამდენი მოწაფე ეყოლებოდა მას, რაც, გარეკვეულწილად, კონკურენტულ პედაგოგიურ გარემოზე მიანიშნებს. ასეთი წესი მეტ თავდადებას და მოწაფეებისადმი მზრუნველობას შეუწყობდა ხელს [2,199].

როგორც თორა გვაუწყებს, რაკი ებრაელები დიდად გამრავლდნენ, ეგვიპტის ფარაონმა გადაწყვიტა მოეფიქრებინა ისეთი რამ, რაც შეაჩერებდა ამ პროცესს. ამ განზრახვის ასრულებაში დახმარება თავის მრჩევლებს – ფილოსოფოს ითროს, ჯადოქარ ბილამს და უცის ქვეყნიდან მოვლენილ, წმინდა ადამიანად აღიარებულ იოვს სთხოვა. ამ სამი მრჩევლიდან ფარაონს ბილამის აზრი მოეწონა „და უბრძანა თავის ხალხს ამ თქმით: „ყოველი ახალ შობილი ძე ნილოსში გადაისროლეთ, ხოლო ყოველი ასული აცოცხლეთ“ (შმოთი 1:22). სწორედ ამის შემდეგ მთელ ეგვიპტეში ებრაელი ახალ შობილების საშინელი ხოცვა დაიწყო. ამ სისასტიკის გამო ფარაონის მრჩევლებსაც დამსახურებისამებრ მიეზღოთ: ითრომ, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების მიუხედავად, არ დაუჭირა მსარი ებრაელთა დასჯას. ამიტომ იმით დაჯილდოვდა, რომ

მისი შთამომავლები სანქედრინის (სასამართლოს) მეთაურები გახდნენ; ბილამი, რომელმაც ფარაონს ახალშობილების დახოცვა ურჩია, თავად მოკლეს; იოვს კი, რომელმაც ღუმილი ამჯობინა ფარაონის წინააღმდეგობას, მრავალი ტანჯვა ხვდა წილად. აქედან დასკვნა მარტივია – ვინც ბოროტებას შეუწყობს ხელს, ან ვისაც მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლია და არაფერს მოიმოქმედებს, ღმერთი საკადრისად დასჯის.

ორორას თანახმად, ღმერთი იმპერატიულად მოუწოდებს ისრაელიანებს, ზუსტად შეასრულონ მისი ბრძანებები. მათგან მცირეოდენი გადახვევაც კი დაუშვებელია. სწორედ ამიტომ დასაჯა ღმერთმა მოსე და აარონი.

როცა უდაბნოში ხალხი ძლიერ შეწუხდა, ღმერთმა უთხრა მოსეს: „აიდე კვერთხი და შენ და შენმა მმაბ, აპარონმა ისრაელის თემი შეკრიბეთ, მათ თვალწინ კლდეს დაელაპარაპეთ და ის თავის წყალს მოგცემთ; გამოუწიადე მათ წყალი კლდიდან და დაარწყულე ეს თემი და მათი პირუბევი“ (ბემიდბარი 20:8).

ღმერთმა მოსეს კლდესთან მხოლოდ წმინდა ადამიანების (უხუცესების) მიყვანა უბრძანა, მაგრამ მოსემ უკელა მიიყვანა, რათა ისინი სასწაულის მოწმენი გამხდარიყვნენ. ხალხი ეჭვობდა და დამცინავად საუბრობდა, შეძლებდა თუ არა ღმერთი კიდევ ერთი ახალი სასწაულის მოხდებას.

მოსე ამ მდგომარეობამ ძალიან გააღიზიანა. მას უნდოდა დვთის ნების აღსრულება და კლდესთან ხალხისათვის თორას სწავლება. უკელას ცხადად უნდა ეხილა, რომ თორას შესწავლას ბუნების კანონების შეცვლაც შეუძლია. მაგრამ მოსეს უოგელი

მხრიდან დაცინგა და ქილიკი ესმოდა. ამიტომ მან თავი ვერ შეიკავა და პირველად განრისხდა. ამის გამო მოსემ სათანადოდ ვერ აუხსნა ებრაელებს, რომ ღმერთი კიდევ ერთ სასწაულს მოახდენდა. ამ სასწაულის შედეგად ხალხს უნდა ერწმუნა, რომ ღმერთი თავის რჩეულ ერს არასოდეს მიატოვებდა.

ხალხი შეშინებული იდგა და ელოდა სასწაულს, მაგრამ მოსეს კლდე არ ემორჩილებოდა. ხალხში კვლავ ქილიკი გაისმა. მოსე დაიბნა და არ იცოდა რა ექნა. თითქმის ორმოცი წლის წინ რეფიდიმშიც ასეთი შემთხვევა იყო. მაშინ მოსემ ის გააკეთა, რის გაკეთებაც ახლა არ შეიძლებოდა – კლდეს კვერთხი დაარტყა. ქვები დაინამა და წვრილი რუ გაჩნდა. ხალხში ისევ ბოროტი სიცილის ხმა გაისმა: „ალბათ ჯოხს ჯადოსნერი ძალა გამოელია. ან ამ წყლით ერთ ხარს მაინც დააკმაყოფილებ?“

მოსეს ცუდად ესმოდა, რა ხდებოდა. მან მოიქნია კვერთხი და კლდეს მეორედ მოელი ძალით დაარტყა. კლდე შუაზე გაიპო და ამოხეთქილი წყლის ნაკადს უკელა ხარბად დაეწაფა. ამ ადგილს კი ეწოდა მასაუმერივა, რაც იგრითულად ნიშნავს ეჭვს და განხეთქილებას.

ღმერთი მოსეს და აარონის საქციელით უქმაყოფილოა და ამას პირდაპირ გამოხატავს: „გამჩენმა უთხრა მოსეს და აარონს: „რადგან არ მერწმუნეთ და არ წმინდამყავით ისრაელის შვილების თვალწინ, ამიტომ ვერ შეგიყვანო ამ კრებულის ქვეყანაში, რომელიც მე მათ ვუბოძე“ (ბემიდბარი 20:12).

ღმერთი კონკრეტულად იმით არის უქმაყოფილო, რომ მან მოსეს კლდესთან საუბარი უბრძანა და არა კვერთხის შემოკვრა. ისე გამოვიდა, თითქოს მოსემ

არ დაიჯერა დვოთისგან მოსალოდნელი სასწაული. მისი ცოდვა მის განრისხებაში მდგომარეობდა, რადგან მან ებრაელებს სულელი, ანჩხლი და ჭირვეული ხალხი უწოდა და კლდეს აღელვებულმა კვერთხი დაარტყა. ამ საქციელით მან სხვებს ბრაზის გამართლების საბაბი მისცა. თუკი მოსე, წინასწარმეტყველებს შორის უდიდესი ადამიანი და დვოთის რჩეული, ვერ იკავებს რისხვას, მაშ, როგორდა ალაგმონ სხვებმა სიბრაზე?

თორას ამ უპიზოდიდან კიდევ ერთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ. ამისათვის გასარკვევია, რატომ უბრძანა რეფიდიმში ღმერთმა მოსეს კლდეზე კვერხთის შემოკერა, ხოლო მეორე შემთხვევაში – კლდესთან დალაპარაკება?

საქმე ისაა, რომ ღმერთი ორჯერ ერთნაირ სასწაულს არასდროს ახდენს. ამიტომ პირველი შემთხვევის დროს საჭირო იყო კვერთხის დარტყმა, ხოლო მეორეჯერ – მხოლოდ დალაპარაკება.

სშირად შშობლებს და მასწავლებლებს უწევთ ბავშვის ემოციურად დასჯა, როცა ის პატარაა. თუმცა, როცა იგივე მოსწავლე გაიზრდება, მასზე სხვაგვარი ზემოქმედებაა საჭირო, კერძოდ, დასჯას ამ შემთხვევაში ახსნა-განმარტება ანუ სიტყვა ენაცვლება. ასევე იყო კლდის შემთხვევაშიც: კვერთხის დარტყმა მოზარდის მკაცრად დასჯას ნიშნავს, რასაც 40 წლის შემდეგ სიტყვით ზემოქმედება უნდა შენაცვლებოდა.

სწორედ ამ დროს დაარღვია მოსემ დვოთის ბრძება და განრისხებულმა კვერთხი დაარტყა კლდეს. აარონმა კი აღელვებული მოსეს შეჩერება და დამშვიდება ვერ შეძლო. ამისთვის დასაჯა ღმერთმა მოსე

და აარონიც და უთხრა: „რადგან ხალხს ჩემი სასწაული არ აჩვენეთ, თქვენ არ შეიყვანოთ ამ ხალხს იმ ქვეყანაში, რომელსაც დაიმკვიდრებენ ებრაელები. თქვენ არ შეხვალოთ ისრაელის მიწაზე“.

„ისრაელის შვილთა მთელი თემი კადეშიდან დაიძრა და პორის მთასთან მივიდა, – მოგვითხოვობს თორა, – პორის მთაზე, ედომის საზღვარზე, გამჩენმა უთხრა მოსეს და აარონს ამ თქმით: „აპარონი შეეძინოს თავის ხალხს, რამეთუ ვერ შევა იმ ქვეყანაში, რომელიც ისრაელის შვილებს უჟღოდებ; რადგან საპატიო წყალთან მეურჩებოდით“ (ბემიდბარი 20:22-24).

მოსე დვოთის ბრძანებას დაემოჩილა და აარონთან და ელიაზართან ერთად პორის მთაზე ავიდა. ეს იყო ორმაგი მთა, ანუ მთა მთაზე, როგორც მცირე ვაშლი დიდ ვაშლზე. ორმაგი მთა აარონისათვის ნაჩუქარი ორი გვირგვინის სიმბოლოს წარმოადგენდა: პირველი იყო თორას გვირგვინი, რადგან თორას ასწავლიდა, მეორე – სიწმინდის გვირგვინი [3,134].

თორა ერთმნიშვნელოვნად მოუწოდებს ისრაელიანებს დვოთის ბრძანების ზუსტად შესრულებას. მოსეს და აარონის შემთხვევა გაკვეთილი უნდა ყოფილიყო ყველასთვის. იმის მიუხედავად, რომ მოსე და აარონი არ ეურჩებოდნენ ღმერთს, ისინი მცირედი უზუსტობისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ. რადგან, რაც უფრო დიდებულია ადამიანი, მით მეტ სრულყოფილებას ელიან მისგან. ღმერთმა მოსეს და აარონს სერიოზული ბრალდებები წაუყენა, რადგან, რაც უფრო ახლოა ადამიანი ღმერთთან, მით უფრო რთულია მისთვის დანაშაულის გამოსყიდვა [3,136].

თუმცა, ღმერთი ყოველთვის აძლევს ადამიანს იმ ზაზე სიარულის ნებას, რომელსაც იგი თვითონ

ირჩევს; მაშინაც, თუ ეს გზა დამდუპველია. სწორედ ამიტომ მიეცა ადამიანს თავისუფალი არჩევნის უფლება, რაღაც ადამიანი არ არის ანგელოზი (ანგელოზები მხოლოდ დმერთის ნებას ასრულებენ, მათ საკუთარი გზის არჩევა არ შეუძლიათ).

თორას მიხედვით, ადამიანი მუდმივად უნდა ლოცულობდეს, რათა დმერთმა სწორი გზა მიუთითოს. ადამიანმა არ უნდა იფიქროს, რომ მისი არჩეული გზა აუცილებლად სწორია, რაღაც მას არ შეუძლია ჩასწვდეს ჭეშმარიტებას. თუკი ებრაელი თავის სურვილებში გულწრფელია, ის ზეციდან დახმარებას უთუოდ მიიღებს [3,150].

დმერთი თავის წყალობას არ მოაკლებს თავმდაბალ და კეთილ ადამიანებს. თორაში ხშირად არის ისეთი ადამიანების ისტორიები, რომლებიც მხოლოდ თავიანთი სახელის განდიდებისათვის იღვწოდნენ. ამის მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ მენაშეს ერთ-ერთი შთამომავლის – ნოვახის ამბავი, რომელმაც ერთ ქალაქს თავისი სახელი უწოდა. მას შვილები არ ჰყავდა და იმედოვნებდა, რომ მისი სახელი დავიწყებას არ მიეცემოდა. თუმცა ნოვახის სახელი ამით არ შემონახულა. ებრაელთათვის ყველაზე დიდი ძეგლები – ადამიანის სულიერი მიღწევებია, რომლებიც თორას შესწავლითა და მცნებების შესრულებით მიიღწევა.

აღზრდა ოჯახში. მაინც რა თავისებურებებით ხასიათდება ოჯახური აღზრდის ებრაული სისტემა? რით განსხვავდება ისრაელიანთა შინაგანი ურთიერთობა და „იაკობის შვილების“ გარემო „ისრაელის ევროპული სახლისაგან?“ სწორედ ეს არის ჩვენი მსჯელობის მიზანი.

ებრაელებში არ იყო მნიშვნელოვანი განსხვავება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. ყველა სახლის კარები დია იყო სტუმრისთვის. მაგალითად, მდიდარს როცა სტუმარი ჰყავდა შინ, ყველა გამელელს შეეძლო შეერთებოდა მათ, ესაუბრა და ესადილა კიდეც მათთან ერთად. მოსახლეობის უმრავლესობა ისე გაჭირვებული არ იყო, როგორც დღესაა. ცხოვრება გაცილებით იაფი ღირდა, ხოლო სამუშაო ყველას ჰქონდა. საკვების პრობლემა საერთოდ არ არსებოდა. ანალოგიურად ცხოვრობენ ამჟამად არაბები პალესტინაში. მათი ცხოვრების სტილი საჟაუნეების განმავლობაში ძირითადად შენარჩუნებულია, რაც საჟალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ძველი ებრაელების ოჯახური ცხოვრების თავისებურებები.

ოჯახის წევრებს შორისაც არ იყო ისეთი ურთიერთობა, როგორიც დღესაა. ოჯახის უფროსს გაცილებით მეტი უფლებები ჰქონდა მეუღლესა და შვილებზე, ვიდრე დღესაა მიღებული. გავრცელებული წესის თანახმად, საქმრო საცოლის მამას გამოსასყიდს უხდიდა. ქმარს უფლება ჰქონდა არა მარტო დალატის გამო გაჰყოდა ცოლს, არამედ სხვა მიზეზითაც, მაგალითად, თუ მიიჩნევდა, რომ არ გამოდგა კარგი მეოჯახე და ა.შ. მამას დიდი უფლებები ჰქონდა შვილების მიმართაც. მას შეეძლო შვილი მონადაც გაეყიდა.

ასეთი მკაცრი ურთიერთობა კანონით იყო ნებადართული, თუმცა, როგორც შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, ცხოვრებამ გაუსწრო კანონებს. ადამიანებს სჯეროდათ, რომ ყველაზე დიდი კანონმდებული ღმერთი მოევლინებოდა ხალხს და მკაცრ კანონებს

შეარბილებდა. გამორჩეულ ოჯახებში ცოლქმრული ურთიერთობა მაშინაც ურთიერთგაგებასა და სიყვარულზე იყო დაფუძნებული. ასეთ ოჯახებში ბავშვების მიმართაც მეტ სიყვარულს და პატივისცემას ამჟღავნებდნენ. ებრაელებში ქალი ისე დაჩაგრული მაინც არასოდეს ყოფილა, როგორც აღმოსავლეთის სხვა ხალხებში. მაგალითად, როგორც ეს მოხდა ისლამის გავრცელების შემდეგ არაბებში.

ებრაულ საზოგადოებაში ქალების როლზე მიუთითებს ისრაელიანთა ისტორია, სადაც აღწერილია ქალების სამშობლოსათვის თავდადების ფაქტები. ებრაელი ქალები ქვეყნის მართვასაც კარგად ახერხებდნენ. ამის ნათელი მაგალითია დებორას ისტორია, რომელიც თორმეტი ებრაელი მსაჯულიდან ერთადერთი ქალი იყო.

ებრაულ ოჯახებში განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ ბავშვების მიმართ. დედაც და მამაც ერთნაირად ზრუნავდნენ მათ აღზრდაზე. ასევე, დიდ პასუხისმგებლობას ავალდებულებდა იუდაიზმი შვილებსაც მშობლების მიმართ (იგავ. 2:1-22; 4:1-27).

ბავშვების აღზრდა განსაკუთრებულად რელიგიური შინაარსის იყო. წინადაცვეთის სადღესასწაულო რიტუალით დაწყებული, ბავშვებთან ურთიერთობა რელიგიური შინაარსით გამოირჩეოდა ყოველთვის. ებრაელებს დრმად სწამდათ, რომ მოზარდზე გადმოდიოდა აბრაამის, ისაკის და იაკობის დვთიურობა, რაც მოზარდს უზენაესისაკენ უხსნიდა გზას.

ბავშვის პიდველდაწყებითი ფიზიკური და რელიგიური აღზრდა დედის მოვალეობა იყო. სჯულის მცნებები დედის ძუძუსთან ერთად უნდა შეეთვისებინა მოზარდს. მართალია, ქალები განთავისუფლებულ-

ნი იყვნენ სხვადასხვა რელიგიური მოვალეობისგან, მაგრამ ოჯახში პირიქით, ქალები იყვნენ მაქსიმალურად ჩართული რელიგიურ მსახურებაში. სწორედ ისინი ამზადებდნენ შაბათის საღილს, ანთებდნენ შაბათის სანთლებს, რთავდნენ სახლს სხვადასხვა რელიგიური სიმბოლოებით და ამზადებდნენ სახლკარს სადღესასწაულოდ. ეს გარემოება გავაფიქრებინებს, რომ ქალებს ამით შვილების რელიგიური აღზრდის ქმედითი ბერკეტი ეძლეოდათ. სასწავლებელში წასვლამდე საოჯახო აღზრდა-განათლებაში წამყვანი ადგილი ქალებს ეჭირათ. სწორედ ამის თაობაზე მოვკითხოვობენ ფილონი და იოსებ ფლავიუსი.

თუ პირველდაწყებით აღზრდას ბავშვები დედისგან იღებდნენ, მამის მოვალეობას საღვთო რჯულის სწავლება წარმოადგენდა. თალმუდის თანახმად, უმეცრად ითვლებოდა ის ადამიანი, ვინც შვილს საღვთო რჯულს ვერ ასწავლიდა. როგორც კი ბავშვი ლაპარაკს დაიწყებდა, ზრუნავდნენ მისთვის დვთიური სიტყვების ჩაგონებაზე. თანდათანობით, ასაკის მატებასთან ერთად, მარტივად უხსნიდნენ იგავების და ბრძენთა გამონათქვამების შინაარსს. მამა განსაკუთრებით ზრუნავდა ბავშვის გონებრივ განვითარებაზე. მებესიერების განვითარების მიზნით ზეპირად ასწავლიდნენ ძველი აღთქმის ცალკეულ მონაკვეთებს, იგავებსა და ფსალმუნებს.

ფიზიკური აღზრდა. ებრაელებში ფიზიკური აღზრდის კულტურას მათ ისტორიაში აქვს ფესვები გადგმული და, ამდენად, ის ბიბლიურ პერიოდს უკავშირდება. მისი შესწავლისათვის მთავარ წყაროდ თორა ითვლება. თუმცა, ებრაელთა ყოვა-ცხოვრების შესახებ საინტერესო ინფორმაციას არა მარტო თანა-

ხის ტექსტები იძლევა (რომელთა პირდაპირი ახსნა ხშირად ცდომილების მომასწავებელია), არამედ მოგვიანო პერიოდის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მიღებული ინფორმაციაც, რაც ადასტურებს წმინდა წიგნებში დაფიქსირებულ ცნობებს.

როგორც სხვა ხალხებში, ებრაელთა ფიზიკური მომზადება, ერთი მხრივ, იყო მათი ცხოვრების წესის გამოხატულება, ხოლო, მერე მხრივ, განპირობებული იყო ისეთი სპეციფიკური ფაქტორებით, როგორიცაა რელიგიური იდეალები და ეროვნული ერთობის შენარჩუნება. სწორედ ეს უგანასკნელი განასხვავებს ებრაელებს სხვა ხალხებისაგან.

ებრაელებს სამყაროს გზაგასაყარზე მოუწიათ ცხოვრება. აქედან გამომდინარე, მათ მუდმივად ემუქრებოდათ საფრთხე მეზობელი თუ მიგრირებული ტომებისგან. ამიტომ ისინი მუდმივად მზად უნდა ყოფილიყვნენ თავდაცვისათვის. ამისათვის კი სამხედრო მომზადება იყო საჭირო. სწორედ ამიტომაც მიიჩნევდნენ მნიშვნელოვნად ფიზიკური განვითარების ისეთ ელემენტებს, როგორიცაა ძალა, სისწავე და ამტანობა. თუმცა, ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში რჩეული ერის შვილები ვერ აიძულა, აღზრდის შინაარსი მხოლოდ სამხედრო მიზნებისთვის დაექვემდებარებინათ, როგორც ეს საპრტაში იყო. ბიბლიური იუდაიზმში ფიზიკური განვითარება სულიერისგან გამოყოფილი არასოდეს ყოფილა. მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდისათვის განსაკუთრებულ როლს ოჯახი ასრულებდა. როგორც ცნობილია, ებრაულ პატრიარქალურ ოჯახში მამის წმინდათაწმინდა მოვალეობას შვილებისათვის საღვთო კანონების სწავლება შეადგენდა. ოჯახთან

ერთად, ებრაული აღზრდისა და განათლების მნიშვნელოვან ცენტრს სინაგოგა წარმოადგენდა. სწორედ მათ წიაღმი დაიწყო როგორც პროფესიონალ მასწავლებელთა ჩამოყალიბება, ისე ებრაული განათლების სისტემის აღმოცენება. ამ სისტემაში ფიზიკური მომზადება, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, არ ისწავლებოდა. თუმცა, სასწავლო განრიგი ითვალისწინებდა რამდენიმე შესვენებას, რომლის დროსაც მიმართავდნენ ცეკვებს და სხვადასხვა ფიზიკურ თამაშს.

ებრაელები კარგი მორბენლებიც ყოფილან როგორც მოკლე, ისე გრძელ დისტანციაზე, რასაც ფიზიკური მომზადების წყალობით აღწევდნენ. თორა ხშირად იხსენებს სწრაფი სირბილის მოყვარულო. ისტორიული წყაროებიც ადასტურებს, რომ ჩვ. წ. აღმდე XI საუკუნეში ებრაულ საზოგადოებაში მოქმედებდა კარგად მოქნილი, სწრაფი კავშირის სისტემა. საყურადღებოა, რომ შაბათსაც კი არ კრძალავდა თანახი სირბილს. სწორედ თანახის კონტექსტური ანალიზით დასტურდება, რომ ებრაელებში გავრცელებული ყოფილა ქამრით ჭიდაობა. ბიბლიურ ეპოქაში მისდევდნენ ძალისმიერ ვარჯიშებს, მაგალითად, სიმძიმეების აწევას. თანახში მრავალგზის არის მოხსენიებული სამსონი, როგორც ძლევამოსილი გმირი. ბიბლიური ებრაელები ღრმა რელიგიურობას კარგად უთავსებდნენ ფიზიკურ მომზადებას. წმინდა წიგნებში შექმებულია დავითის, საულის, იონათანის და სხვათა უსაზღვრო ფიზიკური ძალა და მაღალი ზეობა.

ებრაელი ხალხის თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა

ენიჭებოდა სამხედრო მომზადებას, რაც მუდმივ წვრთნას მოითხვდა. ცნობილია, რომ ძველი ხალხები სისტემატურად ვარჯიშობდნენ ანტიკურ ეპოქაში გავრცელებულ სამხედრო ხელოვნების ისეთ დარღებული, როგორიცაა მშვიდდოსნობა, ცხენოსნობა, ფარიკაობა, ცურვა, შუბოსნობა. ეს მრავლგზის დასტურდება როგორც თანახის ტექსტებში, ისე სხვა წყაროებშიც. წარმოუდგენელია დავითის მიერ გოლიათის ძლევა შესაბამისი ფიზიკური მომზადების გარეშე. თუმცა, ამ ამბის რელიგიური ინტერპრეტაციაც გასათვალისწინებელია.

ძეელი ებრაელები, ბერძნებისა და რომაელების-გან განსხვავებით, არ მართავდნენ დიდ სპორტულ შეჯიბრებებს. თუმცა, მაკაბელთა ცნობილი ამბოხი ნათლად მიგანიშნებს მათ განსაკუთრებულ ფიზიკურ მომზადებაზე (ამჟამად „მაკაბიადა“ თავისებური ებრაული ოლიმპიადაა).

მეფე პეროდეს დროს განსაკუთრებული ყურადღება
დაეთმო სპორტული შეჯიბრებების გამართვას. ამას
ხელი შეუწყო რომის იმპერიის გავლენის ზრდამაც.
კესარიაში, სებასტიაში, იერიხონსა და სხვა ქალაქებ-
ში ააშენეს სტადიონები, იპოდრომები, ამფითეატრები
და არენები. ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა
რომის იმპერატორისადმი მიძღვნილი საერთო ეროვ-
ნული ოლიმპიადა. მეფის ბრძანებით, ქვეყნის ქველა
მხრიდან თავს უყრიდნენ ათლეტებს გლადიატორთა
ბრძოლებში მონაწილეობისათვის. მეტად პოპულარუ-
ლი იყო ცხენოსნობა, ფარიკაობა, მშენებლობა,
ეტლებით რბოლა. ამ შეჯიბრებებში თვით მეფე
პეროდეც მონაწილეობდა. მეფეს გადასახადებიც
გაუზრდია სპორტული შეჯიბრებების მარტინალური

უზრუნველყოფისათვის. ამასთან ერთად, იგი ელინურ თლიმპიადებს სოლიდურ სახსრებს სწირავდა. მეცე ჰეროდე, როგორც მკედი აღთქმა გვაუწყებს, ნამდვილი უზურპატორი იყო, მისი სისასტიკე ყველა ზღვარს სცილდებოდა. რაც შეეხება ბერძნული ოლიმპიადების მიმართ მის კეთილგანწყობას, ეს რელიგიურ წრეებში წარმართობის მიმართ ლოიალობად მიიჩნიეს. ჰეროდეს მიერ გლადიატორთა შერკინების რომაული წესების დანერგვა, მათ შორის, მხეცებთან ბრძოლა, ებრაელებისათვის მიუდებელი აღმოჩნდა. ჰეროდეს სიკვდილით ხალხმა თითქოს შვებით ამოისუნთქა. წარსულს ჩაბარდა მისი სისასტიკე. თუმცა, მალე სახელმწიფოც ჩამოიშალა და იგი რომის იმპერიის ერთ-ერთ პროვინციად იქცა. შემდგომში, კ.წ. „იუდეის პროკურორის“ მმართველობის ხანაში, მოსახლეობაში ანტირომაული განწყობა გაიზარდა. ებრაელ ხალხში ჩაისახა იდეა, რომლის თანახმად, ნებისმიერი უცხო ხელისუფლება ბოროტება. მასთან ბრძოლა ყველა ებრაელის ვალია, რადგან ებრაელი უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ დმერთს. სწორედ ასეთმა განწყობამ ააჯანყა ებრაელები რომაელების წინააღმდეგ. აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი, მეორე ტაბარი დაანგრიეს, ხოლო ებრაული სახელმწიფო დაიშალა. რომაელთა მმართველობის გაუქმების შემდეგ ისრაელიანები სპარსეთის ქვეშვრდომები გახდნენ, ხოლო მოგვიანებით ისინი არაბებმა დაიპყრეს. ებრაელები თანდათან მშობლიური ქვეწიდან აიყარნენ და მკედი მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ. რაც შეეხება სპარტულ სანახაობებს,

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ უძველესი დროი-

დან სპორტული შეჯიბრებები ებრაული საზოგადოების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდებოდა, რასაც თალმუდიც მხარს უჭერდა. ასეთი მიღებობა არა იმდენად სპორტის მიმართ გამოხატული წინააღმდეგობა იყო, რამდენადაც თვითმყოფადობის შენარჩუნების სურვილით გამოწვეული. თუმცა, რელიგიური გაგებით, სპორტული კონკურენცია ღვთიური მაღლით არ იყო მოცული.

ამგვარი წინააღმდეგობრივი ურთიერთობა ნათლად წარმოაჩენს ებრაული ტრადიციული პედაგოგიკის არსებით თავისებურებებს, რომელთანაც სპორტს პირდაპირი კავშირი არ აქვს. ასეთი პოზიცია სრულიად გამართლებულია ებრაული ხალხის ისტორიული ბედისწერით. ცხადია, რომ პედაგოგიკის უმთავრესი ფუნქცია პიროვნების საზოგადოებაში სოციალიზაციაა. იუდაიზმის პედაგოგიკა მრავალი საუკუნის განმავლობაში დევნის პირობებში იკვლევდა გზას, თუმცა ის მაინც უმკლავდებოდა ასიმილაციის შემოტევებს და ასეთ პირობებში შეინარჩუნა ეროვნული ოვითმყოფადობა. ებრაულ ცნობიერებაში იუდაიზმი სწორედ ის ძალა იყო, რომელმაც გადაარჩინა ებრაული ხალხი. რაც შეეხება სპორტს, ებრაელებში ტრადიციულად ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ სპორტი აბსოლუტურად „არაებრაული საქმე“ იყო.

ადზრდის ზოგადი პრინციპები იმდენად გადაჯაჭვულია ებრაელთა არსებობასთან, რომ იქმნება შთაბეჭდილება და არც თუ უსაფუძვლო, რომ აღზრდა და ზნეობრივი სრულყოფა კვალში მიჰყვება ებრაელთა ყოფა-ცხოვრებას და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. თორა პირდაპირ არაფერს გვეუბნება ბავშვთა აღზრდის შესახებ, მაგრამ მასში გადმოცე-

მულია, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. კარგი მშობელი წარმატებული აღმზრდელია, ხოლო მასწავლებელი პირველ რიგში კარგი ადამიანია.

მშობლისათვის საკუთარი შვილი უცხოსაგან მისდამი პასუხისმგებლობის ხარისხით განსხვავდება. აქედან გამომდინარე, შვილები მშობლებს იმისათვის ეძლევათ, რომ მათზე მეტად იზრუნონ, ვიდრე სხვებზე; თუმცა, ასეთი მოწოდება არ უნდა გამორიცხავდეს სხვაზე ზრუნვას.

განხილული მოსაზრებები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: ჩვენი ბავშვი ისეთივე ავტონომიური და დამოუკიდებელი ადამიანია, როგორიც ყველა სხვა, კერძოდ, ისეთი, როგორიც ჩვენ, მისი მშობლები. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია შევზღუდოთ მისი თვითგამოხატვის უფლება. მას შეუძლია ისარგებლოს თავისუფალი არჩევნის უფლებით და გახდეს ისეთი, როგორიც მას უნდა. რისი გაკეთებაც შეგვიძლია ჩვენ ამ პროცესში, ესაა დახმარება არჩევნის განხორციელებაში. მაგრამ ისმის კითხვა: როგორ დავეხმაროთ? დიდსულოვნად გავუზიაროთ პირადი გამოცდილება, მაგრამ არ მოვახვიოთ თავზე ჩვენი მრწამსი და არ დავთრგუნოთ ის.

იუდაიზმში არის ცნება „იეცერ-არა“ (ცუდი საწყისი), რომელიც მეათე გამოცდის შემდეგ პირველად აბრაამმა დათრგუნა. მასში იგულისხმება ადამიანური ბოროტი თვისებების შეცნობა. ცუდი საწყისი ისახება ადამიანთან ერთად და მისი ზრდის კვალდაკვალ ძლიერდება. იეცერ-არა უბიძებებს ცუდისკენ. ასალისებს ადამიანს ყველა ქმედებისთვის, ოღონდ ამან სიამოვნება და სარგებელი მოუტანოს. მაგრამ უზენაესისათვის „იეცერ-არას“ მიზანი სულ სხვაა:

იგი ეხმარება ადამიანს ბოროტი ზრახვების დათრ-გუნვასა და იმის დამსახურებაში, რასაც თორაში ჯილდო ჰქვია. ადამიანი ყოველთვის დგას სხვადას-ხვა საცდურის წინაშე. რამდენად შეძლებს იგი მათ თავიდან აცილებას, დამოკიდებულია მის შინაგან წყობაზე. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, როგორ მოამზადებს მოზარდს აღმზრდელი წინააღმ-დეგობებისა და საცდურის დაძლევისათვის.

„იეცერ-არა“ ისე სჭირდება ადამიანს, როგორც სპორტსმენს მწვრთნელი, სტუდენტს – ლექტორი. რადგან ადამიანის გარეგანი გამოცდა მის იეცერ-არასთან მისივე შინაგანი დიალოგით მიიღწევა.

ჩვილი და მცირეწლოვანი ბაგშვი მთლიანად იმართება თავისი „იეცერ-არას“ მიერ. ის სხეულით აღიქვამს სამყაროს. საწყის ეტაზე უფრო მნიშვნელოვანია მისი სხეულის ხმა, რომელიც, პრაქტიკულად, წარმოადგენს მის „იეცერ-არას“, ვიდრე ყველა სულიერი პარამეტრი, რომლებსაც ის მოგვიანებით შეიძენს, როცა ისწავლის სხეულის მართვას. ეს დამოკიდებულია მის ზრდა-განვითარებაზე.

თუკი ჩვენ გვიყვარს ადამიანები და ვეხმარებით მათ (თუ ისინი დახმარებისთვის მოგვმართავენ) თავიანთ ცუდ საწყისთან ბრძოლაში, მით უფრო ვალდებული ვართ დავეხმაროთ საკუთარ შვილებს. არც ერთი თხოვნა, რომელიც გამოთქმულია ადამიანის სულის გაჯანსაღების მიზნით, არ შეიძლება დაუკმაყოფილუ-ბელი დარჩეს. აღმზრდელებს და მშობლებს არ აქვთ უფლება, მხარში არ ამოუდგნენ და არ იზრუნონ ადამიანის სულიერი გაჯანსაღებისათვის. სწორედ ეს არის ებრაული აღმზრდის ამოცანა.

ბაგშვი ისეთივე ადამიანია, როგორიც ჩვენ ყვე-

ლანი, მაგრამ ჯერ არ არის გაზრდილი. ამიტომ მას განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება და ისე უნდა მოვექცეთ, როგორც სრულყოფილ ადამიანს. დაუშვებელია ზემოდან ყურება და მცირეოდენი უპა-ტივცემულობაც კი. აღმზრდელების ყოველდღიური ურთიერთობა აღსაზრდელებოთან ფირზე რომ ჩაიწეროს, რომლის მაყურებლებიც მომავალში იქნებიან აღმზრდელები და უკვე სრულწლოვანი, მათი ყოვილი აღსაზრდელები, აღმზრდელებს არ უნდა შერცხვეთ თავიანთი ქცევის გამო აღზრდილებთან. შესაძლებელია, ჩვენი აღმზრდილები ჩვენზე ჭავიანები და სულიერად ჯანსაღნი ჩამოყალიბდნენ, ჩვენ რაც არ ვიცოდით, მათ ეცოდინებათ. სწორედ ეს იქნება აღმზრდელისათვის ყველაზე ძვირფასი ჯილდო, ამას უნდა ესწრაფვოდნენ აღმზრდელები და მშობლები.

აღმზრდის პროცესისათვის საჭიროა ორი საკითხის გარკვევა. ესენია: რა თვისებებს უნდა ფლობდეს აღმზრდელი და როგორია თვით აღმზრდის პროცესი. ამჯერად შევხერდებით პირველზე, რადგან მეორე საკითხი ორგანულ კავშირშია პირველთან. არ არის საჭირო იმის აღნიშვნა, თუ რა თვისებები გვინდა აღვზარდოთ ჩვენს შვილში. თორა ამის შესახებ მიუთითებს, რომ მასში ყოველთვის იმას ვავითარებთ, რასაც ჩვენ თავად ვფლობთ და არავითარ შემთხვევაში მეტს. ამიტომ შეგონებების მთელი წესი პასუხისმგებლობის, შრომისმოვარეობის, აკურატულობის და წესიერების შესახებ დარჩება კეთილ სურვილად, თუკი ამ თვისებებს მშობლები თვითონ არ ფლობენ.

პირველი წინასწარი დასკვნა ასეთია: არავითარი მხამაღალი მოწოდებები და ამასთან დაკავშირებული

საყვედურები, ან კიდევ გადაჭარბებული მოლოდინი. აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს მხოლოდ პირადი მაგალითით!

აღზრდის პროცესი, რომელიც მდარედ და მოსაწყენად მიმდინარეობს, მიუღებელი და უკუსაგდებია, რადგან არაფერი ისე არ უბიძგებს მოზარდს ცუდისქენ, როგორც განყენებული და განუწყვეტალი ზნეობრივი ქადაგებები. ჩვენც არ გვინდა სხვისი ზნეობრივი დარიგებების მოსმენა, ამიტომ ანალოგიურად უნდა მოვექცეთ საკუთარ შვილებსაც. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი დასკვნა: მაქსიმალურად შევიკავოთ თავი უკიდურესი კატეგორიულობისაგან ნებისმიერი ბავშვის მიმართ – ჩვენი შვილია ის თუ სხვისი. ასე ვიქცევით სრულწლოვანი ადამიანების მიმართ. კატეგორიულობაში იგულისხმება საყვედური, იმპერატიულად ხმის ჩაქმენდინება, უკაყოფილების გამოხატვა ჩადენილი ქმედების ან რაიმეს შეუსრულობლობის გამო და სხვ.

თუმცა, ზოგჯერ კატეგორიულობასაც ვერ გავეჭვევით. მთავარია, ეს სისტემად და წესად არ გვექცეს. რიგ შემთხვევაში შერბილებული ფორმით შენიშვნების გამოყენება უფექტურიც არის. მთავარია, ჩვენი შენიშვნა და, ზოგჯერ, აღშუოთებაც ჩადენილ ქმედებას არ აჭარბებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღმზრდელებს გაუჭირდებათ თავის მართლება უკვე ზრდასრულ ყოფილ აღსაზრდელებთან, როცა ისინი მეხსიერებაში „გადახახვევენ მოგონებათა ფირს“.

ახლა განვიხილოთ, რა გავლენას ახდენს ყოველდღიურ ცხოვრებაში შენიშვნებისგან თავის შეკავება რიგით ადამიანებთან ურთიერთობაში. აქ შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე პირობა: ადამიანი მიღრეკი-

ლია სხვისოვის შენიშვნების მიცემისკენ, იგი ხედავს, რომ ვიღაც არასწორად მოიქცა ან ემზადება მცდარი საქციელისათვის. გავიაზროთ პირველი პირობა. ჩავთვალოთ, რომ ქმედება უკვე ჩადენილია. შესაბამისი სქემა ასე იმუშავებს:

1. ჩვენ განვსაზღვრავთ პირადი პასუხისმგებლობის ხარისხს კონკრეტული ადამიანის საქციელის მიმართ; თუ პასუხისმგებლობა მინიმალურია, მაშინ ჩვენი მონაწილეობაც მინიმიზებულია. უცხო ადამიანებს მწვავე სიტუაციების გარეშე არ ვაძლევთ შენიშვნებს. ხელმძღვანელები სამსახურში საწარმო საჭიროებებიდან გამოდიან, მასწავლებლები სკოლებში სასწავლო პროცესის ეფექტურობის და დისციპლინის გამო მიმართავენ შენიშვნებს. უცხო ბავშვებს საერთოდ არ ეხებიან, თუ ამის საშუალება არის; თუმცა, ხშირად ამასაც ვერ ავულით გულერილად გვერდს.

2. უცხოთა ქმედების შეფასებისას, რასაც ვხედავთ, დასკვნები იქიდან გამოგვაქს. არ ვეყრდნობით სხვა ადამიანების თვალით დანახულს. ხშირად ნეგატიური რეაქცია შეიძლება ავიცილოთ თავიდან, თუ არ ვიჩქარებთ დასკვნების გაპეტებას. უფრო შეტიც, თავი უნდა შევიკავოთ „ქირურგიული“ ჩარევისაგან, სანამ არ გახდება ნათელი, თუ რამ მიიყვანა ამ ქმედებამდე მავანი.

3. თუ ქმედება, ქცევა ჩადენილია იმ სფეროში, რომელშიც აუცილებელია ჩვენი ჩარევა და, შესაბამისად, ნეგატიური რეაქციის გამოხატვა, უნდა შევაფასოთ, რამდენად ეფექტური იქნება ჩარევა: თუკი ჩვენი სიტყვები ქარს გაჟუვება და ადრესატამდე არ მივა, აზრიც არა აქვს ლაპარაკს.

4. თუ შენიშვნას გვერდს ვერ ავუკლით, ის მაინც მოვახერხოთ, რომ სხვების თანდასწრებით არ მივცეთ ვინმეს შენიშვნა. ეს ვრცელდება ბავშვებზეც. ოჯახებში მიღებული პრაქტიკის თანახმად, მამა შვილს შენიშვნებს აძლევს სხვების დაუსწრებლად. თუკი შვილის ცუდი საქციელის გამო საყვედურს გამოთქვამენ მშობლები, სასურველია, შვილს რადაც ხარისხით ვინმე იცავდეს, როგორც ადვოკატი. ბავშვმა არ უნდა იფიქროს, რომ ყველა მის წინააღმდეგ არის განწყობილი.

5. თუკი გადაწყვეტილია საყვედურის თქმა, რომელიც საფუძვლიანია, მაინც უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რას მოგვცემს მისი გამოთქმა ან მისგან თავის შეკავება. ნებისმიერი შენიშვნა და, მით უფრო, საყვედური, თავისებური დარტყმაა ადამიანისათვის. ამიტომ, თუ ავტორი ამას აცნობიერებს, თავშეკავება ჯობია.

6. თუ ადამიანი ცდილობს მის მიერ ჩადენილი უკეთურობის აღმოფხვრას, მას ახსნა-განმარტება და, მით უფრო, საყვედური აღარ სჭირდება. თუმცა, ამას ხშირად ივიწყებენ აღმზრდელები და ზედმეტი დარიგებით თავს აბეზრებენ მოზარდს. ასეთ აღმზრდელებს ავიწყდებათ, რომ არ არსებობს ბავშვის შინაგან მდგომარეობაზე ზემოქმედების უფრო ეფექტური ფორმა, რომელიც თვით ბავშვის მცდელობას ოდნავ მაინც გაუთანაბრდება.

7. რამდენადაც თორას მთავარი მოთხოვნა მოყვასის სიყვარულია, ამდენად, სხვებსაც უნდა მივცეთ შენიშვნები, თუნდაც ჩადენილი ქმედება ჩვენ არ გვეხებოდეს; მაგრამ შენიშვნაში სიყვარული უნდა გამოსჭიოდეს. მაგალითად, იუდაიზმის აღ-

ზრდის სისტემა ფიზიკურ დასჯასაც უშვებდა, როცა სხვა გამოსავალი არ არსებობდა (დასჯის ყველაზე საშინელი და მიუღებელი გამოვლინება). თუმცა, ასეთ შემთხვევაში ფიზიკურ ტკივილზე მეტი და კიდევ სხვა რამ იყო: ვინც ბავშვს ფიზიკურად სჯიდა, თვითონაც ისევე ტიროდა (შინაგანად) და შეიძლება უფრო ცხარე ცრემლებითაც, ვიდრე დასჯილი მოზარდი.

შესაძლებელია წარმოდგენილი წესების კიდევ უფრო დაკონკრეტება, თუმცა, არსი არ შეიცვლება. თვალსაჩინოებისთვის მოვუსმოთ რამდენიმე მაგალითს: არ უნდა შევაფასოთ ბავშვის საქციელი ყურმოკრული, ზერელე ინფორმაციის საფუძველზე, თუმცა, მისი გათვალისწინება რადაც ხარისხით შეიძლება. არასოდეს უნდა მოვიქცეთ მრისხანე პროგურორივით. აღმზრდელების უმთავრესი იარაღი პიროვნული სიმშვიდეა. ბავშვებთან ურთიერთობაში ეს ძალიან მნიშვნელოვანია. პატივისცემას ვერ დავიმსახურებთ მხოლოდ მოწოდებებით და, მით უფრო, ბრძანებებით, ამისათვის პირადი მაგალითია საჭირო. პირადი ავტორიტეტისათვის ბრძოლა სხვის თვალწინ (მით უფრო, საკუთარი შვილების წინაშე) აბსოლუტურად დაუშვებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება არა ავტორიტეტი, არამედ ტოტალიტარული მართვა. ადამიანი ავტორიტეტს იძენს გაცილებით როულად. ავტორიტეტი ჩვენი ქმედების და ცხოვრების წესის შედეგია და არა მიზანი.

უმჯობესია ბავშვებს გუბეში სირბილის ნება მივცეთ, ვიდრე გამუდმებით გავყვიროდეთ, გაცივდები და დაისვრებიო! ზოგჯერ უფრო სასარგებლოც შეიძლება იყოს ცოტაოდენი გაციება და ლოგინში წოლა, ვიდრე ის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ჩვენს

შვილებს თან სდევდეს გაუთავებელი საყვედურები. ამან შეიძლება ისტერიულ გამოვლინებებს დაუდოს სათავე, ან მოზარდს საერთოდ გაუქრეს რეაქცია ყველაფერზე, მათ შორის, სხვა ადამიანების პოზიტიურ კრიტიკაზე. იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რა უფრო საზიანოა: ბავშვის მსუბუქი გაციება თუ გულქვაობა?

აუცილებელია, ბავშვებს დანაბირები შევუსრულოთ, მათ შორის, მუქარაც. თუ პატარას გაგაფრთხილებთ, რომ, თუკი სათამაშოებს არ მოაგროვებს, არ წავუკითხავთ ზღაპრებს და ამ პირობას არ შევასრულებთ, ჩვენი სიტყვა თანდათან ძალას დაკარგავს. თუმცა, შეგვიძლია ცელქობაც ვაპატიოთ პატარებს, მაგრამ ამას შესაბამისი ახსნა და გაცნობიერება უნდა.

სხვათა ცხოვრებაში ჩარევა მათივე თხოვნის გარეშე დაუშვებელია. ზედმეტად არ უნდა ჩავერიოთ ბავშვებს შორის წამოჭრილ კამათშიც – ისინი თვითონ მორიგებიან, ჩვენ კი, შესაძლებელია, რომელიმე შხარისადმი მიკერძოებული აღმოვჩნდეთ. ამავე მიზეზით არ არის მართებული ბავშვების მშობლებთან წარა-მარა სირბილი იმის სათქმელად, რომ მათი შვილი სხვა ბავშვს ეწეუბა და ა.შ. ბავშვებთან თამაშში ვერთვებით მაშინ, როცა დავრწმუნდებით, რომ ჩვენი მონაწილეობა ასეთ ღონისძიებაში მოზარდებს გაახარებს. ანალოგიური მაგალითების მოტანა უსასრულოდ შეიძლება.

უურადღებას იმსახურებს წახალისებისა და დასჯის მეთოდებიც. არსებობს ასეთი გამონათქვამი: „ვისაც როზგით უნდა შვილის აღზრდა, მას შვილი არ უყვარს, ხოლო ვინც შვილს როზგისთვის არ იმუ-

ტებს, სწორედ მას უყვარს იგი¹. აქედან გამოგვაქვს მარტივი დასკვნა – ბავშვს არ უნდა ვცემოთ. სახი-ფათოა, ასევე, მრისხანება და გადაჭარბებული სიბრაზე. განრისხებულმა აღმზრდელმა ან მშობელმა გადაწყვეტილება არ უნდა მიიღოს, რადგან მრისხანება თითქოს აბრმავებს და რეალობის გრძნობას აკარგვინებს ადამიანს. დასაშვებია ზოგჯერ სიბრაზის იმიტაციასაც მიგმართოთ მცირებულოვან ბავშვებთან. მაგალითად, „შენი ასეთი ხმაური ძალიან მაბრაზებს“, ან კიდევ: „წყობიდან გამოვდივარ, თავს ვერ გავაკონტროლებ და მერე რას იზამ?“ და ა.შ.

არ შეიძლება ბავშვის დასჯა მაშინაც, თუ ის ამათუ იმ საქციელის ჩადენის შესახებ წინასწარ არ იყო გაფრთხილებული. ასეთ შემთხვევაში უნდა ავუხსნათ, რომ ეს საზიანოა, მავნებელია, ბოროტებაა და ა. შ.

ჩვენ მსჯელობა დავიწყეთ დასჯით და არა წახალისებით. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან მშობელთა უმრავლესობა ფიქრობს, თითქოს წახალისებას ნაკლები აღმზრდელობითი პოტენციალი ჰქონდეს. სინამდვილეში წახალისებას და ჯილდოს მეტი ძალა აქვს, ვიდრე დასჯას. ებრაული აღზრდის ტრადიციის თანახმად, თუ გვინდა, რომ ჩვენი მითითებები შესრულდეს, საუბარი უნდა დავიწყოთ სასიამოვნო, საქებარი და წამახალისებელი სიტყვებით. ამის შემდეგ შეიძლება კრიტიკაც. განსაკუთრებული დაფიქრება გვმართებს მაშინ, როცა საქებარი არაფერია, ხოლო საკრიტიკო – ზომაზე მეტი.

¹ ქართულ ცხობიერებაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ვისაც სიტყვით ვერაფერს შეაგნებინებ, მასთან როზგითაც ვერას გახდები.

ტრადიციული აღზრდის სისტემა აგებულია წახალისებაზე. აღსაზრდელის ნებისმიერი პოზიტიური ქცევა აღმზრდელის მიერ რაღაც ფორმით უნდა წახალისდეს. არ უნდა შეგვაშინოს იმანაც, რომ ბავშვი მხოლოდ ჯილდოს მომლოდინე გაიზრდება. გაცილებით სახიფათოა, როცა ბავშვობის პერიოდში არასწორი ზემოქმედების შედეგად უკვე ზრდასრული ადამიანი სასჯელის შიშით ცხოვრობს.

ცუდი არც ის არის, როცა ოჯახში ბავშვთა წახალისების მატერიალური სისტემა მოქმედებს. მაგრამ ეს დიდად განსხვავდება ცირკის არენაზე მწვრთნელის მიერ ცხოველის შაქრის ნატეხით დაჯილდოებისაგან. ბავშვები საჩუქრებს ცნობიერად იდებენ, რაც ზრდის მათ აღმზრდელობით დანიშნულებას.

არსებობს უძველესი წესი, რომლის თანახმად, ოჯახური ჰარმონიისათვის საჭიროა დაცული იქნეს შექებისა და შენიშვნების შემდეგი თანაფარდობა: შენიშვნის მიცემა ოპტიმალურია ათი სასიამოვნო სიტყვის კონტექსტში. თუმცა, მარტო სიტყვები არ იგულისხმება. შესაძლებელია, სასიამოვნოთ რიგს მივაკუთვნოთ სასიამოვნო გამოხედვა, უსტი, დიმილი, ფრთიანი გამონათქვამი და ა.შ. ამდენად, თუ ეს პროპორცია (ათი – ერთზე) დაცული იქნება, ოჯახური იდილიაც არ დააყოვნებს, რაც თავისთავად დადებითად აისახება ოჯახში ბავშვთა აღზრდაზე.

ებრაული აღზრდის ტრადიცია ოჯახში ყოველგვარი შეჯიბრების და კონკურენციის წინააღმდეგია. ასეთივე მიღებობა ებრაულ სასწავლებლებშიც, რადგან თვლიან, რომ შეფასებებმა და რეიტინგებმა, შესაძლოა, მოზარდის ფსიქოლოგიური ტრაგმა გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, ებრაული აღზრდის

ფარგლებში მიღებულია მხოლოდ პოზიტიურების გამახვილება; თუ საკონტროლო შეკითხვას ვსვამთ, არ არის საჭირო, მაგალითად, ასეთი სიტყვების დამატება: „საინტერესოა, შენ როგორ უპასუხებ?“ ხოლო, როცა პასუხს მივიღებთ, აღარ უნდა ჩავეკითხოთ: „დარწმუნებული ხარ?“ თუ მცდარ პასუხს მივიღებთ, არც მაშინ უნდა ჩავაციფდეთ, თუნდაც, კიდევ იფიქრე და ა.შ. ნებისმიერი მცდარი პასუხის შემდეგ ჩვენ ვამბობთ: სწორია, მაგრამ მცირეოდენი დაზუსტებაა საჭირო... და ამის შემდეგ რბილად ვასწორებთ შეცდომას. ასეთი დამოკიდებულებით მოზარდის მოტივაციას ვაძლიერებთ და მას ჭეშმარიტებამდე მისასვლელი გზის პოგნაშიც ვეხმარებით.

შეჯიბრებაზე უარის თქმა კარგ შედეგს იძლევა ებრაულ ოჯახებში და, ზოგადად, ებრაულ საზოგადოებაშიც. თორას შეგონების ფორმულირება ამგვარად შეიძლება: უმჯობესია, არ მივცეთ ბავშვს რაიმე პრაქტიკული ცოდნა, ვიდრე მასში განვავითაროთ არასრულყოფილების კომპლექსი ან, თუნდაც, ეჭვი საკუთარი შესაძლებლობების მიმართ. მისოვის საჭირო ცოდნას მოზარდი მომავალშიც შეიძენს, ხოლო, თუ მისი შეძენა სულიერი ტრაგმის ფასად ხდება, ასეთი ცოდნა საზიანოა. რადგან ფსიქიკური სამყარო ერთიანია, ხოლო ცოდნა – მრავალგვარი, ამიტომ პირველადი ფსიქიკა და მას განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ.



ეპილოგის მაგიერ:

აბრაამმა სამყაროს მისცა სიყვარული, ურთიერთდახმარების განცდა, სხვათა ღირსების პატივისცემა, რაც იუდაიზმის ცენტრალური ღერძია. აბრაამის იდეის სიმღიდო შეითვისა ისმაილმა, რომელმაც საკუთარი ოჯახი სწორედ ამ პრინციპებზე ააგო. თუმცა, მან უარყო თავისი ღვიძლი ძმის – ისაკის გამოცდილება.

ისაკმა აბრაამისა და სარას ოჯახში შემოიჩანა არჩეული გზის ერთგულების ჩვევა და სიმტკიცე წინააღმდეგობათა გადალახვაში. ისმაილმა ისაკის თვისებები, კერძოდ, სიმტკიცე გადაწყვეტილებებში, ჩანაცელა ფანატიკური სიჯიუტით, რომლის თანახმად, ვინც შენი არ არის, კველა შენი მტერია.

ესავმა აბრაამისა და ისაკისაგან თრივე თვისებია შეიძინა, მაგრამ არაფერი არ მიიღო თავისი ძმის – იაკობისაგან, რომელმაც მამის და პაპის პრინციპების კრებულს უმნიშვნელოვანესი წესი – სიმართლით ცხოვრების აუცილებლობა შემატა. ესავმა უარი თქვა სიმართლეზე, ის საკუთარი პიროვნებით იყო გატაცებული. იაკობი იდების ძიებაში ცხოვრობდა და სრულყოფილება სამართალში აღმოაჩინა.

აბრაამის კითხვას: რისთვის ცხოვრობს ადამიანი? მისივე ცხოვრების წესი სცემს ამომწურავ პასუხს და ეს პასუხი სიყვარულია. აბრაამი იყო პირველი ადამიანი, რომელიც მიხვდა და აჩვენა ხალხს, რომ უნდა იცხოვრო სწორად.

როგორ ვიცხოვროთ ადამიანთა შორის? ისაკის პასუხი ამ კითხვაზე ადამიანის შინაგან ძალებს და პიროვნულ სიმტკიცეს ეყრდნობა. მაგრამ, შესაძლებელია, სიმტკიცემ და პირდაპირობამ სიძულვილამდეც მივიყვანოს, რომელიც წარმოშობს ქსენოფონიას. იაკობი ცხოვრებისთვის საყდენს ეძებს და სვამს ახეთ კითხვას: რა არის ის მთავარი, რის საფუძველზე უნდა ვიცხოვროთ ადამიანებს შორის? და მას ასეთად სიმართლე მიაჩნია. ამდენად, იუდაიზმის აღზრდის ქვაკუთხედად სიყვარული, სიმტკიცე და სამართლიანობა უნდა იქნეს მიჩნეული, რასაც ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ცხადყოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიბლია, ქველი და ახალი აღთქმის წიგნები, საქართველოს ბიბლიური საზოგადოება, თბ., 2001.
2. თორა, ნაწილი I, თბილისი, საგანმანათლებლო ცენტრი „ორ ავნერი“, 2014-2015.
3. თორა, მე-2 ნაწილი, თბილისი, საგანმანათლებლო ცენტრი „ორ ავნერი“, 2014-2015.
4. დეკანოზი ვასილი ზენკოვსკი, აღზრდის პრობლემები ქრისტიანული ანთროპოლოგიის შუქჩე, საეკლესიო გამომცემლობა „ახალი ივირობი“, თბ., 2012.
5. დევიდ ვ. გუდინგი, ჯონ ლენოქსი, ბიბლია და ეთიკური განათლება, თბ., 2000.
6. ქველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, „მეცნიერება“, თბ., 1988.
7. რუდოლფ შტაინერი, სწავლების მეთოდიკა და აღზრდის სასიცოცხლო პირობები, თბ., 1995.
8. იცხაკ ზილბერი, ცეცხლი არ დაგწავს შენ, იერუშალამი, 5750 (1990).
9. ბიბლიის ენციკლოპედია, გ.ბ.ს. საქართველოს წარმომადგენლობა, ერთომეული, თბ., 1998.
10. ებრაული ტრადიცია, სახელმძღვანელო, II

წიგნი, თბილისი, საგანმანათლებლო ცენტრი „ორ ავნერი“, 2014-2015.

11. ადინ ევენ ისრაელი (შტეინზალცი), გულიო მსახურება, მთარგმნელი ეთერ თოვზიშვილი-გიგინებიშვილი, თბ., 2009.
12. Лосский В.Н., Очерк мистического богословия восточной Церкви, Догматическое богословие, М., 1991.
13. Свящ. Евгений Шестун, Православная педагогика, Самара, 1998.
14. Иосиф Флавий, Возражение против Апиона о древности еврейского народа, М., 1994.
15. Иосиф Флавий, Иудейские древности, Т. 1, М., 1996.
16. С.Лурье, Антисемитизм в древнем мире, М., 1994.
17. Jentsch W. Urchristliches Erziehungsdenken. Die Paideia Kyriu im Rahmen der hellenistisch-jüdischen Umwelt. Gutersloh, 1951.

სარჩევი

ნინათძმა	7
ლიტერატურული სამყარო – აღზრდის საფუძველი	11
პანონის (რეზულტ) პედაგოგიკა	
იუდაიზმი	36
სიპრანის გაკვეთილები გიბლიურ	
იუდაიზმი	62
იუდაური აღზრდა და ანტიკურობა	86
იუდაისტური აღზრდის ფრაგიცია	
და თანამედროვეობა	118
ეპილოგის მაგივრ	164
გამოყენებული ლიტერატურა	166

თბილისის უნივერსიტეტის აკადემიკური და სემინარის
გამოცემლობა

2016

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. №13/40.

E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board:
13/40, SIONI STR. TBILISI.

დაიგეჭდა

გამომცემლობა „მერიდიანში“
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
ტელ.: 239-15-22

E-mail: meridiani777@mai.ru